

საქართველოს ახადგაზრდები და ისტორია:

გამოცდილების, დამოკიდებულებებისა
და ღირებულებების კვლევა



დეკემბერი, 2021

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისის
სამხრეთ-აღმოსავლეთი

WeResearch



WeResearch

საქართველოს ახალგაზრდები და ისტორია

**გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და
ღირებულებების კვლევა**

დეკემბერი

2021

მადლობა

WeResearch-ის კვლევითი გუნდი მადლობას უხდის რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისა და დათმობილი დროისათვის. მადლობას ვუხდით, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლების დირექტორებსა და ადმინისტრაციას გამოკითხვის ჩატარებისას განეული დახმარებისთვის. გვინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თანამშრომლებსა და კვლევის საკონსულტაციო საბჭოს წევრებს მონოდებული უკუკავშირისა და კვლევაში შეტანილი წვლილისათვის.

HEINRICH BÖLL STIFTUNG

თბილისი

სამხრეთ კავკასია

კვლევა WeResearch-მა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის – სამხრეთ კავკასიის რეგიონის მხარდაჭერით განახორციელა. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ავტორებს ეკუთვნის და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს არ გამოსატავს.

კვლევითი გუნდი:

რათი შუბლაძე, ნანა ჭაბუკიანი, თინათინ ხომერიკი, სიმონ ჯანაშია

კვლევის საკონსულტაციო საბჭოს წევრები:

თამთა მელაშვილი, ლიკა წულაძე, დავით ჭიშკარიანი.

ენობრივი რედაქტორი: რიტა ბაინდურაშვილი

ყდის ილუსტრაცია: თათია ნადარეიშვილი



WeResearch

© WeResearch, 2021, Tbilisi

Web: www.wereseach.ge

E-mail: hello@wereseach.ge

შინაარსი

1. შესავალი	10
1.1. საკვლევო კითხვები.....	12
2. კვლევის მეთოდი	13
2.1. სამაგიდე კვლევა.....	14
2.2. რაოდენობრივი კომპონენტი	14
2.2.1 კითხვარის შემუშავება	14
2.2.2 მონაცემთა მოპოვების მეთოდები	15
2.2.3 შერჩევა.....	16
2.2.4 მონაცემთა შეგროვება და დამუშავება	16
2.2.5 მონაცემთა ანალიზი	17
2.3. თვისებრივი კომპონენტი	19
2.3.1 ექსპერტული ინტერვიუ	19
2.3.2 ფოკუსჯგუფი	20
2.3.3 კვლევის სამიზნე ჯგუფი და შერჩევა	20
2.3.4 მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	21
2.4. სავლე სამუშაოების შეჯამება	22
2.5. ეთიკური საკითხები	22
2.6. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შეზღუდვები.....	23
3. კონტექსტის მიმოხილვა	24
3.1. ისტორიის სწავლება სკოლებში.....	24
3.1.1 სახელმძღვანელოები	27
3.1.2 მასწავლებლები.....	30
4. კვლევის ძირითადი შედეგები	32
4.1. როგორ ესმით ახალგაზრდებს საქართველოს ისტორია?	32
4.1.1 ისტორიის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მიზნები ახალგაზრდებისთვის.....	32
4.1.2 ისტორიის მოვლენების ინტერპრეტაცია ახალგაზრდების მიერ.....	35
4.1.3 შეჯამება.....	37
4.2. რა იციან ახალგაზრდებმა ისტორიის შესახებ და რითი ინტერესდებიან?	38
4.2.1 ისტორიის ცოდნის თვითშეფასება.....	38
4.2.2 ისტორიით დაინტერესება	40
4.2.3 ისტორიული პირები	47
4.2.4 შეჯამება.....	54
4.3. ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები	55
4.3.1 სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების სიხშირე	55
4.3.2 ფორმალური განათლების წყაროები	57
4.3.3 არაფორმალური და ინფორმალური განათლების წყაროები	59
4.3.4 საქართველოს ისტორიის წყაროების გამოყენება სოციოდემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით	61
4.3.5 წყაროების მიმართ ნდობა.....	62

4.3.6	შეჯამება.....	64
4.4.	ისტორიის სწავლისა და სწავლების გამოცდილება საქართველოში	66
4.4.1	ისტორიის სწავლა და სწავლების ძირითადი აქტივობები.....	66
4.4.2	საკლასო აქტივობებში ჩართულობა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით	71
4.4.3	ისტორიის სწავლისა და სწავლების ძირითადი ფოკუსი.....	72
4.4.4	შეჯამება.....	75
4.5.	დამოკიდებულებები სხვადასხვა მოვლენის მიმართ	76
4.5.1	ადამიანის ცხოვრების შემცველი ფაქტორები	76
4.5.2	დამოკიდებულება ერებისა და ერი სახელმწიფოების მიმართ	78
4.5.3	დამოკიდებულება ევროპის, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მიმართ	80
4.5.4	მოსაზრებები ქართულ კულტურაზე.....	87
4.5.5	შეჯამება.....	92
5.	რეკომენდაციები	93
6.	დანართები	96
	დანართი 1: გამოკითხული მოსწავლეების სოციოდემოგრაფიული პროფილი	96
	დანართი 2. კვლევის დროს გაანალიზებული ლიტერატურა.....	101
	დანართი 3. კითხვარი.....	104
	დანართი 4. ექსპერტული ინტერვიუების გზამკვლევი.....	104
	დანართი 5. ფოკუსგუფების გზამკვლევი.....	104

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1.	რას ნიშნავს ისტორია თქვენთვის?	32
გრაფიკი 2.	რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?	35
გრაფიკი 3.	როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად ფლობთ შემდეგ უნარებს/ცოდნას?	38
გრაფიკი 4.	რამდენად გაინტერესებთ საქართველოს ისტორიის შემდეგი პერიოდები?	41
გრაფიკი 5.	რამდენად ხართ დაინტერესებული შემდეგი თემებით ისტორიიდან?	44
გრაფიკი 6.	რამდენად გაინტერესებთ ამ გეოგრაფიული ტერიტორიების ისტორია?	46
გრაფიკი 7.	ერის საამაყო წინაპარი	48
გრაფიკი 8.	გამორჩეული ისტორიული გმირი.	49
გრაფიკი 9.	გამორჩეული ისტორიული გმირი (2)	50
გრაფიკი 10.	რამდენად ხშირად იღებთ ინფორმაციას ისტორიის შესახებ შემდეგი წყაროებიდან?	55
გრაფიკი 11.	რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ საინფორმაციო წყაროებს?	62
გრაფიკი 12.	რამდენად ხშირად ხდება ჩამოთვლილი აქტივობები თქვენს ისტორიის გაკვეთილზე?	66
გრაფიკი 13.	რაზე ამახვილებთ ყურადღებას ისტორიის გაკვეთილის დროს?	72
გრაფიკი 14.	რამ/ვინ შეცვალა ადამიანების ცხოვრება?	77
გრაფიკი 15.	როგორია თქვენი შეხედულება ერებსა და ერ-სახელმწიფოზე?	78
გრაფიკი 16.	რას ნიშნავს თქვენთვის ევროპა და ევროინტეგრაცია?	80
გრაფიკი 17.	რას ნიშნავს თქვენთვის რუსეთი?	84
გრაფიკი 18.	რას ნიშნავს თქვენთვის საბჭოთა კავშირი?	85
გრაფიკი 19.	რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?	88
გრაფიკი 20.	როგორ შეაფასებდით ამ ხალხების როლს ქართული კულტურის განვითარებაში?	90
გრაფიკი 21.	ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველომ გავლენა უნდა მოიპოვოს კავკასიის სხვა ქვეყნებზე?	92
გრაფიკი 22.	გამოკითხული მონაწილეების გადანაწილება კლასების მიხედვით	96
გრაფიკი 24.	ოსწავლეების ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა	96
გრაფიკი 24.	მშობლის განათლება სტრატის, ეთნიკურობისა და რეპეტიტორის არსებობის მიხედვით	97
გრაფიკი 25.	წიგნების რაოდენობა ოჯახში სტრატის, რეპეტიტორის არსებობისა და მშობლების განათლების მიხედვით	98
გრაფიკი 26.	გყავთ თუ არა რეპეტიტორი ჩამოთვლილ საგნებში?	99
გრაფიკი 27.	გეგმები სკოლის დამთავრების შემდეგ რეპეტიტორის არსებობის, ეთნიკურობისა და მშობლების განათლების მიხედვით.	99
გრაფიკი 28.	რომელი მიმართულებით გსურთ სწავლის გაგრძელება?	100

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1.	გამოკითხვის ძირითადი მახასიათებლები	16
ცხრილი 2.	ფოკუსჯგუფების რაოდენობა სამიზნე ჯგუფებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით	21
ცხრილი 3.	საველე სამუშაოების ძირითადი მახასიათებლები.	22
ცხრილი 4.	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯგუფის სავალდებულო საგნების განაწილება კლასების მიხედვით	24
ცხრილი 5.	ისტორიის მასწავლებლების განაწილება კატეგორიების მიხედვით (ავტორების გამოთვლები – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით).	31
ცხრილი 6.	ინფორმაციის მიღების წყაროები	56
ცხრილი 7.	ინფორმაციის მიღების მეტად და ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები	64
ცხრილი 8.	სტანდარტული და არასტანდარტული საკლასო აქტივობები	67

მოკლე შეჯამება

ეს კვლევა 2021 წელს ჩატარდა და მისი მიზანი ისტორიისა და მისი სწავლების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა იყო. კვლევა შეეხებოდა იმასაც, თუ როგორ ესმით ახალგაზრდებს საქართველოს ისტორია, რა იციან და რა აინტერესებთ ამ სფეროში, რა ძირითადი წყაროები აქვთ ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად და როგორ აფასებენ ისტორიის სწავლის გამოცდილებას. ამისათვის, კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები გამოვიყენეთ. კერძოდ, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა გამოკითხვა, რომელმაც საჯარო სკოლის 9-12 კლასის 4366 მოსწავლე მოიცვა; თვისებრივი კვლევის ფარგლებში კი 12 ფოკუსჯგუფი შედგა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და სტუდენტებთან და, ასევე, რვა პირისპირი ინტერვიუ – სფეროს ექსპერტებთან. კვლევის ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია ქვემოთ.

მოსწავლეების უმეტესობისთვის ისტორია მხოლოდ წარსული მოვლენები არ არის და ის ანმეოში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება. მოსწავლეები თვლიან, რომ ისტორიის გამოყენება ანმეოს ინტერპრეტაციისა და მომავლის განსაზღვრისთვის შეიძლება. ზოგადად, რაც უფრო ხშირად იღებს მოსწავლე ისტორიის შესახებ ინფორმაციას და რაც უფრო მეტად ენდობა წყაროებს, მით მეტი ალბათობით აღნიშნავს, რომ ისტორიას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. საინტერესოა ისიც, რომ **ისტორიის ინტერპრეტაციული გაგება თანაარსებობს ისტორიული სიმართლის დადგენის იდეასთან.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსაზრება, რომ ისტორიას, შეიძლება, მრავალი სხვადასხვა ინტერპრეტაცია ჰქონდეს, თანაარსებობს მოსაზრებასთან, რომ არსებობს ჭეშმარიტი ისტორია. სხვადასხვა წყაროების, როგორც სხვადასხვა ავტორის ინტერპრეტაციების გაცნობა კი, შესაძლოა, ერთი ჭეშმარიტების დადგენას ისახავდეს მიზნად.

ისტორიის ცოდნისა და მისი შესწავლის უნარების თვითშეფასება მაღალია მოსწავლეებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში ცოდნის სტანდარტიზებული შეფასების საბოლოო არ გამოყენებულა. ცოდნის შეფასება ახალგაზრდების თვითშეფასებას ემყარება. უნარების თვითშეფასება კი სხვადასხვა სოციოეკონომიკურ ცვლადს უკავშირდება. კერძოდ, წიგნების დიდი რაოდენობა სახლში, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი და მშობლების უმაღლესი განათლება ისტორიის შესწავლის უნარების მაღალი თვითშეფასების ალბათობას ზრდის.

მოსწავლეები საქართველოს ისტორიის მიმართ მაღალ დაინტერესებას ამჟღავნებენ. მათ განსაკუთრებით ჩვ. წ. 400-1350 წლების პერიოდი და ადგილობრივი და რეგიონული ისტორია აინტერესებთ. ის მოსწავლეები, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილს გამოთქვამენ; ასევე, ისინი, ვისაც სახლში ბევრი წიგნი აქვთ; ვინც, ხშირად იძიებს ისტორიის შესახებ ინფორმაციას და ენდობა წყაროებს, მეტი ალბათობით ინტერესდებიან საქართველოს ისტორიით. ამასთანავე, **გოგოები უფრო მეტად არიან დაინტერესებული საქართველოს ისტორიის როგორც სხვადასხვა ეპოქით, ასევე სხვადასხვა თემით, ვიდრე ბიჭები.**

საამაყო წინაპრებისა და გმირების დასახელებისას უმეტესწილად მეფეები და საზოგადო მოღვაწეები სახელდებიან, რომლებსაც ქვეყნის გამთლიანებასა და დაცვაში მიუძღვით წვლილი. **გმირებად იშვიათად სახელდებიან ქალები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.**

ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მოსწავლეები სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ წყაროებს მიმართავენ. სკოლასთან მჭიდროდ დაკავშირებული წყაროები, მაგალითად, სახელმძღვანელოები და მასწავლებლები, ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირი გზაა. ინფორმაციის მისაღებად დიდი სიხშირით გამოიყენება ინტერნეტიც. ფორმალური წყაროებიდან (მაგ. სახელმძღვანელოები) მიღებულ ინფორმაციას მოსწავლეები ხშირად არაფორმალური წყაროებიდან (მაგ. ინტერნეტი, ოჯახის წევრები) ავსებენ.

ზოგადად, ისინი ენდობიან ისტორიის შესახებ წყაროებს. **საინტერესოა, რომ წყაროებს, რომლებსაც მოსწავლეები ყველაზე მეტად ენდობიან (მაგ. მუზეუმები და ისტორიული ადგილები), ყველაზე იშვიათად მიმართავენ და, პირიქით, წყაროებს, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ (მაგ. ინტერნეტი და მედია), ყველაზე ნაკლებ ენდობიან.**

ისტორიის სწავლება გარდამავალ პროცესშია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის გაკვეთილებზე აქტივობები, ძირითადად, სტანდარტულია, მასწავლებლები ძველ და ახალ მეთოდებს უთავსებენ ერთმანეთს და ერთობლივად იყენებენ. ისტორიის სწავლებისას ძირითადი აქცენტი ისტორიის, როგორც იდენტობის საფუძვლის შესწავლაზე კეთდება, ხოლო, მიზნები პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას და სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებებისა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას მოიცავს.

მოსწავლეებს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები აქვთ ერი-სახელმწიფოს შესახებ, თუმცა შედარებით უფრო პოპულარულია მოსაზრება, რომ ერები ბუნებრივი, ისტორიის შინაგანი წესრიგით ნაკარნახევი გაერთიანებაა და ნაკლებად ხალხის აქტიური მოქმედების შედეგი. **წინააღმდეგობრივია, ასევე, მოსწავლეების ხედვა ევროკავშირის მიმართაც და მას ერთდროულად შესაძლებლობადაც განიხილავენ და საფრთხედაც.**

ქართული კულტურის შეფასებისას მოსწავლეები უფრო მეტად კონსერვატულ/წარსულზე ორიენტირებულ შეხედულებებს ეთანხმებიან. უცხო ხალხების მიერ ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილ წვლილს ისინი კრიტიკულად აფასებენ. აქვე, მათ ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველომ გავლენა უნდა მოიპოვოს კავკასიის სხვა ქვეყნებზე.

კვლევის მიგნებების საფუძველზე რამდენიმე საგულისხმო რეკომენდაცია შემუშავდა, რომლებიც შემდეგ საკითხებს უკავშირდება: ისტორიის სწავლების მეთოდების დახვეწა; ისტორიის სწავლების შინაარსის გაუმჯობესება; ისტორიის წყაროების მრავალფეროვნების ზრდა; ისტორიის კვლევების ხელშეწყობა; განათლების მიღებისას უთანასწორობის გათვალისწინება და მისი შემცირება.

1. შესავალი

ისტორია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილვადი საკითხია საქართველოში და ის დიდ როლს თამაშობს ერისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, ისტორია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მოქალაქეების და განსაკუთრებით, ახალგაზრდების იდენტობის განსაზღვრასა და ფორმირებაში. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების ისტორიული მეხსიერებისა და ისტორიის მიმართ დამოკიდებულებების კვლევები საქართველოს კონტექსტში იშვიათია, თუმცა რამდენიმე ბოლოდროინდელი კვლევა ამ საკითხებს მოიცავს.

ისტორიით ახალგაზრდების დაინტერესებას სწავლობდა კვლევა “MYPLACE: მეხსიერება, ახალგაზრდობა, პოლიტიკური მემკვიდრეობა და სამოქალაქო ჩართულობა,”¹ რომელიც ევროპაში ჩატარდა და 30 გეოგრაფიული ადგილი მოიცვა, მათ შორის ქუთაისი და თელავი. კვლევის მიხედვით, ქართველი ახალგაზრდები საკუთარ თავსა და ქართველობას ქვეყნის ისტორიასთან აიგივებენ. ისტორიის შესახებ მეხსიერებას ისინი დადებითად აფასებენ და ამყობენ იმით, რომ „ქართველებს ახსოვთ საკუთარი ისტორია.”² წარსული მოვლენების ხსოვნა, ისტორიული დღესასწაულები მნიშვნელოვნად მიაჩნიათ „ერის განვითარებისთვის”; ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნევა ისტორიის პედაგოგიური მხარე – როგორც მომავალი შეცდომებისგან თავის ასარიდებელი გაკვეთილი.

კვლევაში ჩანს, რომ საქართველოში ისტორიას, შესაძლოა, ძლიერი რიტუალური დანიშნულება ჰქონდეს. ისტორიის ცოდნა განიხილება როგორც ერთგვარი პატივისცემის ნიშანი იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც იზრუნეს, რომ ჩვენი ტრადიციები და ყოფა შემონახულიყო. შესაბამისად, ქართველი რესპონდენტები ისტორიული მოვლენების არდავინწყებას, ევროპელებთან შედარებით, უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.³ ანგარიშის მიხედვით, ქართველ ახალგაზრდებს, ევროპელებთან შედარებით, მეტად აინტერესებთ, ზოგადად, მე-20 საუკუნის ისტორია,⁴ თუმცა, ცალკეული მოვლენების შეფასებისას, ევროპელ ახალგაზრდებთან შედარებით, ნაკლებ ინტერესს იჩენენ, მაგალითად, ისეთი მოვლენების მიმართ, როგორიცაა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ცივი ომი, ბერლინის კედლის დაცემა და სოციალისტური რეჟიმების დასასრული, ჰოლოკოსტი, ფაშიზმი და კომუნიზმი.⁵

აღსანიშნავია, რომ ისტორიის მიმართ ან, უფრო ზოგადად, ქართველობის შეფასებისას, განსაკუთრებულ აღმატებულ დამოკიდებულებას საზოგადოების ნაწილში საპირისპირო უარყოფითი დამოკიდებულებაც ახლავს. ახალგაზრდების ნაწილი თვლის, რომ „საქართველოს საზოგადოებას არაფერი აქვს დადებითი, ყველაფერი

1. Khoshtaria, T., Kobaladze, M., & Zurabishvili, T. (2018). History in Danger and Youth Civic Engagement: Perceptions and Practice in Telavi, Georgia. In *Understanding Youth Participation Across Europe* (pp. 293–315). Springer.
2. Khoshtaria, T., Neal, M., Shubladze, R., & Vacharadze, K. (2019). Mapping Report of Cultural Heritage (Georgia). CHIEF (Cultural Heritage and Identities of Europe’s Future) Grant Agreement No: 770464, 39. P. 113
3. *MYPLACE Thematic Report: Attitudes and Trust*. 2015. p. 6
4. *MYPLACE Thematic Report: History and Memory*, 2015, p. 3
5. *MYPLACE Thematic Report: History and Memory*, 2015, p. 4

არის რატომღაც ყალბი.”⁶ კვლევის რესპონდენტები დასავლეთიდან „დაკოპირებულ” ღირებულებებს ქართული იდენტობისთვის საფრთხის შემცველად ასახელებენ.⁷

ეროვნული იდენტობის კონსტრუირების ორგვარი მხარეა მიმოხილული ნუცა ბათი-აშვილის 2017 წლის კვლევაშიც.⁸ მისი კვლევის ფარგლებში, საზოგადოების ნაწილში, მათ შორის ახალგაზრდებშიც, ეროვნული იდენტობა საკუთარი თავის რწმენისთვის მყარი საფუძველი და საამაყო წარსულის პროდუქტია; მეორე მხრივ, კი ეროვნული იდენტობის იგივე საფუძველი გადაჭარბებულ, შელამაზებულ და ყალბი ისტორიის თხრობის ნაყოფად აღიქმება.⁹ შედეგად მიღებულ ვითარებას ბათიაშვილი ორხმიანს (ბივოკალურს) უწოდებს, როდესაც ორი პოზიცია – საკუთარი ისტორიით ტკობა და, მეორე მხრივ, ამავე ისტორიის საფუძველზე თვით-გმობა, ერთი და იმავე ერის, ქართველების თვითრეპრეზენტაციის გავრცელებული საშუალებებია.¹⁰

ქართველების თვითაღწერის ორი ფორმა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირდება: ქართველობა, როგორც ერთგვარი წმინდა ფორმით არსებული რამ და ქართველობა, რომელიც ცივილიზაციების გზაჯვარედინზე ყალიბდება, ბელაჯოს კონფერენციაზეც (2005) გამოიკვეთა.¹¹ პირველი ფორმა საქართველოს ისტორიას განიხილავს როგორც რაღაც მყარს, რომელიც შეიძლება, პერიოდულად შეირყვნას უხეში ჩარევის საფუძველზე,¹² ხოლო მეორე ფორმა საქართველოში მცხოვრებ ხალხთა ისტორიას სხვადასხვა კულტურის თანაცხოვრებისა და ნაზავის შედეგად თვლის.¹³ ისტორიის ამ ორგვარ წარატვის მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მომავლის ხედვაზეც. როგორც ბელაჯოს კონფერენციის ანგარიში ასკვნის, ამ ორი ხედვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეების ეროვნულ იდენტობას სხვადასხვა დონის ინკლუზიურობის შემცველი პოლიტიკური მომავალი შეიძლება ჰქონდეს.¹⁴

ზემოთ აღწერილი კვლევები სიღრმისეულად შეისწავლის და აანალიზებს ისტორიისა და იდენტობის ურთიერთკავშირსა და ახალგაზრდებში ისტორიის გაგების კონსტრუირებას. თუმცა, აქამდე არ ჩატარებულა წარმომადგენლობითი კვლევა, რომელიც ისტორიის მიმართ ახალგაზრდების ისტორიულ მეხსიერებასა და დამოკიდებულებას შეისწავლიდა. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, კრიტიკულად გაანალიზდეს, თუ როგორ ხედავენ ახალგაზრდები საქართველოს ისტორიას, როგორ ყალიბდება სხვადასხვა ისტორიული მოვლენის შესახებ მეხსიერება და, საბოლოო ჯამში, როგორ ხდება მისი პოლიტიკური ინსტრუმენტალიზება. სწორედ ამ მიზნით, კვლევითმა ორგანიზაციამ WeResearch, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭრით, ჩაატარა კვლევა, რომელიც სიღრმისეულად შეისწავლის ახალგაზრდების აღქმებსა და დამოკიდებულებებს ისტორიის მიმართ.

6. ხოშტარია, თ. (2019). ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობების ღირებულებებისგან საქართველოში [დისერტაცია]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 115

7. იქვე. გვ. 116

8. Batiashvili, N. (2017). *The bivocal nation: Memory and identity on the edge of empire*. Springer.

9. იქვე.

10. იქვე.

11. Wertsch, J. V., & Karumidze, Z. (2006). Negotiating a New National Narrative in Georgia.

12. იქვე.

13. იქვე.

14. იქვე.

1.1. საკვლევ კითხვები

კვლევის მთავარი მიზანი იყო, შეგვესწავლა ახალგაზრდების დამოკიდებულება საქართველოს ისტორიისა და მისი სწავლების მიმართ. საკვლევ კითხვები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- **როგორ ესმით** ახალგაზრდებს საქართველოს ისტორია?
 - რას ნიშნავს საქართველოს ისტორია ახალგაზრდებისთვის?
 - როგორ ინტერპრეტაციას უკეთებენ ახალგაზრდები ისტორიულ მოვლენებს?
- რას სწავლობენ და რისი სწავლის ინტერესი აქვთ ახალგაზრდებს?
- რა არის ინფორმაციის მიღების **ძირითადი წყაროები**?
 - რა არის ინფორმაციის ძირითადი ფორმალური და არაფორმალური წყაროები მათთვის?
 - როგორ აფასებენ ინფორმაციის ფორმალურ და არაფორმალურ წყაროებს?
 - რამდენად ენდობიან მოსწავლეები სხვადასხვა წყაროებს?
- **ისტორიის სწავლისა და სწავლების როგორი გამოცდილება** არსებობს საქართველოში?
 - რა გამოცდილებები აქვთ მასწავლებლებს ისტორიის სწავლების პროცესში?
 - რა გამოწვევები არსებობს ისტორიის სწავლებისას?
 - ისტორიის შესწავლის როგორი გამოცდილება აქვთ მოსწავლეებს?
 - როგორ აფასებენ მოსწავლეების ისტორიის სწავლის პროცესს?
- რა **დამოკიდებულებები** აქვთ ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიის მიმართ?
 - რა ღირებულებებს წაახალისებს ახალგაზრდებში ისტორიის სწავლების ამგვარი მიდგომა?

2. კვლევის მეთოდი

წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია 1994-1995 წლებში ჩატარებულ საერთაშორისო კვლევას დაეყრდნო, რომელიც ევროპის 27 ქვეყანაში განხორციელდა.¹⁵ კვლევა მიზნად ისახავდა, გაეანალიზებინა, თუ როგორ ესმოდათ 15 წლის ასაკის ახალგაზრდებს ისტორია და რა გამოცდილება ჰქონდათ მათ ისტორიის შესწავლის კუთხით. აღნიშნულმა კვლევამ რამდენიმე ძირითადი საკითხი მოიცვა, მათ შორის: ისტორიის მნიშვნელობა მოსწავლეებისთვის, ისტორიის სწავლება, ისტორიის როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, წარსულის, აწმყოსა და მომავლის გააზრება, მოსწავლეების ცოდნა სხვადასხვა ისტორიული პერიოდის შესახებ, მოსწავლეების დამოკიდებულებები სხვადასხვა ისტორიულ და თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებზე. ევროპული კვლევის გამოცდილებაზე დაყრდნობამ შესაძლებლობა მოგვცა, რომ უკვე გამოცდილი მიდგომა და კვლევის ინსტრუმენტი (კითხვარი) გამოგვეყენებინა.

ისტორია ჩვენი კვლევის ფარგლებში როგორც ვინჩრო, ისე ფართო კონცეპტუალური პერსპექტივიდან განიხილება. ისტორიის შესახებ ვინჩრო პერსპექტივა წარსულში მომხდარ მოვლენებს, პიროვნებებსა და სტრუქტურებს მოიცავს. ფართო პერსპექტივიდან ისტორიის შესწავლისას კი მნიშვნელოვანია იმ თანამედროვე წარმოდგენებისა და ქცევების გათვალისწინებაც, რაც თანამედროვე ადამიანებისა და საზოგადოების აღქმაში წარსულიდან მომდინარე ღირებულებებს უკავშირდება.

ამ კვლევის ფარგლებში სამიზნე ჯგუფად 15-24 წლის ახალგაზრდები განისაზღვრა. ეს ასაკობრივი საზღვრები თანხვედრაშია გაეროს მიერ გამოყენებულ ასაკობრივ კლასიფიკაციაში ახალგაზრდის ცნების განმარტებასთან.¹⁶ ასევე, კვლევის მიზანი უფრო მეტად სასკოლო/საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართული ადამიანების დამოკიდებულებების კვლევაც იყო და, შესაბამისად, ეს ასაკობრივი საზღვრები განსაკუთრებით რელევანტურია ამ ჯგუფის აღსაწერად.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე WeResearch-მა ტრიანგულაციის დიზაინი შეიმუშავა და კვლევის ფარგლებში როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი მეთოდები გამოიყენა. ტრიანგულაციის მეთოდმა შესაძლებლობა მისცა მკვლევრებს, რომ თითოეული კვლევის მეთოდის სუსტი მხარე სხვა მეთოდის ძლიერი მხარით დაეხალანებინა. უფრო კონკრეტულად, რაოდენობრივმა კვლევამ სკოლის ბოლო საფეხურის მოსწავლეების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა და წარმომადგენლობითი მონაცემები მის საფუძველზე შეგროვდა; ხოლო თვისებრივმა კვლევამ საკითხის უფრო სიღრმისეული შესწავლა გახადა შესაძლებელი, კვლევის ძირითად საკითხებზე დისკუსიების ინიცირების გზით. მონაცემების სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებამ კვლევის ვალიდურობა გაზარდა და კვლევის ფენომენის კომპლექსურად შესწავლის შესაძლებლობა მოგვცა.

15. ევროპულმა კვლევამ 31,000 მოსწავლე და 1,250 მასწავლებელი მოიცვა. კვლევაში მონაწილეობდა: ისლანდია, ნორვეგია, დანია, შვედეთი, ფინეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვენია, ხორვატია, ბულგარეთი, საბერძნეთი, თურქეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, გერმანია, იტალია, ბელგია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, პალესტინა და ისრაელი. იხ. Angvik, M., & von Borries, B. (Eds.). (1997). Youth and history: A comparative European survey on historical consciousness and political attitudes among adolescents. (Vol. 1 and 2 with CD-Room). Körber-Stiftung.
16. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ [ბმული](#).

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხვის მეთოდი გამოვიყენეთ, თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში კი – ექსპერტული ინტერვიუ და ფოკუსგუფები. გარდა ამისა, კვლევის საწყის ეტაპზე ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომელიც არსებული ლიტერატურის მიმოხილვას მოიცავდა. კვლევის თითოეული მეთოდი დეტალურად მომდევნო ქვეთავებშია განხილული.

2.1. სამაგიდე კვლევა

კვლევის საწყის ეტაპზე სამაგიდე კვლევა განხორციელდა, რომლის ფარგლებში კვლევის საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა გაანალიზდა. ლიტერატურა ადგილობრივ და საერთაშორისო, აკადემიურ და არააკადემიურ ნაშრომებს მოიცავდა. კვლევის ფარგლებში მიმოხილული ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია [დანართში 2](#).

სამაგიდე კვლევა დაგვიხმარა, მიმოგვეხილა ქვეყნის კონტექსტი და სკოლებში ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და გამოწვევები გავგეანალიზებინა. გარდა ამისა, სამაგიდე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა კვლევის ძირითადი ცნებების კონცეპტუალური და ოპერაციული განმარტებები, რომლებიც, თავის მხრივ, კვლევის ინსტრუმენტების – კითხვარის, ინტერვიუსა და ფოკუსგუფების გზამკვლევების შედგენისას გამოვიყენეთ.

2.2. რაოდენობრივი კომპონენტი

2.2.1 კითხვარის შემუშავება

ახალგაზრდებისა და ისტორიის შესახებ კვლევის მიზანი იყო მონაცემების მოპოვება იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებს ისტორიის მიმართ; საიდან, როგორ და რა სიხშირით იღებენ ინფორმაციას ისტორიის შესახებ; როგორი დამოკიდებულება აქვთ ისტორიის სხვადასხვა ასპექტების მიმართ; როგორ აფასებენ და ხედავენ სხვა კულტურებისა და ერების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და კულტურასთან არიან დაკავშირებული. გამოკითხვის ფარგლებში გამოყენებული კითხვარი სწორედ ამ საკითხების შესასწავლად შეიქმნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვარის ძირითადი ნაწილი ახალგაზრდობისა და ისტორიის ევროპულ კვლევას დაეყრდნო. საერთაშორისო კვლევის კითხვარი ქართულ რეალობას მოერგო და მასში გამოყენებული კითხვები იმგვარად შეიცვალა ან ჩანაცვლდა, რომ ისინი რელევანტური ყოფილიყო ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტისთვის. რადგან გამოკითხვა 1990-იან წლებში ჩატარდა, კითხვარი ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების თანამედროვე მიდგომებსაც მოერგო – აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სოციალური მედიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საკითხი. კითხვარის საბოლოო ვერსიის შედეგად შესაძლებელი გახდა შემდეგი საკვლევ კითხვებისთვის რელევანტური მონაცემების შეგროვება:

- საიდან იღებენ მოსწავლეები ინფორმაციას ისტორიის შესახებ?
- ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების რომელი წყაროებია ყველაზე სანდო მოსწავლეებისთვის?
- მოსწავლეების აზრით, რა არის ისტორიის დანიშნულება?
- როგორ ინტერპრეტაციას უკეთებენ მოსწავლეები ისტორიას?

- რამდენად არიან მოსწავლეები დაინტერესებული ზოგადად ისტორიით, სხვადასხვა ისტორიული თემებით, ისტორიული პერიოდებითა თუ საკითხებით?
- როგორია ისტორიის სწავლების გამოცდილება სკოლებში?
- რა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს საქართველოს წარსულის, ევროკავშირის, რუსეთისა თუ საბჭოთა კავშირის მიმართ?
- როგორია ქართველი მოსწავლეების დამოკიდებულება საქართველოს ისტორიაში უცხოელების როლის მიმართ?
- როგორია ქართველი მოსწავლეების მოსაზრებები ქართული კულტურის შესახებ?

კითხვარი, ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, ძირითადი სოციოდემოგრაფიული მახასიათებლების შესახებაც მოიცავდა კითხვებს. ამის საშუალებით შესაძლებელი გახდა ისტორიის ხედვისა და კითხვარში განხილული სხვა საკითხების შედარება სქესის, ასაკის, ეთნიკური კუთვნილებისა და სხვა სოციოდემოგრაფიული ცვლადების წრილში. კითხვარის ძირითადი სამუშაო ვერსია ქართული იყო. კითხვარი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც ითარგმნა, რათა ამ ენებზე მოსაუბრე მოსწავლეებს გაიოლებოდათ მისი შევსება. კითხვარის საბოლოო ვერსია, რომელიც მონაცემების მოპოვებისას გამოვიყენეთ, მოცემულია [დანართში 3](#).

2.2.2 მონაცემთა მოპოვების მეთოდები

რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად კომპიუტერზე მორგებული თვითადმინისტრირებადი კითხვარი¹⁷ (CSAQ) გამოვიყენეთ. ამ მიდგომის გამოყენების მიზეზი, ერთი მხრივ, უკავშირდებოდა გამოკითხვის პერიოდში საქართველოში არსებულ ეკიდემიოლოგიურ სიტუაციას, მეორე მხრივ კი, კვლევის შესრულებისთვის გამოყოფილ შემჭიდროებულ ვადებს. რადგან მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი კვლევის ჩატარება გეოგრაფიულად ძალიან გაფანტულ დასახლებებში მოსწავლეთა გამოკითხვას მოითხოვდა, კოვიდ-რეგულაციების გათვალისწინებით, ეს შეუძლებელი ამოცანა იყო. თვითადმინისტრირებადი კითხვარის გამოყენების შემთხვევაში კი, შესაძლებელი იქნებოდა როგორც პირისპირი კონტაქტების, ასევე, მონაცემების შეგროვებისთვის საჭირო დროის მაქსიმალურად შემცირება.

საბოლოო კითხვარი ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე [KoBoToolbox](#)-ის საშუალებით დაპროგრამდა. KoBoToolbox-ი მონაცემების სწრაფ და ეფექტიან შეგროვებას უზრუნველყოფს. ის წარმოადგენს ღია და უფასო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც მრავალ საერთაშორისო კვლევით პროექტში გამოიყენება. KoBoToolbox-ის მეშვეობით შესაძლებელია მონაცემების შეგროვება და შეყვანა რეალურ რეჟიმში მოხდეს. პროგრამის გამოყენება უზრუნველყოფს, მინიმუმამდე დავიდეს მონაცემების შეყვანის დროს დაშვებული შეცდომები, რესპონდენტების მიერ კითხვების გამოტოვება და არარელევანტური პასუხების გაცემა. მრავალდებულებიანი კითხვების შემთხვევაში შესაძლებელია დებულებების შემთხვევითად დალაგება (რენდომიზაცია), რაც მინიმუმამდე ამცირებს გაცემულ პასუხებზე დებულებების მიმდევრობის ზეგავლენას. აპლიკაცია მომხმარებელზეა მორგებული და მასზე წვდომა თითქმის ყველა ტიპის მოწყობილობით შეიძლება: კომპიუტერი, ტაბლეთური კომპიუტერი და სმარტ ტელეფონები.

17. ინგლისურენოვან პროფესიულ ლიტერატურაში შემდეგი სახელწოდება გამოიყენება: Computerized self-administered questionnaires (CSAQ).

2.2.3 შერჩევა

გეოგრაფიულად კვლევამ მთელი საქართველო მოიცვა, ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით. კვლევის სამიზნე პოპულაცია საქართველოს საჯარო სკოლების მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეები იყვნენ. შესაბამისად, კვლევის მონაცემების განზოგადებისას მხედველობაში არ უნდა მივიღოთ კერძო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდები. შერჩევის ჩარჩოს შესაქმნელად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისგან (EMIS) გამოთხოვილი ინფორმაცია გამოვიყენეთ საქართველოში მოქმედი ყველა საჯარო სკოლის მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასების მოსწავლეთა შესახებ. ამის გარდა, გამოთხოვილი ინფორმაცია სხვა რელევანტურ მონაცემებსაც მოიცავდა სკოლების დონეზე: მოსწავლეების რაოდენობა კლასებში სქესის მიხედვით, სკოლებში დასაქმებული მასწავლებლების რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, საჯარო სკოლის მდებარეობა, მუნიციპალიტეტი, რეგიონი და ა.შ. ამ მონაცემებით შემდგომში მონაცემთა შენონვისას ვისარგებლეთ.

შერჩევის პირველადი ერთეული EMIS-ის მიერ მოწოდებული საჯარო სკოლების სია იყო. სკოლები ზომის პროპორციული ალბათური შერჩევის მეთოდით (probability proportional to size; PPS) შეირჩა ორ ქვესტრატაში: თბილისი და დანარჩენი საქართველო. შერჩევის მეორეული ერთეულები სკოლებში კლასები უნდა ყოფილიყო, თუმცა, კოვიდ-შეზღუდვების გამო შეუძლებელი გახდა სკოლებში ვიზიტის დროს მოსწავლეთა შემთხვევითი მეთოდით შერჩევა; აგრეთვე, პერსონალურ მონაცემებთან წვდომის არ ქონის გამო შეუძლებელი იყო მოსწავლეების სიების გამოყენება შემთხვევითი შერჩევისთვის. ამიტომაც, გადაწყდა, რომ გამოკითხვა ყველა შერჩეული სკოლის ყველა შესაბამის კლასში ყველა მოსწავლესთან ჩატარებულიყო. გამოკითხვის სხვა ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 1:

ცხრილი 1. გამოკითხვის ძირითადი მახასიათებლები

სტრატა	სკოლების რაოდენობა ¹⁸	შერჩეული სკოლების რაოდენობა	შერჩევის ჩარჩოს მოცულობა ¹⁹	მოსწავლეთა რაოდენობა შერჩეულ სკოლებში	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	გამო-პასუხება (%)
თბილისი	175	58	31803	5981	2517	42%
დანარჩენი საქართველო	1903	60	74937	3410	1849	54%
ჯამი	2078	118	106740	9391	4366	46%

2.2.4 მონაცემთა შეგროვება და დამუშავება

სკოლების შერჩევის შემდეგ საორიენტაციო შეხვედრა შედგა სკოლების წარმომადგენლებთან: დირექტორებთან, სასწავლო პროცესის მენეჯერებთან, მასწავლებლებთან ან სხვა რელევანტურ პირებთან. შეხვედრაზე განხილული იყო გამოკითხვის მიზნები, კითხვარის დანიშნულება და გამოკითხვის ჩატარების ვადები. საინფორმაციო შეხვედრის შემდეგ ველის კოორდინატორები ინდივიდუალურად დაუკავშირდნენ თითოეულ რეგიონში თითოეულ შერჩეულ სკოლას. კოორდინატორების საშუალებით

18. ის საჯარო სკოლები, სადაც სწავლობენ მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასელები.

19. საჯარო სკოლაში მოსწავლე მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასელები.

სკოლებს მიეწოდათ გამოკითხვის კითხვარის ბმული, რომელიც, თავის მხრივ, გაეგზავნათ შერჩეული საჯარო სკოლების მეცხრე, მეთექვსმეტე და მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს.

ველის კოორდინატორები გამოკითხვის მიმდინარეობისას მუდმივად ეკონტაქტობოდნენ სკოლის წარმომადგენლებს, რათა, თავის მხრივ, მათ გამოპასუხების რაც შეიძლება მაღალი დონე უზრუნველყოთ. გამოკითხვის დაწყებამდე მოსწავლეები ეცნობოდნენ გამოკითხვის ჩატარების მიზნებს და მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში ავსებდნენ კითხვარს. 18-წლამდე მოსწავლეების შემთხვევაში აუცილებელი იყო, ასევე, მშობლის თანხმობაც.

მოსწავლეების გამოკითხვა საჯარო სკოლებში 2021 წლის 29 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით გაგრძელდა. საერთო ჯამში, 118 შერჩეული სკოლიდან 4366 მოსწავლე გამოიკითხა. შეგროვებული ინტერვიუები სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროგრამა „Stata“-ს საშუალებით დამუშავდა და გაინმინდა. მონაცემების წმენდა გულისხმობდა შეგროვებული მონაცემების კოდირებას, ვალიდაციასა და მონაცემთა ანალიზისთვის მომზადებას. მას შემდეგ, რაც მონაცემთა ბაზა ანალიზისთვის მომზადდა, მონაცემთა შემოწმების დამატებითი სამუშაოები შედგა.

კერძოდ, მონაცემები ახლო დუბლირების გამორიცხვის მეთოდით შემოწმდა, რომელიც კურიაკოსე და რობინსმა შეიმუშავეს.²⁰ ამ მიდგომის არსი გულისხმობს იდენტური დამთხვევების პროცენტულ გამოანგარიშებას მთლიან მონაცემთა ბაზაში. მაგალითად, თუ 100 კითხვიდან A და B მოსწავლეებმა 99 შემთხვევაში ერთი და იგივე პასუხები გასცეს, მაშინ ორივე დაკვირვების დამთხვევის მაჩვენებელი 99% იქნება. A და B მოსწავლის შედეგები შემდგომ შედარდება C მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხებს და ასე შემდეგ, მონაცემთა ბაზის ყველა შემთხვევისთვის. კურიაკოსე-რობინსის ალგორითმის გამოყენებით, მონაცემთა ბაზიდან წაიშალა 12 დასრულებული ინტერვიუ, რომელთა დამთხვევის მაჩვენებელი 90%-ზე მაღალი იყო. მონაცემთა წმენდის ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, მონაცემები შეინონა. შეგროვებული მონაცემები შეწონილია EMIS-ის მიერ მოწოდებული მოსწავლეების სქესისა და კლასის შესახებ არსებული პროპორციების გამოყენებით.

2.2.5 მონაცემთა ანალიზი

მონაცემები შეგროვების, განმედიისა და შეწონვის შემდგომ, აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით გაანალიზდა. აღწერითი სტატისტიკა მოიცავდა სიხშირეების წარმოდგენასა და კროსტაბულაციებს ისეთი ცვლადების მიხედვით, როგორცაა სქესი, კლასი, სტრატა (თბილისი და დანარჩენი საქართველო), ეთნიკურობა, კერძო რეპეტიტორის ყოლა და სკოლის ზომა (გამოკითხვის მონაწილეთა ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლებისთვის იხ. [დანართი 1](#)).

გამოკითხვა მიზნად ისახავდა ისეთი რთული და კომპლექსური სოციალური ფენომენების შესწავლას, რომელთა დაკვირვება ან გაზომვა ერთი ან რამდენიმე კითხვის საშუალებით შეუძლებელია. ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოკითხვაში გამოყე-

20. Kuriakose, N., & Robbins, M. (2016). Don't get duped: Fraud through duplication in public opinion surveys. *Statistical Journal of the IAOS*, 32(3), 283-291.

ნებული იყო კითხვების რამდენიმე ბატარეა, სადაც გაერთიანებული ურთიერთდაკავშირებული კითხვები და დებულებები ასეთ კომპლექსურ საკითხებს სხვადასხვა კუთხით ზომავდნენ. მონაცემთა ანალიზის გასამარტივებლად და აგრეთვე კომპლექსური და ლატენტური ცვლადების გამოსაამკარავებლად ფაქტორული ანალიზი გამოვიყენეთ. ეს არის სტატისტიკური მეთოდი დიდი რაოდენობით ურთიერთდაკავშირებული ცვლადების კლასიფიცირებისთვის მცირე რაოდენობის განზომილებებად, ანუ ფაქტორებად.²¹ მონაცემების აღწერისას, მათ შორის, ინდექსური ცვლადების გამოთვლისას, სწორედ ფაქტორული ანალიზის შედეგებით დაჯგუფდა მონაცემები.

რაც შეეხება დასკვნით სტატისტიკას, კვლევის ფარგლებში გამოყოფილ რელევანტურ ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოსავლენად მრავლობითი რეგრესიის მეთოდს მივმართეთ. ანგარიშში გამოყენებულ რეგრესული ანალიზის მოდელებში შემდეგი საკონტროლო ცვლადები ინტეგრირდა:

- სქესი (მამრობითი; მდედრობითი)
- სტრატა (თბილისი; დანარჩენი საქართველო)
- ეთნიკურობა (ეთნიკურად ქართველი; ყველა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც გამოკითხვისას დასახელდა)
- რელიგია (მართლმადიდებელი; ყველა სხვა რელიგიური დენომინაცია)
- კერძო რეპეტიტორის არსებობა (ჰყავს რეპეტიტორი ერთ საგანში მაინც; არ ჰყავს რეპეტიტორი)
- წიგნების რაოდენობა სახლში (0-10 წიგნი; 11-50 წიგნი; 51-200 წიგნი; 201-500 წიგნი; 501 წიგნი და მეტი)
- მოსწავლის კლასი (მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე)
- მშობლების განათლების ინდექსი (ორივე მშობელს აქვს, მაქსიმუმ, საშუალო განათლება; ერთ მშობელს მაინც აქვს უმაღლესი განათლება; ორივე მშობელს აქვს უმაღლესი განათლება)
- ოჯახის ფინანსური მდგომარეობის თვითშეფასება სხვა ოჯახებთან შედარებით (საშუალოზე დაბალი; დაახლოებით საშუალო; საშუალოზე მაღალი)
- უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი (ძირითადი გეგმა სკოლის დამთავრების შემდეგ არის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება; სხვა ძირითადი გეგმა)
- სკოლის ზომა (სკოლის მოცულობა კვარტილების მიხედვით – მცირე (განაწილების პირველი კვარტილი); საშუალო მცირე; საშუალო დიდი, დიდი (განაწილების ბოლო კვარტილი))

მონაცემების ინტერპრეტაციის გასაიოლებლად, რეგრესიული ანალიზის შედეგები პროგნოზირებული ქულების ან პროგნოზირებული ალბათობების საშუალებითაა წარმოდგენილი. შედეგების ინტერპრეტაციისას ჩვენ ვაფასებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებები ორ შესადარებელ ჯგუფს შორის იმ შემთხვევაში, როდესაც

21. „ფაქტორული ანალიზით შესაძლებელია კვლევის ობიექტის აღწერა სრულყოფილად და კომპაქტურად. ანალიზის შედეგად, ერთ ფაქტორში ერთიანდება ძლიერად ურთიერთკორელირებული ცვლადები. ფაქტორული ანალიზის მთავარი მიზნებია: ცვლადების რედუქცია და ცვლადების ურთიერთდაკავშირების სტრუქტურის დადგენა (ცვლადების კლასიფიკაცია).“ წყარო: [განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში](#).

სხვა (საკონტროლო) ფაქტორების მნიშვნელობა/გავლენა უცვლელია.²² უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში მოყვანილი განსხვავებების დროს მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებებია მოცემული.

რადგანაც გაცემულ პასუხებზე, თეორიულად, სკოლის გარემო ახდენს გავლენას, გამოყენებულია მრავალდონიანი რეგრესიული ანალიზი, რომლის პირველი დონე მოსწავლეებია, ხოლო მეორე დონე – სკოლა. მრავალდონიანი რეგრესიული ანალიზის დროს მხოლოდ იმ სკოლების მონაცემები გამოვიყენეთ, სადაც მინიმუმ 10 მოსწავლის შედეგები იყო ხელმისაწვდომი.

2.3. თვისებრივი კომპონენტი

2.3.1 ექსპერტული ინტერვიუ

საქართველოს ისტორიის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და ცოდნის არსებული მდგომარეობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მისაღებად, კვლევის ფარგლებში პირისპირი, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები გამოვიყენეთ სფეროს ექსპერტებთან. ინტერვიუების ჩატარებამდე გზამკვლევები (იხ. [დანართი 4](#)) შემუშავდა, რომელთა მოდიფიცირებაც რესპონდენტის სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე ხდებოდა. ინტერვიუების ფარგლებში შემდეგი ძირითადი საკითხები განვიხილეთ:

- საქართველოს ისტორიის ფორმალური და არაფორმალური სწავლება საქართველოში;
- ახალგაზრდებს შორის საქართველოს ისტორიის ცოდნა და გააზრება;
- საქართველოს ისტორიის სწავლება – ღირებულებები და იდენტობა.

კვლევის ფარგლებში, სფეროს ექსპერტები მიზნობრივად, მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე, შეირჩნენ. კერძოდ, ინტერვიუები ჩატარდა სამთავრობო და არა-სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ისტორიისა და განათლების სფეროს მკვლევრებთან და სახელმძღვანელოების ავტორებთან. სულ 8 ინტერვიუ ჩატარდა.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ექსპერტული ინტერვიუები ონლაინ, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით შედგა. რესპონდენტებისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების საფუძველზე, ინტერვიუს პროცესში ვიდეოჩანანერები გაკეთდა. ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე თითოეულის მოკლე შეჯამება დაინერა და ინტერვიუს პროცესში გამოვლენილი ძირითადი საკითხები გამოიყო. აღსანიშნავია, რომ ანგარიშში „ექსპერტის“ ხსენებისას სწორედ კვლევის ფარგლებში გამოკითხულ სფეროს ექსპერტებს ვგულისხმობთ.

22. მაგალითად, თუ თბილისში მცხოვრები მოსწავლეები 10 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით ეთანხმებიან დებულებას, რომ „ერთი და იგივე ისტორიული მოვლენა შეგვიძლია სხვადასხვაგვარად ავხსნათ“, ვიდრე დანარჩენ საქართველოში მცხოვრები მოსწავლეები, ეს შეიძლება აღვწეროთ როგორც 10 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი ალბათობა დანარჩენ საქართველოში მცხოვრებ მოსწავლეებთან შედარებით. დამოკიდებული ცვლადის ტიპიდან გამომდინარე, გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის რეგრესიული ანალიზი. როდესაც დამოკიდებული ცვლადი თავისი არსით დიქტომიურია, მაშინ გამოყენებულია ლოგისტიკური რეგრესია, რიგის საზომების შემთხვევაში რიგის ლოგისტიკური რეგრესია, ხოლო ინტერვალისა და შეფარდების საზომებზე მოცემული დამოკიდებული ცვლადების დროს – წრფივი რეგრესია.

2.3.2 ფოკუსჯგუფი

თვისებრივი მონაცემების შეგროვების მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ფოკუსჯგუფის მეთოდი, რომელიც ისტორიის მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან ჩატარდა. კვლევის ფარგლებში სულ 16 ფოკუსჯგუფი ჩატარდა, აქედან 7 ფოკუსჯგუფი – ისტორიის მასწავლებლებთან, 6 – სკოლის მოსწავლეებთან და 3 – სტუდენტებთან.

კვლევის ინსტრუმენტად ფოკუსჯგუფის ნახევრად სტრუქტურირებული გზამკვლევი (იხ. [დანართი 5](#)) გამოვიყენეთ, რომელიც, ერთი მხრივ, კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობით შემუშავდა, მეორე მხრივ კი, რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი საკითხებიდან გამომდინარე. გზამკვლევის კითხვები მორგებული იყო სამი სამიზნე ჯგუფის: მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სტუდენტების სპეციფიკურ მახასიათებლებს. გზამკვლევაში მოცული იყო შემდეგი თემები:

- საქართველოს ისტორიის გაგება მოსწავლეებისა და სტუდენტების მიერ და მათი დამოკიდებულებები საქართველოს ისტორიის მიმართ;
- საქართველოს ისტორია და იდენტობის ფორმირება მოსწავლეებსა და სტუდენტებში;
- საქართველოს ისტორიის შესწავლის ფორმალური და არაფორმალური საშუალებები;
- საქართველოს ისტორიის სწავლების მიზნები და შინაარსი;
- მასწავლებლების გამოცდილება საქართველოს ისტორიის სწავლებისას.

2.3.3 კვლევის სამიზნე ჯგუფი და შერჩევა

როგორც ზემოთ ითქვა, ფოკუსჯგუფები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ჩატარდა. მასწავლებლებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფი მიზნად ისახავდა ისტორიის სწავლების პროცესის გამოცდილების შესწავლას, ხოლო მოსწავლეებთან და სტუდენტებთან – სწავლის გამოცდილების. სტუდენტების ჩართვა იმითაც იყო განპირობებული, რომ ისინი სწავლის დასრულებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, დისტანციიდან შეძლებდნენ გამოცდილების გაზიარებას. ფოკუსჯგუფის მონაწილეების შესარჩევად მიზნობრივი შერჩევის მეთოდი გამოვიყენეთ. მიზნობრივი შერჩევის მეთოდი ფართოდ იხმარება თვისებრივი კვლევის დროს და ის მონაწილეების მიზანმიმართულად, წინასწარგანსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შერჩევას გულისხმობს. კვლევის ფარგლებში მონაწილეები შემდეგი კრიტერიუმებით შერჩნენ:

- **ისტორიის მასწავლებლები**
 - ადგილმდებარეობა (ქალაქი/სოფელი)
 - სკოლის ტიპი (საჯარო/კერძო)
- **მოსწავლეები**
 - სქესი (მდედრობითი/მამრობითი)
 - ადგილმდებარეობა (ქალაქი/სოფელი)
- **სტუდენტები**
 - სქესი (მდედრობითი/მამრობითი)
 - განათლების საფეხური (ბაკალავრიატის / მაგისტრატურის სტუდენტები)

ფოკუსჯგუფებში ორი ქალაქის – თბილისისა და ქუთაისის, და სამი რეგიონის – კახეთის, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთის მაცხოვრებლები მონაწილეობდნენ. აღნიშნული ლოკაციები შემდეგი მიზეზების გამო შეირჩა: თბილისი და ქუთაისი – როგორც ყველაზე დიდი ურბანული დასახლებები; სამეგრელო – აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობის გამო; კახეთი შეირჩა როგორც ყველაზე დაბალი ურბანიზაციის მქონე რეგიონი საქართველოში,²³ ხოლო სამცხე-ჯავახეთი – რეგიონი, სადაც მაღალია ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ, კი სომხური ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა რიცხვი; ასევე, შეირჩა სომხური ეთნიკური უმცირესობა, რადგან სხვადასხვა კვლევა საქართველოში სომხურენოვან თემებში ისტორიის სწავლების პროცესში არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს. მაგალითად, გუნდარეს კვლევამ აჩვენა, რომ სომხურენოვან თემში უფრო ხშირად, ვიდრე აზერბაიჯანულენოვანში, სამი ტიპის ისტორიას ასწავლიან, საქართველოს, მსოფლიოსა და სომხეთის. სომხეთის ისტორიას და ხანდახან, ასევე, მსოფლიოს ისტორიასაც სომხეთიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით ასწავლიან, რომლებიც შინაარსობრივად ან მეთოდურად განსხვავდება საქართველოში გამოცემულისგან.²⁴

ფოკუსჯგუფის მონაწილეების შერჩევა და მობილიზება კვლევის სავსე კოორდინატორების პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. კოორდინატორებმა მონაწილეები წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით შეარჩიეს და კვლევაში მათი ჩართულობა უზრუნველყვეს.

2.3.4 მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

ექსპერტული ინტერვიუების მსგავსად, 16-ვე ფოკუსჯგუფი ელექტრონულად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა 2021 წლის ოქტომბერში. ფოკუსჯგუფებში სულ 96 მონაწილე ჩაერთო. ცხრილი #2 აჩვენებს ჩატარებული ფოკუსჯგუფების რაოდენობას სამიზნე ჯგუფებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

ცხრილი 2. ფოკუსჯგუფების რაოდენობა სამიზნე ჯგუფებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით

ადგილი/მეთოდი	ფოკუსჯგუფური დისკუსია		
	მასწავლებლები	მოსწავლეები	სტუდენტები
თბილისი	2	2	2
ქუთაისი	2	1	1
სამცხე-ჯავახეთი	1	1	
კახეთი	1	1	
სამეგრელო	1	1	
სულ:	7	6	3

კვლევის ფარგლებში, მონაწილეების თანხმობის საფუძველზე, ფოკუსჯგუფების ჩანაწერები გაკეთდა. შეგროვებული მონაცემები თვისებრივი კონტენტანალიზის მე-

23. მოსახლეობის რაოდენობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, ხელმისაწვდომია [აქ](#).

24. CIMERA, (2007). History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks. გვ. 51

თოდის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცემების ანალიზისთვის კვლევის ჰიბრიდული – ინდექსური და დედუქციური – თემატური კოდირება გამოვიყენეთ, რაც გულისხმობს, რომ კვლევის ფარგლებში, პირველადი კოდები კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე შემუშავდა და მათ ანალიზის პროცესში გამოვლენილი ახალი კოდები დაემატათ.

2.4. საველე სამუშაოების შეჯამება

ცხრილში 3 წარმოდგენილია ჩატარებული საველე სამუშაოების მოკლე შეჯამება:

ცხრილი 3. საველე სამუშაოების ძირითადი მახასიათებლები

	რაოდენობრივი კვლევა	თვისებრივი კვლევა	
მეთოდი	გამოკითხვა	პირისპირი ინტერვიუ	ფოკუსჯგუფი
სამიზნე ჯგუფი	საჯარო სკოლის მოსწავლეები (9-12 კლასები)	სფეროს ექსპერტები	სკოლის მოსწავლეები (9-12 კლასები) სტუდენტები ისტორიის მასწავლებლები
შერჩევის ზომა	4366 (118 საჯარო სკოლა)	8	16
შერჩევის მეთოდი	პროპორციული ალბათური შერჩევა (PPS)	მიზნობრივი შერჩევა	მიზნობრივი შერჩევა
კვლევის ინსტრუმენტი	კომპიუტერზე მორგებული თვითადმინისტრირებადი კითხვარი (CSAQ) (ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე)	ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი	ნახევრად სტრუქტურირებული ფოკუსჯგუფის გზამკვლევი
ლოკაცია	ქვეყნის მასშტაბით	თბილისი	თბილისი, ქუთაისი სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, სამეგრელო
ინტერვიუს ხანგრძლივობა	30 წთ.	1 სთ.	2 სთ.
საველე სამუშაოების თარიღები	მაისი-ივნისი, 2021	აპრილი, 2021	ოქტომბერი, 2021

2.5. ეთიკური საკითხები

კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთიკურ პრინციპებსა და შესაბამისად, მონაცემთა დაცვასა და რესპონდენტების კონფიდენციალურობის უზუნველყოფას დაეთმო. კვლევის პროცესი შემდეგი ეთიკური პრინციპების დაცვით განხორციელდა:

- კვლევის მონაწილეებს, მათ შორის, გამოკითხვის, ფოკუსჯგუფებისა და ექსპერტული ინტერვიუების რესპონდენტებს, სრული ინფორმაცია მიეწოდებათ კვლევის მიზნისა და პროცედურების შესახებ. რესპონდენტები აგრეთვე ინფორმირებული იყვნენ, თუ რას ემსახურებოდა გამოკითხვის, ინტერვიუსა და ფოკუსჯგუფების ჩატარება და როგორ გამოვიყენებდით კვლევის შედეგებს მომავალში. მათ იცოდნენ, რომ მონაწილეობის შეწყვეტა ნებისმიერ ეტაპზე შეეძლოთ.
- ინფორმირებული თანხმობა კვლევის ყველა მონაწილისგან მივიღეთ. მცირე-წლოვნების შემთხვევაში მათი მშობლების თანხმობაც გახდა საჭირო.
- კვლევის ფარგლებში არსად არის გამოყენებული კვლევის მონაწილეთა სახელები და სხვა ინფორმაცია, რითიც მათი იდენტიფიცირება იქნებოდა შესაძლებელი. ამ გზით კვლევის მონაწილეთა კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილია.
- ფოკუსჯგუფებისა და ექსპერტული ინტერვიუების შემთხვევაში, რესპონდენტების თანხმობის საფუძველზე, აუდიო ჩანაწერებიც გაკეთდა. აუდიო ჩანაწერები პროექტის დასრულებამდე შეინახება მონაცემთა გადამოწმების მიზნით, ხოლო შემდეგ წაიშლება. აუდიო-ჩანაწერების საფუძველზე გაკეთებულ ტრანსკრიპტებში საიდენტიფიკაციო ინფორმაცია შესაბამისი კოდებით ჩანაცვლდება და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისს გადაეცემა მონაცემთა სამომავლო ანალიზისა და გამოყენების მიზნით.

2.6. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შეზღუდვები

მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს რამდენიმე ტიპის შეზღუდვა ახლდა. კვლევის ერთ-ერთი კითხვა საქართველოს ისტორიის ცოდნას ეხებოდა. წინამდებარე კვლევის დიზაინი არ გულისხმობდა ცოდნის ობიექტური საზომებით გაზომვას, არამედ – მოსწავლეთა მიერ საკუთარი ცოდნის თვითშეფასებას.

იქიდან გამომდინარე, რომ სავსე სამუშაოების დროს პირისპირ ინტერვიუების ჩატარება შეუძლებელი იყო კოვიდ-19-ის პანდემიისა და მისი თანმდევი გარემოებების გამო, გამოკითხვა ონლაინ, თვითადმინისტრირებადი კითხვარის გამოყენებით შედგა. ამ გარემოების გამო, ბუნებრივია, რთული იყო, კითხვარის შევსება სრულად გვეკონტროლებინა მკვლევრებს. ამასთანავე, ონლაინ ფორმატის გამო შეუძლებელი იყო კლასების მიხედვით მოსწავლეთა შემთხვევითი შერჩევა, ამიტომ გამოკითხვაში მონაწილეობა, თეორიულად, შემთხვევითად შერჩეული სკოლის ყველა მოსწავლეს შეეძლო²⁵. ამ გარემოების გამო, გამოკითხვაში მონაწილეობა მეტწილად არა შემთხვევითობის პრინციპზე, არამედ გამოკითხვაში მონაწილეობის დაინტერესებულობასა და კოორდინატორებისა და მასწავლებლების აქტიურობაზე იყო დამოკიდებული.

გამოკითხვის მსგავსად, ფოკუსჯგუფების ორგანიზებაც ონლაინ განხორციელდა. მართალია, პანდემიის პირობებში, თვისებრივი მონაცემების ელექტრონულად შეგროვება ნორმად იქცა, ინტერნეტის მეშვეობით ჩატარებული დისკუსიები ჯგუფის მიმდინარეობაზე გავლენას ახდენს. შეხვედრის ონლაინ ჩატარება ართულებს არავერბალური კომუნიკაციის აღქმას და შესაბამისად, ჯგუფის დინამიკაზე ზემოქმედებს.

გარდა ამისა, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებიდან ფოკუსჯგუფები მხოლოდ სომხურ თემში ჩატარდა. ამიტომ კვლევამ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების პერსპექტივები და გამოცდილებები ვერ ასახა.

25. დეტალებისთვის, იხილეთ ქვეთავი [2.2.3 შერჩევა](#)

3. კონტენტის მიმოხილვა

3.1. ისტორიის სწავლება სკოლებში

ისტორია, როგორც საგანი, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის ფარგლებში ისწავლება.²⁶ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში ისწავლება ისტორიასთან დაკავშირებული სხვადასხვა სავალდებულო საგანიც. ცხრილში 4 ჩანს, რომ დანყებით საფეხურზე ისტორია ინტეგრირებულია სხვა დისციპლინებთან. საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XII კლასები) კი იგი მეტად განცალკევებულია გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების კურსებისგან.

ცხრილი 4. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯგუფის სავალდებულო საგნების განაწილება კლასების მიხედვით

	საგანი	კლასები
1.	მე და საზოგადოება	III-IV
2.	ჩვენი საქართველო	V-VI
3.	საქართველოს და მსოფლიოს ისტორია	VII-XII
4.	გეოგრაფია	VII-VIII
5.	საქართველოს გეოგრაფია	IX
6.	მსოფლიოს გეოგრაფია	X
7.	გლობალური პრობლემების გეოგრაფია	XI
8.	სამოქალაქო განათლება	VII-X

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში ისწავლება არჩევითი საგნებიც, რომლებსაც, ასევე, აქვთ ისტორიასთან კავშირი, მაგალითად: ამერიკისმცოდნეობა, მსოფლიო კულტურა, საქართველოს ეთნოგრაფია, სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა. ამ საგნების სწავლება სკოლებს მე-10-12 კლასებში შეუძლიათ.²⁷ აღნიშნულ საგნობრივ ჯგუფს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. ეს ჩანს იქიდან, რომ კანონი ზოგადი განათლების შესახებ სპეციალურად მიუთითებს, რომ ისტორიის სწავლება ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, საქართველოს იმ სკოლებშიც კი, სადაც სწავლების ენა ქართული არ არის.²⁸

ამასთან ერთად, ისტორიის საკითხები სხვადასხვა საგნის ფარგლებშიც ისწავლება. მაგალითად, ისტორიის საკითხები ისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურ-

26. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018). სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. ხელმისაწვდომია [აქ](#).

27. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018b). ისტორია—საბაზო საფეხურის სტანდარტი. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. გვ.2. ხელმისაწვდომია [აქ](#).

28. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005, para. 5.4; ხელმისაწვდომია [აქ](#).

რის საგნის ფარგლებში. ისტორიის საკითხებს მოიცავს, ასევე, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში შესული სავალდებულო საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა. ისტორიის საკითხებს მოიცავს არჩევითი კურსებიც, მაგ. ხელოვნების ისტორია, ფოლკლორი და მითოლოგია, XIX-XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა და სხვ.

ისტორიის სწავლების მიზნები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიზანია, მოქალაქის აღზრდა, რომელიც “ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე”, პატრიოტი და ჰუმანურია და რომელსაც საკმარისი ინფორმაცია აქვს მშობლიური გარემოსა და ქვეყნის შესახებ. როგორც ეროვნული სასწავლო გეგმა განმარტავს, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ისტორიული პროცესების ანალიზის, პიროვნებებისა და მოვლენების შედარების, კვლევის უნარები, უნდა ფლობდეს დარგობრივ ენას და შეძლოს, „განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში.”²⁹

ეს მიზნები უკავშირდება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში განსაზღვრულ დებულებებს, რომ სკოლადამთავრებულებმა უნდა შეძლონ „ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება,” რაც, ასევე, გულისხმობს უნარს – იმოქმედოს ამ ინტერესების სასიკეთოდ.³⁰

სწავლების შინაარსი

ისტორიის სწავლების შინაარსი ისტორიის საგნის პროგრამაშია განწერილი.³¹ დოკუმენტში განმარტებულია, რომ პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. თუმცა, სახელმძღვანელოების გრიფირებისას სწორედ ეს პროგრამა გამოიყენება მათ შესაფასებლად. შესაბამისად, რეკომენდაცია, შესაძლოა, ინსტიტუციონალიზებულ პრაქტიკად ითარგმნებოდეს.

პროგრამები საკმაოდ დეტალურად აღწერს თემებს და, ასევე, შესაძლო საათების რაოდენობას, რომელიც კონკრეტულ თემას შეიძლება დაეთმოს. ქვემოთ, ილუსტრაციაზე თემების ჯგუფების ძირითად ჩამონათვალს ხედავთ:³²

29. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018). სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. გვ. 38. ხელმისაწვდომია [აქ](#).

30. საქართველოს მთავრობა. (2004). ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები. საქართველოს მთავრობა.

31. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018b). ისტორია—საბაზო საფეხურის სტანდარტი. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. ხელმისაწვდომია [აქ](#).

32. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, (2018a). ისტორია, საბაზო საფეხური, წლიური პროგრამები. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. გვ. 2. ხელმისაწვდომია [აქ](#).

ილუსტრაცია 1. სასწავლო თემებისა და საათების ჩამონათვალი

სასწავლო თემები	საათების საგარეულო რაოდენობა	სარეზერვო დრო
VII კლასი		
1. პრეისტორია/ქვის ხანა;	8 საათი	4 საათი
2. ბრინჯაოს ხანა/მველი აღმოსავლეთი;	14 საათი	4 საათი
3. ანტიკური და გვიანანტიკური ხანა.	32 საათი	8 საათი
VIII კლასი		
1. შუასაუკუნეები;	42 საათი	8 საათი
2. გვიანი შუა საუკუნეები და ახალი დრო.	32 საათი	8 საათი
IX კლასი		
1. „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე“;	37 საათი	8 საათი
2. პირველი მსოფლიო ომის პერიოდი/საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა;	19 საათი	4 საათი
3. საბჭოთა პერიოდი;	19 საათი	4 საათი
4. საქართველო და თანამედროვე მსოფლიო.	10 საათი	4 საათი

როგორც ზედა ილუსტრაციაში ჩანს, ისტორიის ქრონოლოგიური კურსის გავლა VII-IX კლასების განმავლობაში ხდება. მე-7 და მე-8 კლასებში ისწავლება ისტორია უძველესი ხანიდან გვიან მე-18 საუკუნის ჩათვლით, მე-9 კლასი კი მე-19-20 საუკუნეებს ეთმობა. ეს პერიოდი მეორდება საშუალო საფეხურზეც, X-XII კლასებში.

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის სწავლება ინტეგრირებულად მიმდინარეობს. თუმცა, სასწავლო გეგმის ავტორები მუდმივად ცდილობენ, რომ ყოველთვის ჩანდეს საქართველოს ცენტრალური ადგილი, რაც გეგმების ანალიზიდან იკვეთება. თემების აღწერის ნაწილშიც, ეროვნული სასწავლო გეგმა მსოფლიო ისტორიას საბაზო საფეხურზე, ძირითადად, საქართველოსთან კავშირში გვთავაზობს.³³

მეთოდიკური ორიენტირები

მართალია, მასწავლებლებს საკმაოდ მაღალი ავტონომია აქვთ, რომ საგაკვეთილო პროცესი თავად დაგეგმონ, თუმცა ეროვნული სასწავლო გეგმით სახელმწიფო ცდილობს, გავლენა იქონიოს იმ პედაგოგიურ ხერხებზეც, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ. მაგალითად, შეფასების უკეთ განსახორციელებლად, ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლებს სთავაზობს, რომ გამოიყენონ აქტიური სწავლებისა და შეფასების მეთოდები (პრეზენტაციები, კვლევა, რუკაზე მუშაობა, დიაგრამების შექმნა, დისკუსიები, როლური თამაშები და ა.შ.).³⁴

სასწავლო მიზნების განსაზღვრისასაც სახელმწიფო მასწავლებლებს სთხოვს,

33. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2018a, ისტორია, საბაზო საფეხური, წლიური პროგრამები. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. ხელმისაწვდომია [აქ](#).

34. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018b). ისტორია—საბაზო საფეხურის სტანდარტი. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. ხელმისაწვდომია [აქ](#).

რომ მოსწავლეები ისეთ მიზნებამდე მიიყვანონ, რომლებიც მათგან ცოდნის აქტიურ გამოყენებას მოითხოვს (მაგ.: შეიძლოს მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება).

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ საგნის წლიური მიზნების კითხვისას მასწავლებელს საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციის საშუალება რჩება, თუ რად შეიძლება, მიიჩნიოს ისეთი ცნებები, როგორცაა ისტორიის რომელიმე საკითხის „გააზრება“, „გაცნობიერება“ და ა.შ. ზოგ შემთხვევაში, მასწავლებლისთვის შეიძლება, რთული იყოს იმის დანახვა, თუ რა იგულისხმება ზოგიერთ სარეკომენდაციო დებულებაში. მაგ.: „საქართველოს ამა თუ იმ მხარის პატივსაცემად რაიმე ღონისძიების გამართვა, რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მონაცემები აისახება.“³⁵

სწავლების ინტენსივობა

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლება მესამე კლასიდან იწყება და სრული ზოგადი განათლების ციკლის დასრულებამდე გრძელდება. III-V კლასებში სახელმწიფო განსაზღვრავს, რომ ისტორიასთან დაკავშირებული საგნები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) კვირაში 2 საათის განმავლობაში ისწავლება, შემდეგ კლასებში კი ეს ინტენსივობა 3 საათამდე იზრდება. საბაზო საფეხურზე, მეშვიდე კლასიდან საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნების (ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება) ჯამური საათობრივი დატვირთვა კვირაში 6 საათს უტოლდება, ხოლო საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები) ისტორია შედარებით უფრო ინტენსიურად ისწავლება მე-11 კლასში.³⁶

3.1.1 სახელმძღვანელოები

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სახელმძღვანელოები სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ძირითადი სასწავლო რესურსია. მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, შესაძლოა, სახელმძღვანელოები ერთადერთი რესურსიც იყოს. რადგან სახელმწიფო სახელმძღვანელოებს გრიფს ანიჭებს და უსასყიდლოდ ურიგებს სკოლებსა და მოსწავლეებს, მასწავლებლები ამ რესურსს ლეგიტიმურად მიიჩნევენ. იმ პირობებში, როდესაც მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის საკუთარი პრაქტიკის საფუძვლიანი დაგეგმვა პრობლემაა სხვადასხვა სტრუქტურული თუ პიროვნული მიზეზის გამო (კომპეტენციები, ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი დრო, გარეგანი მოტივატორების სისტემა), სახელმძღვანელოები სასწავლო პროგრამის სწავლების კალენდარულ გეგმასთან არის ხოლმე გაიგივებული. მასწავლებლები ხშირად მიყვებიან სახელმძღვანელოებში მოცემული თემების თანმიმდევრობას და მოსწავლეებსაც ამ რესურსში მოცემული შინაარსების დასწავლას სთხოვენ. ასეთ პირობებში სახელმძღვანელოებს შეიძლება, განსაკუთრებული გავლენა ჰქონდეს მოსწავლეების მიერ ისტორიის შესწავლის შესაძლებლობასა და პრაქტიკაზე.

35. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018b). ისტორია—საბაზო საფეხურის სტანდარტი. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. გვ. 22. ხელმისაწვდომია [აქ](#).

36. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018). სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი. In ეროვნული სასწავლო გეგმა. ncp.ge. ხელმისაწვდომია [აქ](#).

საქართველოში, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული ისტორიის სახელმძღვანელოების კვლევა, უმეტესად, იმ საკითხებზე ფოკუსირდებოდა, რაც შეიძლება, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პერსპექტივიდან ისტორიის შესწავლის მიზნებს ეწინააღმდეგებოდეს. 2006 წელს ლევან გიგინეიშვილის მიერ ჩატარებულმა სახელმძღვანელოების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ დროს გამოცემულ სახელმძღვანელოებში ჩანს სურვილი, რომ ისტორიის, განსაკუთრებით კი, საქართველოს ისტორიის სწავლება დასცილდეს ადმატებული და ჰეროიკული წარსულის გადმოცემას.³⁷ ამ თაობის სახელმძღვანელოებში უფრო მეტად ჩანს მრავალპერსპექტიული და შედარებით უფრო დისტანცირებული თხრობის შემოსვლა. ასევე, გიგინეიშვილი პოზიტიურად აფასებს მეათე კლასში ისტორიის ფილოსოფიასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების შემოტანას. შედარებით კრიტიკულია მისი შეფასება საქართველოს ინტეგრაციის ფორმაზე მსოფლიო ისტორიის კურსში, რადგან მიაჩნია, რომ მასში საქართველოს ისტორია სათანადოდ არ არის აღწერილი. განსაკუთრებით კრიტიკულია გიგინეიშვილის შეფასება ეთნიკური უმცირესობების მწირ რეპრეზენტაციასთან დაკავშირებით. ის არსებულ სახელმძღვანელოებს ეთნოცენტრისტულად აფასებს და მისი რეკომენდაციების ძირითადი ნაწილიც ამ საკითხის გაუმჯობესებას ეძღვნება.³⁸

ეთნოცენტრისტული პერსპექტივები ჩანს სხვა ერებთან მიმართებითაც ადამიანური რესურსების განვითარების ფონდის მიერ 2006 წელს ჩატარებულ კვლევაში.³⁹ ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული სახელმძღვანელოების კონტენტანალიზი, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, ისტორიის თხრობისას მიკერძოებულ ხედვას ავლენს, სადაც ქართველები წარმოდგენილნი არიან როგორც ქვეყნისთვის თავდადებული გმირები, ხოლო სხვა ერების წარმომადგენელები როგორც უცხო დამპყრობლები.⁴⁰

იმავე პერიოდში, 2007 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში, იევა გუნდარე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს. მისი მიხედვით, საქართველოს მასწავლებლები და მშობლები განსაკუთრებულად არიან დარწმუნებული იმაში, რომ ერთი კონკრეტული ისტორიული სიმართლე არსებობს და სახელმძღვანელოებიც სწორედ ამ ქეშმარიტ ისტორიას უნდა აღწერდნენ.⁴¹

ისევე როგორც გიგინეიშვილი, გუნდარეც სახელმძღვანელოებში დომინანტურად ეთნოცენტრისტულად მიკერძოებულ ხედვას მიიჩნევს. ამ პერსპექტივიდან ქართველების მიერ ტერიტორიების დაპყრობები გათავისუფლებად ითარგმნება, სხვა ხალხები კი ველურებად არიან მოხსენიებული (მაგ.: მომთაბარეები), ხოლო ეთნიკური უმცირესობები მიგრაციებისა და რუსეთის პოლიტიკის შედეგების კონტექსტში მოიხ-

37. Gigineishvili, L. (2007). Post- reform history textbooks in Georgia: Changing patterns and the issue of minorities in Georgian history. In History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian history textbooks (pp. 7–22). Cimeria.

38. იქვე.

39. სარჯველაძე ნ., ჩხაიძე, მ., ხაფავა ქ., შუშანია, ნ., & ჯაფარიძე, მ. (2006). კულტურათაშორისი მგრძობელობის კურიკულუმის სახელმძღვანელოს შედგენა. ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი.

40. იქვე.

41. Gundare, I. (2007). The Teaching of History in Georgia. With special focus on the Armenian and Azeri minorities and their representation in Georgian history textbooks. In History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian history textbooks (pp. 23–68). Cimeria.

სენებიან.⁴² ხოლო საბჭოთა კლასობრივი ბრძოლის ნარატივი ჩანაცვლებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ნარატივით.

გუნდარეს კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ეთნიკური უმცირესობების სკოლებში ისტორიის შესწავლის მოტივაციისა და ფორმების ანალიზისთვის. ის აჩვენებს, რომ სომხურ და აზერბაიჯანულ ეთნიკურ უმცირესობებს გაცნობიერებული აქვთ საქართველოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა, თუმცა მათთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, შეისწავლონ სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორია, როგორც მათი ეთნიკური ჯგუფისთვის მშობლიური ისტორია.⁴³

ამავე კვლევაში ჩანს, რომ უმცირესობები განიცდიან იმას, რომ საქართველოს ისტორიაში არ არიან წარმოდგენილები როგორც „მკვიდრი მოსახლეობა“. ამასთან, ისინი ზოგ შემთხვევაში უარყოფითად აფასებენ საქართველოს გასაბჭოების კრიტიკულ შეფასებებს და ანტირუსულ თემატიკას სახელმძღვანელოებში.⁴⁴ კვლევა აღწერს დაძაბულობას, რომელსაც ისტორიის კონფლიქტური ინტერპრეტაციები იწვევს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

ისტორიის სახელმძღვანელოების 2009 წლის კვლევა აჩვენებს, რომ ამ პერიოდში სახელმძღვანელოები მონოპერსპექტიული თხრობიდან მრავალპერსპექტიულობისკენ იცვლება.⁴⁵ ეს კვლევა, ასევე, გვთავაზობს საინტერესო დაკვირვებას 90-იანი წლების სასწავლო სტანდარტზე, რომელიც შეუთანხმებლობას აჩვენებს საქართველოს ისტორიის შესწავლის მიზნებსა და სასწავლო შინაარს შორის. მიზნებში, ერთი მხრივ, წერია, რომ მნიშვნელოვანია ე.წ. „დასავლური სტანდარტების“ შესაბამისი სასწავლო გეგმის შედგენა, რაც პლურალისტულ და დეიდეოლოგიზირებულ სწავლებას უნდა უწყობდეს ხელს; მეორე მხრივ, კი კვლევის ავტორის მიერ მოკვლეულ სტანდარტში მოცემული ტექსტის მიხედვით, ამ მრავალპერსპექტიული სწავლების მიზანი ისტორიული ჭეშმარიტების დადგენაა, რომელიც მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს⁴⁶.

სახელმძღვანელოები, კაკიტელაშვილის აზრით, 90-იან წლებში და 2005 წლამდე, ერთგვაროვან ნარატივს ეფუძნებოდა. 2005 წლის შემდეგ ეს მიდგომები იცვლება და შემოდის მრავალპერსპექტიული, ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული, ნაციონალიზმის დისკურსისგან დაცილებული თხრობა, სამოქალაქო ცნობიერებისა და ეთნიკური უმცირესობების ინკლუზიაზე ფოკუსით. ამ დროისთვის ახალ სახელმძღვანელოებში მცირდება ჰეროიკული პათოსი, ხოლო ქართველები მუდამ მართლებად აღარ არიან წარმოდგენილი გარეგან ძალებთან ურთიერთობისას.

ერთ-ერთი უკანასკნელი კვლევა, რომელიც სახელმძღვანელოების შინაარსს ანალიზებს, ადასტურებს, რომ 2006 წელს გიგინეიშვილისა და გუნდარეს მიერ გამოვლენილი ეთნოცენტრისტული მონოპერსპექტიულობა ათი წლის შემდეგაც აქტუალურია. ბექა მინდიაშვილისა და მისი კოლეგების ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ მე-9-12 კლასის სახელმძღვანელოებში გვხვდება ფრაზები, რომლებსაც კვლევის ავტორები ქსენოფობიურად მიიჩნევენ. მსგავსი ტექსტები გვხვდება არა მხოლოდ ისტორიის,

42. იქვე.

43. იქვე. გვ.50

44. იქვე. გვ.52-53

45. Kakitelashvili, K. (2009). Instrumentalization of History and History Teaching in Post-Soviet Georgia. *Civilizaciuri Ziebandi CIVILIZATION RESEARCHES*, 24

46. იქვე.

არამედ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებშიც.⁴⁷ ამავე კვლევაში განხილულია ეთნიკური ჯგუფების მიმართ სტერეოტიპების დამკვიდრების პრობლემა სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოშიც კი და გაანალიზებულია, თუ როგორ ხდება რელიგიის, სახელმწიფოსა და ეთნოსის გაიგივება. ავტორების აზრით, ასევე პრობლემურია, როდესაც ქართველების მიერ ჩადენილი ძალადობა ან სხვების რელიგიური დევნა კრიტიკული კომენტარის გარეშე ისწავლება. ავტორების დაკვირვებით, სახელმძღვანელოებში გვხვდება არამეცნიერული მოსაზრებებიც, რომლებიც, ძირითადად, საქართველოს ისტორიის აღმატებულად აღწერას ემსახურება.

გარდა ეთნიკური მრავალფეროვნებისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რამდენად ასახავს ისტორიის სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის საკითხებს. ბათიაშვილის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიზანი იყო გამოველინა, თუ რამდენად დაბალანსებულია საბაზო საფეხურის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სასწავლო სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის კუთხით.⁴⁸ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სახელმძღვანელოებში ქალთა რეპრეზენტაცია მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება კაცთა რეპრეზენტაციას როგორც ძირითად ტექსტებში, ასევე ისტორიულ წყაროებსა და სასწავლო აქტივობებში. გარდა ამისა, გამოჩნდა ძლიერი გენდერული სტერეოტიპები, სადაც ქალები და კაცები ტრადიციულ როლებში არიან წარმოდგენილნი; და ბოლოს, სახელმძღვანელოებში საკმარისად არ არის ყურადღება გამახვილებული არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე ისევე, როგორც თანასწორობის მნიშვნელობაზე, ქალთა უფლებებზე, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიაზე და სხვ. შესაბამისად, ავტორები ასკვნიან, რომ სახელმძღვანელოები არასაკმარისად უწყობს ხელს გენდერული თანასწორობის იდეის განვითარებას.

3.1.2 მასწავლებლები

საქართველოში სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულია 4,000-ზე ცოტათი მეტი მასწავლებელი. მასწავლებლები სახელმწიფოს განაწილებული ჰყავს რამდენიმე კატეგორიად, მათი მხრიდან სახელმწიფოს მიერ დანესებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების გათვალისწინებით. სკოლაში ასწავლიან მასწავლებლები, რომლებიც შეიძლება, თავიდან მასწავლებლის მაძიებლის სტატუსს ფლობდნენ. შემდეგ ისინი გადადიან პრაქტიკოსის საფეხურზე, საიდანაც შეუძლიათ უფროსის, წამყვანისა და შემდეგ მენტორის საფეხურებზე გადასვლა. საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა აქტივობაზე, რაც მასწავლებელს მოეთხოვება (საჩვენებელი გაკვეთილები, კონფერენციაში მონაწილეობა, პროფესიული რეფლექსიები და სხვ.). ამათ შორის ცენტრალური მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდაა, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად შეძლებს მასწავლებელი კარიერულ ზრდას მაძიებლის ან პრაქტიკოსის საფეხურის მიღმა.

ამ ანგარიშის წერის პერიოდისთვის ისტორიის მასწავლებლები ამგვარად იყვნენ განაწილებული აღნიშნულ საფეხურებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მხოლოდ

47. Mindiashvili, B., Gakheladze, G., & Taboridze, I. (2016). Religious and Ethnic Diversity in School Textbooks of Georgian Literature, History and Civic Education (9th–12th Grades). *Religious Education at Schools in Georgia*, 123.

48. ხომერიკი, ი., ჯავახიშვილი, მ., აბრამიშვილი, თ. (2012). გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას. სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIIR).

იმ მასწავლებლების რაოდენობები ჩანს, რომლებიც სახელმწიფოს სტატისტიკურ ბაზაში ისტორიის მასწავლებლებად აღირიცხებიან. აქ ცალკე არ არის დათვლილი ის მასწავლებლები, რომლებიც ისტორიასთან დაკავშირებულ საგნებს ასწავლიან (მაგ.: მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ან არჩევითი კურსები).

ცხრილი 5. ისტორიის მასწავლებლების განაწილება კატეგორიების მიხედვით (ავტორების გამოთვლები – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით)

	მაძიებელი	პრაქტიკოსი	უფროსი	წამყვანი	მენტორი	სულ
რაოდენობა	100	483	2940	632	31	4186
საერთო რაოდენობის წილი	2.4%	11.5%	70.2%	15.1%	0.7%	100%

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ისტორიის მასწავლებლების უმეტესობა (დაახლოებით 70%) უფროსი მასწავლებლის საფეხურზეა, რაც, რეალურად, პირველი საფეხურია, რომელზეც პროფესიული განვითარებისა და კარიერული სქემის საფეხურის შემოღების შემდეგ მასწავლებლებს შეეძლოთ გადასვლა. ამ სისტემის შემოღებისას ყველა მოქმედი მასწავლებელი პრაქტიკოს მასწავლებლის საფეხურზე გადანაწილდა.

მართალია, მასწავლებლების პროფესიული განვითარების სისტემაში არასახელმწიფო მომწოდებლებიც (არასამთავრობო სექტორი, უნივერსიტეტები, კერძო კომპანიები) არიან, მაგრამ ძირითადი აქტორი აქ მაინც სახელმწიფოა. კერძოდ, მასწავლებლების პროფესიული განვითარების კურსებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს.

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსაც სახელმწიფო განსაზღვრავს.⁴⁹ პროფესიული სტანდარტი ადგენს საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის კომპეტენციებს: პროფესიულ უნარ-ჩვევებს, პროფესიულ ცოდნასა და სწავლების მეთოდებს. ცოდნის ნაწილში ის თემებია ჩამოთვლილი, რომელსაც მასწავლებელი უნდა ფლობდეს.

49. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2008). მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.


4. კვლევის ძირითადი შედეგები

4.1. როგორ ესმით ახალგაზრდებს საქართველოს ისტორია?

4.1.1 ისტორიის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მიზნები ახალგაზრდებისთვის

საქართველოს ისტორია და მის შესწავლა, შესაძლოა, სხვადასხვა მნიშვნელობის იყოს საზოგადოების სხვადასხვა ნევრისთვის. იმისათვის, რომ გაგვერკვია, თუ რას ნიშნავს საქართველოს ისტორია მოსწავლეებისთვის, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, მათ ვთხოვეთ, შეეფასებინათ, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ შეთავაზებულ დებულებებს, რომლებიც ისტორიის განსხვავებულ მნიშვნელობებზე მიუთითებენ (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1. რას ნიშნავს ისტორია თქვენთვის?



როგორც შედეგებიდან ირკვევა, მოსწავლეების უმრავლესობა მნიშვნელოვნად აღიქვამს ისტორიის იმ ფუნქციებს, რომელთა შეფასებაც ხდებოდა კვლევის ფარგლებში და მათ საზოგადოების დღევანდელი ცხოვრების განმაპირობებლად განიხილავს (82%), ასევე, წარსულ გამოცდილებად, რომლის საფუძველზეც უნდა ვისწავლოთ (78%). ისტორიის მნიშვნელობების შეფასებისას ყველაზე მცირე მხარდაჭერა აქვს ისტორიის გაგებას, როგორც იმ მოვლენების ცოდნას, რითაც უნდა ვიამაყოთ (67%).

საინტერესოა, რომ ისტორიის, როგორც თავგანსაკუთრებისა და წარმოსახვის წყაროს დებულების მხარდაჭერა (72%) უფრო მცირეა, ვიდრე ისტორიის, როგორც აწმყოს ინტერპრეტაციისა და მასწავლებლის დებულების მხარდაჭერა. ეს გარემოება, შეიძლება, ისეთ მნიშვნელოვან კითხვას უკავშირდებოდეს, როგორცაა, თუ რამდენად

საინტერესოდ თვლიან მოსწავლეები, ზოგადად, ისტორიას. ისტორიით დაინტერესება ისტორიის შესწავლის მოტივაციასაც უკავშირდება და ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სასკოლო განათლების პოლიტიკისთვის.

მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ეთანხმება დებულებას, რომ ისტორიას არაფერი აქვს საერთო დღევანდელობასთან (13%) და რომ ის მხოლოდ სასკოლო საგანია (10%). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეების უმეტესობისთვის ისტორია მხოლოდ წარსულის მოვლენები არ არის და ის ახლანდელ გამოცდილებებთან და საჭიროებებთან მჭიდრო კავშირში აღიქმება.

დებულებები ისტორიის ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ ფაქტორული ანალიზის საშუალებითაც დაჯგუფდა.⁵⁰ პირველი ჯგუფი მოიცავს დებულებებს, რომლებიც აქცენტს **ისტორიის მნიშვნელოვნებაზე** აკეთებს და რომლებიც ანმყოს უკავშირდება; ხოლო მეორე ჯგუფი მოიცავს დებულებებს, რომელთა თანახმადაც, **ისტორიას მნიშვნელოვანი ფუნქცია არ აქვს** და ის, ძირითადად, წარსულში ჩაკეტილ მოვლენებად არის აღქმული. ამ ორი განსხვავებული ფაქტორისგან გამოთვლილი ინდექსების შედარება ცხადყოფს, რომ მოსწავლეები უფრო მეტად ეთანხმებიან ისტორიის მნიშვნელოვნების ფუნქციას. შედარებით მცირეა მათი რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ისტორია რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი საგანი არ არის.

საინტერესოა, რომ მსგავსი ტიპის გამოკითხვაში, რომელიც 2010-იან წლებში დიდ ბრიტანეთში ჩატარდა, მოსწავლეების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ისტორია მნიშვნელოვანი და გამოსადეგი საგანია, თუმცა გაუჭირდათ, დაესახელებინათ კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ ფიქრობენ ასე.⁵¹ ამგვარი ამბივალენტური დამოკიდებულების მიზეზებს შორის, განხილული კვლევის მიხედვით, არის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებული „გაურკვევლობა“, თუ რატომ უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა „წარსული“. ზოგადად, დისკუსიები და ცვლილებები ისტორიის სწავლებასთან დაკავშირებით გავრცელებული დისკურსია არამხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნების კონტექსტში. მაგალითად, ნიდერლანდებში, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში დეკლარირებულ დონეზეა გაცხადებული ისტორიის ინტერპრეტაციული მიდგომების დანერგვა, სინამდვილეში მასწავლებლები თავად აღიარებენ, რომ სწავლება ხშირად მაინც კონკრეტული ფაქტების შესწავლასა და არა კონტექსტის გააზრებასა და ინტერპრეტაციებზე დადის.⁵²

შედეგების უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის კვლევის ფარგლებში რეგრესიული ანალიზიც გამოვიყენეთ.⁵³ ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადი სოციოდემოგრაფიული ცვლადებიდან, ისტორიის მნიშვნელოვნებაზე დათანხმების მაჩვენებლები შედარე-

50. ფაქტორული ანალიზი ერთმანეთთან ძლიერ კორელირებული ცვლადების დაჯგუფების შესაძლებლობას იძლევა. ფაქტორული ანალიზის ახსნა და მისი დანიშნულება ამ კვლევაში განხილულია ქვეთავში [2.5.5 მონაცემთა ანალიზი](#).

51. დეტალურად, კვლევის შედეგები შეგიძლიათ, იხილოთ სტატიაში: Haydn, T., & Harris, R. (2010). Pupil perspectives on the purposes and benefits of studying history in high school: a view from the UK. *Journal of Curriculum Studies*, 42(2), 241-261.

52. Wansink, B. G. J., Akkerman, S., & Wubbels, T. (2016). The Certainty Paradox of student history teachers: Balancing between historical facts and interpretation. *Teaching and Teacher Education*, 56, 94-105.

53. რეგრესიული ანალიზი კვლევის სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული განსხვავებების გამოსავლენად გამოვიყენეთ. ფაქტორული ანალიზის ახსნა და მისი დანიშნულება ამ კვლევაში განხილულია ქვეთავში [2.5.5 მონაცემთა ანალიზი](#).

ბით მაღალია მცირე მოცულობის სკოლებსა და მართლმადიდებელ მოსწავლეებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიჭები უფრო მეტად ეთანხმებიან დებულებას, რომ ისტორიას მნიშვნელოვანი ფუნქცია არ აქვს, ვიდრე გოგოები. რაც შეეხება წიგნების რაოდენობის ფაქტორს, სახლში წიგნების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მცირდება ალბათობა, რომ ისტორია ფუნქციის არმქონედ დასახელდება. მიღებული შედეგების ახსნა და ინტერპრეტაცია, შესაძლოა, სამომავლო დაკვირვებისა და კვლევის საგანი გახდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის მნიშვნელოვნების დანახვა კავშირშია ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების სიხშირესა და წყაროების სანდოობის შეფასებასთან. რეგრესიული ანალიზის მიხედვით, რაც უფრო ხშირად იღებენ მოსწავლეები ისტორიის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან და რაც უფრო მეტად ენდობიან ამ წყაროებს, მით უფრო მეტად ეთანხმებიან ისტორიის მნიშვნელოვანი ფუნქციის შესახებ დებულებებს.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სფეროს ექსპერტები იმ სავარაუდო მიზეზებზე საუბრობენ, რის გამოც ისტორია, შესაძლოა, იყოს ან არ იყოს მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ოჯახი და საზოგადოება, რომლებიც აქებებს მათ და მოუწოდებს, რომ იცოდნენ თავიანთი ისტორია. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, გმირებით, ბრძოლებით ბავშვის დაინტერესება ძნელი არ არის.⁵⁴ მეორე მხრივ, მიიჩნევა, რომ ისტორიის არაკრიტიკული, „სტერილიზებული“ სწავლება, მაგალითად, საბჭოთა გამოცდილების ცალმხრივი, ზედაპირული ხედვა ახალგაზრდებში ნაკლებ ინტერესს იწვევს.⁵⁵ როგორც რაოდენობრივი კვლევიდანაც გამოჩნდა, ისტორიის მიმართ ინტერესს შეიძლება, უკავშირდებოდეს ისტორიის გაგება სახალისო და საინტერესო სფეროდ.

ისტორიის შესწავლის მიზნების ანალიზისას გამოჩნდა, რომ, მოსწავლეების აზრით, ისტორია უკიდურესად მნიშვნელოვანია როგორც წარსულის ცოდნისთვის (84%), ასევე, აწმყოს გაანალიზებისა (87%) და მომავლის განსაზღვრისთვის (81%).

საინტერესო, შეიძლება, იყოს ის, რომ შედეგების მიხედვით, კერძო რეპეტიტორის ყოლის შემთხვევაში ნაკლებია „მომავლის განსაზღვრის“ დებულებაზე დათანხმების ალბათობა. ეს გარემოება შესაძლოა, რამდენიმე საკითხზე მიუთითებდეს. ერთი მხრივ, შესაძლებელია, რომ რეპეტიტორების საშუალებით მოსწავლეებს ისტორიის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება უყალიბდებათ, ვიდრე მათ, ვისაც რეპეტიტორი არ ჰყავთ. ზოგადად, არსებობს კვლევები, რომლებიც მასწავლებლის ზეგავლენას აღწერენ ისტორიის მიმართ დამოკიდებულებებსა და შეფასებებზე.⁵⁶ რადგანაც რეპეტიტორები უფრო უშუალოდ ეკონტაქტებიან მოსწავლეებს ისტორიის საკითხების შესახებ, შესაძლოა, მათი ზეგავლენა უფრო მნიშვნელოვანი და ძლიერი იყოს. აქვე ისიც უნდა განიმარტოს, რომ როდესაც რეპეტიტორის ყოლასა და სხვა ცვლადებს შორის კავშირზე ვსაუბრობთ, არ ვცდილობთ, შედეგები საკუთრივ რეპეტიტორის არსებობით ავხსნათ, არამედ რეპეტიტორის ყოლა მოსწავლის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის ირიბი მაჩვენებელია.

54. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების მეცნიერებების მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 10 აპრილი, 2021.

55. ისტორიის მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ თბილისი, 11 აპრილი, 2021.

56. Evans, R. W. (1988). Lessons from history: Teacher and student conceptions of the meaning of history. *Theory & Research in Social Education*, 16(3), 203-225.


მეორე მხრივ, ეს გარემოება, შეიძლება, ისტორიის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაზე მიგვანიშნებდეს მათ შორის, ვინც სკოლის შემდგომ აკადემიურ განათლებაზე ფიქრობს. მათთვის ისტორია შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს იმიტომ, რომ ისინი უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე ისტორიის ჩაბარებისთვის ემზადებიან. ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლაც შეიძლება გახდეს სამომავლო კვლევის საგანი.

4.1.2 ისტორიის მოვლენების ინტერპრეტაცია ახალგაზრდების მიერ

ისტორიის გაგება და ინტერპრეტაცია იყო კიდევ ერთ საკითხი, რომელიც გამოკითხვის საშუალებით შევისწავლეთ. ერთი მხრივ, ისტორიული მოვლენები შეიძლება, იმ ობიექტურად არსებულ ქვეშარიტებად გავიგოთ, რომელსაც კვლევა და „დადგენა“ სჭირდება, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორია განვიხილოთ როგორც მრავალი ინტერპრეტაციის მქონე მოვლენები, რომლებიც აუცილებელი არ არის, საზოგადოებაში ან ისტორიკოსებს შორის ერთგვაროვნად ფასდებოდეს. იმის გამოსავლენად, თუ როგორ ინტერპრეტაციას აძლევენ ახალგაზრდები ისტორიას, მათ რამდენიმე დებულების შეფასება ვთხოვეთ.

გრაფიკი 2. რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?

ჩაქვნიანა ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს (%)



შედეგები აჩვენებს, რომ ისტორიის, როგორც ობიექტური ქვეშარიტების ხედვა და ისტორიის ინტერპრეტაციული გაგება დაახლოებით თანაბრად ნაწილდება მოსწავლეებს შორის (გრაფიკი 2). დებულებას „ერთი და იგივე ისტორიული მოვლენა შევხიძლია, სხვადასხვაგვარად ავხსნათ“ მოსწავლეების 68% ეთანხმება, ხოლო დებულებას „ისტორიკოსის როლი არის ნამდვილი ისტორიის დადგენა“ – 62%. ერთი შეხედვით, ეს ორი დებულება ერთმანეთის საწინააღმდეგოა, თუმცა, როგორც შედეგები აჩვენებს, ისინი თანადროულად არსებობენ. თვისებრივი კვლევა აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, ეს დებულებები წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს. ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ ახალგაზრდები აცნობიერებენ მოვლენების შესახებ სხვადასხვა წყაროს და, შესაბამისად, სხვადასხვა ინტერპრეტაციების გაცნობის აუცილებლობას, თუმცა წყაროების გაცნობის მიზანი ერთი ქვეშარიტების „მიგნებაა.“

“ მართო ერთ წყაროს თუ კითხულობ, დარწმუნებით ვერ იტყვი, რომ სწორია. შეიძლება, რომ თუ ერთი ბერძენი ასე წერდა, მეორე ქართველს სხვანაირად დაეწერა. შენ უნდა წაიკითხო ორივე და გაიგო, რომელია შენი აზრით სწორი. შესამეც უნდა წაიკითხო, მეოთხეც... უნდა მოძებნო სხვადასხვა ფაქტები, წყაროები... “.
 [მოსწავლე, მდედრ., ეთნიკური უმცირესობა, სამცხე-ჯავახეთი]

“ ჩვენ არ ვიცით სინამდვილეში რა მოხდა ზუსტად, იმიტომ რომ მემათიანეები იმ დროს წერდნენ იმას, რასაც ეუბნებოდა მეფე “.
 [მოსწავლე, მამრ., თბილისი]

როგორც ქვეთავში **კონტექსტის მიმოხილვა – ისტორიის სწავლება სკოლაში** იყო აღნიშნული, მასწავლებლები და მშობლები ერთი ისტორიული სიმართლის არსებობის იდეას ემხრობიან და მიიჩნევენ, რომ სწორედ ეს ქეშმარიტება უნდა ისახებოდეს სახელმძღვანელოებშიც.⁵⁷

როდესაც მოსწავლეებისთვის მრავალპერსპექტიულობა მხოლოდ ინსტრუმენტი „ქეშმარიტი ისტორიის“ აღსადგენად, ეს პოზიცია შეიძლება აფერხებდეს მათ უნარს, ისტორიული პერსპექტივიდან კრიტიკულად შეაფასონ წარსულში მომხდარი მოვლენები. ეს შეიძლება, ზღუდავდეს მათ მიერ ანმყოს გააზრებასა და მომავლის ხედვას. ეს პოზიცია, შესაძლოა, ასევე, ხელს უწყობდეს ერთგვარი გაბატონებული, ე.წ. გრანდ-ნარატივის ინსტიტუციონალიზებას, რომელიც ისტორიის მხოლოდ ცალმხრივ და ზოგჯერ პოლიტიკურად მოტივირებულ გააზრებას, ნაციონალისტური ისტორიის ფარგლებში სხვადასხვა მცირე ჯგუფების გარიყვასაც უკავშირდება ხოლმე.⁵⁸

საინტერესოა, რომ მოსწავლეების სხვა დებულებებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად მხარდაჭერილია ისტორიის პატრიოტული პერსპექტივიდან დაწერის მნიშვნელობა. ეს შეიძლება, უკავშირდებოდეს მათ სურვილს, რომ ისტორია მიუკერძოებლად უნდა იწერებოდეს. თუმცა, როგორც განათლების ეროვნული სტრატეგიის ანალიზისას გამოიკვეთა და შემდგომში ამ ანგარიშშიც ნახავთ, ისტორიის საფუძველზე პატრიოტული გრძნობების გაღვივება სკოლაში ისტორიის სწავლებისთვის წარმმართველი პროცესია.

ისტორიის შესწავლისას გასავითარებელ მნიშვნელოვან კომპეტენციებსა და მრავალპერსპექტიული ინტერპრეტაციის უნარს შესაძლოა, განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის საკითხი უკავშირდებოდეს. ხომთარიას მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალგაზრდები განსხვავებული მოსაზრებების მიმართ

57. Gundare, I. (2007). The Teaching of History in Georgia. With special focus on the Armenian and Azeri minorities and their representation in Georgian history textbooks. In History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian history textbooks (pp. 23–68). Cимера.

58. ამ თემაზე იხილეთ ფინელი ისტორიის სწავლების მკვლევრის, სირკა აჰონენის სტატია, სადაც ის მიმოიხილავს თანამედროვე ევროპაში, მათ შორის ყოფილ სსრკ-ს ქვეყნებში გრანდ ნარატივის დანერგვის საკითხებს საგანმანათლებლო სისტემებში. Ahonen, S. (2017). The lure of grand narratives: A dilemma for history teachers. In *International Perspectives on Teaching Rival Histories* (pp. 41-62). Palgrave Macmillan, London.

ღია ნაკლებად არიან.⁵⁹ კვლევაში ჩანს, რომ ახალგაზრდებისთვის, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია განსხვავებული აზრის მოსმენა, თუმცა, მეორე მხრივ, უცნობებისგან მოწოდებული ან რადიკალურად განსხვავებული აზრი, შეიძლება, განსაკუთრებული გაღიზიანების წყაროც კი გახდეს მათთვის.⁶⁰

4.1.3 შეჯამება

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის გაგებასთან დაკავშირებით გამოკითხვის შედეგად ორი დომინანტური მოსაზრება გამოიკვეთა, რომლის თანახმადაც ისტორიას აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია ადამიანთა ცხოვრებაში და ისტორიას ასეთი დანიშნულება არ აქვს – ის, უბრალოდ, სკოლის საგანია.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმეტესობისთვის ისტორია მხოლოდ წარსულში ჩაკეტილი მოვლენები არ არის და ის აწმყოში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება. ისტორია მოსწავლეებისთვის უფრო მნიშვნელოვანია აწმყოს ინტერპრეტაციისა და მომავლის განსაზღვრისთვის. ნაკლებად მნიშვნელოვანია ისტორია როგორც თავადადასავლების, წარმოსახვისა და სიამაყის წყარო. თითოეული ამ მიზნის თანახმად, ორგანიზებული სწავლების პროცესი მომავალი თაობების ფორმირების საკითხისთვის მარტივი გასააზრებელი არ არის. დაფიქრება გვჭირდება ისეთ საკითხებზე, თუ როგორი დამოკიდებულებების განვითარება იქნებოდა მნიშვნელოვანი ახალგაზრდებში.⁶¹

ზოგადად, ისტორიის მნიშვნელოვნებას განსაკუთრებით მცირე სკოლებში ანიჭებენ ყურადღებას; აგრეთვე, რაც უფრო ხშირად იღებენ ინფორმაციას ისტორიის შესახებ და რაც უფრო დიდია წყაროების მიმართ ნდობა, მით მეტადაა აღიარებული ისტორიის მნიშვნელოვანი ფუნქცია. აღსანიშნავია, რომ მოსაზრებას, რომ ისტორიას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ძირითადად, ბიჭები ეთანხმებიან და ისინი, ვისაც სახლში ცოტა წიგნები აქვს.

ისტორიის ინტერპრეტაციული გაგება სიმართლის დადგენის იდეასთან თანაარსებობს, სხვადასხვა წყაროების განხილვა კი, შეიძლება, მიზნად ერთი ქვეშარიტების დადგენას ითვალისწინებდეს.

59. ხოშტარია, თ. (2019). ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობების ღირებულებებისგან საქართველოში [დისერტაცია]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

60. იქვე.


61. ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ფრიდრიხ ნიცშე, თავის ნაშრომში ცხოვრებისთვის ისტორიის სარგებლისა და მავნებლობის შესახებ. ნიცშე საუბრობს ისტორიის სამ ასპექტზე: ისტორიის მონუმენტურობა (პედაგოგიური მხარე: ისტორია, როგორც დიადი საქმეებითა და ადამიანებით ინსპირაცია), ანტიკვარულობა (სიძველეების შესწავლა და საკუთარი იდენტობის გააზრება) და კრიტიკულობა (როგორც აწმყოს გააზრების საშუალება). ავტორი სამივე ამ მიზანის ნაკლსა და უპირატესობაზე მსჯელობს. იხ. Nietzsche, F. (2016). *Vom Nutzen und Nachteil der Historie für das Leben*. BoD–Books on Demand.

4.2. რა იციან ახალგაზრდებმა ისტორიის შესახებ და რითი ინტერესდებიან?

4.2.1 ისტორიის ცოდნის თვითშეფასება

ახალგაზრდების ცოდნის თვითშეფასების დასადგენად მოსწავლეებს ვკითხეთ, თუ როგორ აფასებდნენ ისტორიის ცოდნასა და ცალკეულ კომპეტენციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ისტორიის ცოდნის სტანდარტიზებული შეფასების საზომი, არამედ ახალგაზრდების თვითშეფასებას ემყარება. შესაბამისად, მიგნებების ინტერპრეტაციისა და დასკვნების გამოტანის დროს უნდა გავითვალისწინოთ თვითშეფასებითი საზომების თავისებურებები.⁶²

გრაფიკი 3. როგორ ფიქრობთ, რამდენად კარგად ფლობთ შემდეგ უნარებს/ცოდნას?



როგორც გრაფიკი 3-დან ირკვევა, ზოგადად, საქართველოს ისტორიის შესახებ ცოდნის თვითშეფასება შედარებით დაბალია, ვიდრე ზოგიერთი სპეციფიკური უნარის თვითშეფასება. კერძოდ, კითხვაზე „როგორ შეაფასებდით თქვენს ცოდნას საქართველოს ისტორიის შესახებ“ უმაღლესი შეფასება (10 ქულა) მხოლოდ 11%-მა დაასახელა მაშინ, როდესაც ერთ მესამედზე მეტი ირჩევს ანალოგიურ პასუხს დებულებებზე „ისტორიული მოვლენების შესახებ საკუთარი, პირადი აზრის ჩამოყალიბება“ (36%) და „ისტორიული მოვლენის/პირის შესახებ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება“ (35%). მოსწავლეების მეოთხედი კი, აგრეთვე, თვლის, რომ ძალიან კარგად იცის და შეუძლია „სხვადასხვა პერიოდის ორი ისტორიული მოვლენის შედარება“ (24%) და „სანდო წყაროების მოძიება“ (24%).

62. კერძოდ, უნდა გავითვალისწინოთ თვით-შეფასების დროს ინდივიდის მოტივაცია, კმაყოფილება საგნით, სწავლების გამოცდილება და სხვა ფაქტორები. დამატებით, იხილეთ: Sitzmann, T., Ely, K., Brown, K. G., & Bauer, K. N. (2010). Self-assessment of knowledge: A cognitive learning or affective measure? *Academy of Management Learning & Education*, 9(2), 169-191.

ფაქტორული ანალიზი აჩვენებს, რომ ისტორიის შესწავლის უნარების თვითშეფასება, ზოგადად, მაღალია (1-დან 10-მდე ინდექსის მაჩვენებელი 7.79-ია). უნარების თვითშეფასება კავშირშია სხვადასხვა სოციოეკონომიკურ ცვლადებთან. კერძოდ, წიგნების დიდი რაოდენობა სახლში, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი და მშობლების უმაღლესი განათლება, ზრდის ალბათობას, რომ მოსწავლე ისტორიის შესწავლის უნარებს მაღალი ქულით შეაფასებს. აქვე, საინტერესოა კერძო რეპეტიტორის ფაქტორიც – მოსწავლეები, რომელთაც რეპეტიტორი არ ჰყავთ, უფრო მაღალი ქულით აფასებენ საკუთარ უნარებს. ამგვარი კავშირი, თითქოს, მოსალოდნელი არ არის, რადგან შესაძლებელია, გვევარაუდა, რომ რეპეტიტორთან სიარული მეტ თავდაჯერებულობას შესძენდა მოსწავლეებს. მეორე მხრივ კი, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც რეპეტიტორი არ ჰყავთ, ინფორმაციის მოძიება დამოუკიდებლად უწევთ, პირად მოსაზრებებსაც მეტად ეფუძნებიან და, შესაბამისად, უნარების მაღალი თვითშეფასება აქვთ. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ უმცროს კლასებებში ისტორიის უნარების თვითშეფასება უფრო მაღალია, ვიდრე მეთერთმეტე ან მეთორმეტე კლასებებში. აღნიშნულ შედეგს ბევრი სხვადასხვა მიზეზი შეიძლება, ჰქონდეს, მაგალითად, უფროს კლასებში პროგრამის სირთულე, ასაკთან დაკავშირებული მოტივაციის ცვლილებები, რეპეტიტორების ფაქტორი და სხვ. ანალოგიური ეფექტი აქვს სკოლის ზომასაც: მცირე ზომის სკოლებში თვითშეფასება უფრო მაღალია.

ისტორიის უნარების თვითშეფასება, გარდა სოციოდემოგრაფიული ცვლადებისა, შესაძლოა, იმასთანაც იყოს დაკავშირებული, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები ისტორიას ან რა მეთოდს მიმართავენ გაკვეთილების დროს. რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც სტანდარტულ, ისე არასტანდარტულ საკლასო აქტივობებში⁶³ ხშირი ჩართულობა, ზრდის ალბათობას, რომ მოსწავლეებს შედარებით უფრო მაღალი თვითშეფასება ექნებათ სხვადასხვა უნარის ფლობასთან დაკავშირებით.

ისტორიის შესახებ ცოდნისა და უნარების თვითშეფასების გარდა, მოსწავლეებმა თავიანთი ნიშანიც დაასახელეს, რომელიც სკოლაში ისტორიის საგანში აქვთ. მონაცემებიდან ირკვევა, რომ მათ მიერ დასახელებული ნიშნები ძალიან მაღალია: მოსწავლეების უმეტესობა (39%) ამბობს, რომ გასულ წელს ისტორიაში შეფასება 10-იანი დაიშახურა, საშუალო ქულა კი 8.9 არის. აღსანიშნავია ისიც, რომ დაახლოებით მეხუთედმა (19%) ამ კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა. რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს, რომ წიგნების დიდი რაოდენობა სახლში, ორივე მშობლის უმაღლესი განათლება და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი მნიშვნელოვნად ზრდის იმის ალბათობას, რომ მოსწავლე მაღალ ნიშანს დაასახელებს.⁶⁴

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს თავიანთი ცოდნისა და უნარების საკმაოდ მაღალი შეფასება აქვთ, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები, როგორც არის TIMSS (ბუნებისმეტყველება და მათემატიკა), PIRLS (წიგნიერება), PISA (რაოდენობრივი/კითხვისა და ბუნებისმეტყველების კომპეტენციები) და „ეროვნული შეფასება“ ადასტურებს, რომ საქართველოს მოსწავლეების დიდ ნაწილს ტექსტის გააზრება უჭირს. მოსწავლეები განსაკუთრებულად არამხატვრული ტექსტების სიდრმისეულად გააზრებას ვერ ახერხებენ, რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად მოქმედებდეს მათ შესაძლებლობაზე, შეისწავლონ ისტორიის საგანში მოცემული შინაარსი. გარდა ამისა,

63. სტანდარტულ და არასტანდარტულ საკლასო აქტივობებს განვიხილავთ თავში: ისტორიის სწავლისა და სწავლების გამოცდილებები საქართველოში.

64. შენიშვნა: ეხება სტუდენტების მიერ დასახელებულ ნიშანს, რაც შესაძლოა, მათ მიერ რეალურად მიღებული ნიშნისგან განსხვავდებოდეს.

ყველა ეს კვლევა, ყურადსაღებ უთანასწორობაზეც მიუთითებს კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით დედაქალაქსა და სხვა დასახლებებს შორის.⁶⁵

კვლევაში მონაწილე სფეროს წარმომადგენელი ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ მოსწავლეების მიერ ტექსტის გააზრების სირთულე პრობლემური საკითხია.⁶⁶ მათი აზრით, მოსწავლეებისთვის სხვადასხვა წყაროს მიწოდება არ ნიშნავს, რომ ისინი მათ გაანალიზებას შეძლებენ. მათ აზროვნებასა და ინტერპრეტაციაში თავისუფლების მიცემა სჭირდებათ, რაც, ექსპერტების აზრით, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს.⁶⁷ გარდა ამისა, ექსპერტები ხაზს უსვამენ ისტორიის სხვა დარგებთან სინთეზის პრობლემასაც. მათი თქმით, ახალგაზრდები ვერ ახერხებენ ისტორიის გააზრებასა და უნარების პრაქტიკულ გამოყენებას.⁶⁸

4.2.2 ისტორიით დაინტერესება

იმისათვის, რომ დაგვედგინა, აინტერესებთ თუ არა მოსწავლეებს ისტორია, რესპონდენტებს ვკითხეთ, რამდენად საინტერესო იყო მათთვის საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდი (გრაფიკი 4), თემა (გრაფიკი 5) და გეოგრაფიული ტერიტორია (გრაფიკი 6).

65. კოკილაშვილი ლ. (2020). მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია [აქ](#). შოშიტაიშვილი, თ., & ქუმბურიძე გ. (2020). TIMSS 2019—მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა, პირველადი ანგარიში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია [აქ](#). ხეჩუაშვილი, ლ., ბრეგვაძე, თ., & რატიანი, გ.. (2019). PIRLS/ePIRLS 2016—ნიგნიერება: მეოთხეკლასელთა მიღწევები და მათზე მოქმედი ფაქტორები. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ხელმისაწვდომია [აქ](#).


66. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, მდედრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 16 აპრილი, 2021.

67. ისტორიის მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 11 აპრილი, 2021.

68. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, მდედრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 16 აპრილი, 2021.

გრაფიკი 4. რამდენად გაინტერესებთ საქართველოს ისტორიის შემდეგი პერიოდები?

რამდენად გაინტერესებთ საქართველოს ისტორიის შემდეგი პერიოდები? (%)



პერიოდების შეფასებისას, მოსწავლეებმა თითქმის ყველა პერიოდისადმი დაინტერესების მაღალი მაჩვენებლები აჩვენეს. თუმცა, ჯამურად, ყველაზე მეტად საინტერესო მათთვის 400-1350 წლების პერიოდია (81%), რომელიც მოიცავს ქრისტეანობის მიღებას, საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბებისა და „ოქროს ხანის“ პერიოდს. „ოქროს ხანის“ პერიოდზე საუბრობენ ფოკუსჯგუფების მონაწილეებიც. ამ მოვლენების ცოდნა, რესპონდენტების აზრით, მოქალაქეს საქართველოს წარსული სიდიადისა და ერთიანობის შესახებ ახსენებს და ქვეყნის სამომავლო აღმშენებლობისა და გამთლიანების მაგალითს უჩვენებს:

“ დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, როცა მან საქართველო ააყვავა და გაადიდა, მაშინ ყველაზე დიდი იყო საქართველო. ეს არის ჩვენი წარსული და რომ ვიცოდეთ რა ხდებოდა წარსულში აუცილებელია ნელ-ნელა წინ წავიდეთ და ჩვენი ქვეყანა უფრო გავაერთიანოთ”.
[მოსწავლე, მდედრ., ეთნიკური უმცირესობა, სამცხე-ჯავახეთი]

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სფეროს ექსპერტები თვლიან, რომ ამ პერიოდს, როგორც „ძლიერ ეპოქას“ საქართველოს ისტორიაში, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მასწავლებლებიც. შესაბამისად, სკოლაში მის სწავლებას საკმაოდ დიდი დრო ეთმობა.⁶⁹ გარდა ამისა, მათი შეფასებით, გაერთიანებული საქართველოს ისტორიის

69. განათლების სფეროს ექსპერტი, ისტორიის მასწავლებელი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 15 აპრილი, 2021.

სწავლება ყველაზე კომფორტულია, რადგან ის არანინააღმდეგობრივი და არაამბივალენტურია, განსხვავებით სამთავროების ისტორიისგან, რომელთა კრიტიკული გააზრება – რა მოტივაცია ჰქონდა ამა თუ იმ მთავარს – ჭირს. ამიტომ ისევ „მოლაღა-ტე“-„გმირის“ ჩარჩოში თავსდება ყველაფერი.⁷⁰

ოქროს ხანის შესახებ სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ეროვნული ნარატივის ჩამოყალიბებისთვის. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ოქროს ხანის, და, ასევე, ჰეროიკულ და მსხვერპლის ნარატივებს მნიშვნელოვანი როლი აქვს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის.⁷¹ ოქროს ხანის მითი, შეიძლება, გამოიყენებოდეს ისტორიის სხვა პერიოდების შესაფასებლად, როგორც მიძინებისა თუ გამოღვიძების ხანად.⁷² ოქროს ხანის აღდგენის სურვილი კი შეიძლება, ცენტრალურ თემად განვიხილოთ ქართული ეროვნული ნარატივისთვის.⁷³

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, „ოქროს ხანის“ შემდეგ, მოსწავლეებისთვის ყველაზე საინტერესო პერიოდია მე-19 საუკუნიდან დღემდე, რომელიც რუსეთის იმპერიისა (72%) და საბჭოთა კავშირის პერიოდებსა (76%) და საქართველოს უახლეს ისტორიას (76%) მოიცავს. ფოკუსჯგუფებიც აჩვენებს, რომ ახალგაზრდები ხაზს უსვამენ ამ პერიოდების ცოდნის მნიშვნელოვნებას და მის მიმართ არსებულ ინტერესს. თუმცა, ექსპერტების დაკვირვებით, საქართველოს ისტორიის სწავლებისას, სწორედ, ამ პერიოდებს ეთმობა ყველაზე ნაკლები დრო.⁷⁴ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, ერთი მხრივ, უახლეს ისტორიას სახელმძღვანელოებში ძალიან ცოტა დრო ეთმობა და, შესაბამისად, მოსწავლეები სრულყოფილად ვერ სწავლობენ ამ პერიოდებს, ხოლო, მეორე მხრივ, მე-19 საუკუნის ისტორიის განხილვისას, მასწავლებლებიც ერიდებიან იმაზე საუბარს, რომ ეს საქართველო კი არა, სინამდვილეში, რუსეთის იმპერიაში შემავალი ორი გუბერნიაა.

რაც შეეხება მე-20 საუკუნეს, კვლევის რესპონდენტი სფეროს ექსპერტების შეფასებით, ის სათანადოდ გააზრებული, შესწავლილი და შესაბამისად ასახული არ არის სახელმძღვანელოებში. საბჭოთა ისტორიის სწავლებაც არასრულყოფილად მიმდინარეობს და მხოლოდ დამოუკიდებლობის დაკარგვაზე, ტერორზე და შემდეგ დამოუკიდებლობის აღდგენაზე საუბარი, გაანალიზებული კი არ არის, რა ხდებოდა საბჭოთა 70 წლის მანძილზე.⁷⁵ ამაში როლს თამაშობს საბჭოთა წარსულის გააზრების ფორმალური (სასკოლო) და არაფორმალური (სახლი, ოჯახური ისტორიები საბჭოთა ცხოვრების შესახებ) დისკურსების წინააღმდეგობრიობა, სადაც ოჯახური ნარატივი, სასკოლოსთან შედარებით, უფრო პოზიტიურად აფასებს საბჭოთა პერიოდს. არაფორმალური ნარატივები კი ხშირად ფორმალურზე მძლავრია.⁷⁶

70. ისტორიის მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 11 აპრილი, 2021.

71. Wertsch and Roediger 2008, ციტირებულია Batiashvili, N. (2017). *The bivocal nation: Memory and identity on the edge of empire*. Springer.

72. Assmann, A. (2006). Checklist for a Georgian national narrative. In *Negotiating a New National Narrative in Georgia*, გვ. 18.

73. Assmann, J. (2006). Cultural Memories and National Narratives: With Some Relation to the Case of Georgia. In *Negotiating a New National Narrative in Georgia* (pp. 21–23). გვ. 23.

74. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების მეცნიერებების მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 10 აპრილი, 2021.

75. ისტორიის დოქტორი, პროფესორი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 14 აპრილი, 2021.

76. საქართველოს ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების ფორმალურ და არაფორმალურ წყაროებს განვიხილავთ თავში [ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები](#)

მასწავლებლების თქმით, XX-XXI საუკუნეების ისტორიის სწავლებას სამეცნიერო კვლევებისა და პუბლიკაციების ნაკლებობაც ართულებს. მათ ისიც აღნიშნეს, რომ საქართველოში ამ პერიოდების კვლევას ხშირად საბჭოთა ეპოქის ისტორიული პირების პირად არქივებზე დანეხებული შეზღუდვებიც აბრკოლებს:

“ მე არქივში მაქვს წლები ნამუშევარი და [XX საუკუნის] იმდენ მასალაზეა ტაბუ დადებული, ვერ მიწვდები. ამიტომ, მეოცე საუკუნეში იმდენი საკითხია რეალურად შეუსწავლელი. (...) ჩვენდა სამწუხაროდ, საბჭოურ პერიოდში ბევრი რამაა ბუნდოვანი და ყველაზე მეტად ეს პერიოდი აინტერესებთ ბავშვებს და, შესაბამისად, ჩვენც მობილიზებული უნდა ვიყოთ, რამდენადაც ხელმისაწვდომია მასალიდან გამომდინარე, ბავშვი იყოს ინფორმირებული“.

[მასწავლებელი, მდედრ., კახეთი]

ამ პერიოდის შესახებ სწავლებისას გამოყენებულ მასალაზე მასწავლებლები ორგანიზაცია „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის“ (Sovlab) მიერ გამოქვეყნებულ ზეპირი ისტორიების კრებულებსა და სხვა გამოცემებს ასახელებენ:

“ ახლა დაიწყო ძალიან კარგი პროექტი, არ ვიცი თქვენ ხართ თუ არა ჩართულები კოლეგებო. ქმნიან, მოკლე ვიდეოებს, რეპრესირებული ადამიანების მონაყოლი, ზეპირი ისტორიები, ეს ყველაფერი რომელიც შესანიშნავად შეიძლება იქნას გამოყენებული. „სოვლაბის“ რესურსები შესანიშნავია, მათ წიგნიც გამოსცეს ძალიან კარგი, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული. სახელმძღვანელოები ვერ უძლებს კრიტიკას ამ საკითხში, არანაირად არაა დამაკმაყოფილებელიც კი, ამ კუთხით“.

[მასწავლებელი, მდედრ., კახეთი]

რაც შეეხება მოსწავლეებისთვის ყველაზე ნაკლებად საინტერესო პერიოდებს, რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, ასეთი ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე (62%) და ძველი წელთაღრიცხვის 500 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 400 წლამდე (66%) პერიოდებია. თუმცა, თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ეს პერიოდები ახალგაზრდებისთვის მიუთითებს ქართული კულტურის სიძველეზე, ხოლო კულტურის „სიძველე“, თავისთავად, მნიშვნელოვან ღირებულებად და კულტურულ უპირატესობად არის აღქმული.


“ ვერავინ იტყვის, რომ საქართველო არის გუბინნინ შექმნილი სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია ისტორია. ვერავინ ვერ შეადარებს მას ნებისმიერ სხვა ქვეყანას. ისეთ სახელმწიფოებზე დიდი ისტორია გაგვაჩნია, რომლებიც ახლა განვითარებულ ქვეყნებად ითვლებიან“.

[სტუდენტი, მდედრ., ქუთაისი]

გარდა სხვადასხვა პერიოდებისა, რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ისტორიის სხვადასხვა თემით დაინტერესებაც მაღალია სკოლის მოსწავლეებს შორის. ეს საკითხი თავისი არსით მნიშვნელოვანია, რადგანაც ისტორიული დროის შემეცნება მოსწავლეებს დროში ორიენტაციასა და ისტორიული ცნობიერების გამომუშავებაში ეხმარება. ამ თვალსაზრისით მათ უადვილდებათ წარსულის ინტერპრეტაცია, აწმყოს ახსნა და მომავალზე რეფლექსია⁷⁷.

გრაფიკი 5. რამდენად ხართ დაინტერესებული შემდეგი თემებით ისტორიიდან?

ჩაქვნიან ხართ დაინტერესებული შემდეგი თემებით ისტორიიდან? (%)



როგორც გრაფიკი 5-დან ირკვევა, მოსწავლეებს ყველაზე მეტად საკუთარი ოჯახის ისტორია (83%), მოგზაურობა და დიდი აღმოჩენები (75%), ომებისა და დიქტატურის (71%) და მეფეების, დედოფლებისა და სხვა ცნობილი ადამიანების (70%) შესახებ ინფორმაცია აინტერესებთ.

საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების (46%) შესახებ ისტორიები ყველაზე ნაკლებ საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. არადა, მასწავლებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მიხედვით, სწორედ, სოციალურ და ყოველდღიურ ისტორიაზე ფოკუსის გადატანა სასურველია.⁷⁸

77. ეს მოსაზრებები მოცემულია ნიდერლანდებში ჩატარებული კვლევის მიხედვით დაწერილ შემდეგ სტატიაში: de Groot-Reuvekamp, M., Ros, A., van Boxtel, C., & Oort, F. (2017). Primary school pupils' performances in understanding historical time. *Education 3-13*, 45(2), 227-242. თავის მხრივ, ამ სტატიაში მოყვანილი მოსაზრებები ეფუძნება სამ სხვა ნაშრომს: Angvik, M., & von Borries, B. (Eds.). (1997). *Youth and history: A comparative European survey on historical consciousness and political attitudes among adolescents* (Vol. 1). Körber-Stiftung. Seixas, P. (2004). *Theorizing Historical Consciousness* (Toronto, Buffalo & London, University of Toronto Press). Rüsen, J. (2012). Tradition: A principle of historical sense generation and its logic and effect in historical culture. *History and Theory*, 51(4), 45-59.

78. პრინციპში, აღნიშნული მოსაზრება გარკვეულ შესაბამისობაში მოდის იდეასთან, რომ ისტორიული კონტექსტის რეკონსტრუქციის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს „ქრონოლოგიური, სივრცითი, სოციოპოლიტიკური, სოციოეკონომიკური და სოციოკულტურული“ საკითხები. მოყვანილია ციტატა სტატიიდან: Huijgen, T., Holthuis, P., van Boxtel, C., & van de Grift, W. (2019). Promoting historical contextualisation in classrooms: an observational study. *Educational Studies*, 45(4), 456-479. გამოყენებულია შემდეგი კვლევის მიგნებები: De Keyser, R., and P. Vandepitte, Eds. 1998. *Historical Formation. Design of Vision*. Brussels, Belgium: Flemish Board for Catholic Secondary Education

“ ვფიქრობ, ბავშვს დაეხმარება ყოველდღიურობის ისტორიის გააზრება, შესწავლა რაღაც დონით. ჩვენ ბევრი კარგი ლიტერატურა გაგვაჩნია, შეიძლება გამოვიყენოთ. აი, მაგალითად, როგორი იყო, სიტყვაზე, ქორწინება შუა საუკუნეებში, ჩაცმულობა, დღევანდელთან რა მსგავსებაა, რა განსხვავებაა. კვების დროს როგორ ისხდნენ ერთმანეთთან – ქალები ისხდნენ კაცებთან? არ ისხდნენ?”
[მასწავლებელი, მდედრ., თბილისი]

ამ პერსპექტივიდან, გამოკითხვაში გამოვლენილი ყოველდღიური ისტორიით ნაკლებად დაინტერესება, შეიძლება, იმ გარემოებას დავეკავშიროთ, რომ ეს თემა სკოლებში შედარებით ნაკლებად ისწავლება. შესაბამისად, შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ისტორიის ამ ასპექტზე მეტი აქცენტის გაკეთებამ, შესაძლოა, მის მიმართ დაინტერესებაც გაზარდოს. თუმცა, ჩამონათვალში ყველაზე პოპულარული პასუხებიც (ოჯახის ისტორია, მოგზაურობები და აღმოჩენები), სავარაუდოდ, არ არის სასწავლო პროცესის მაღალი ინტენსივობის შედეგი. ამიტომ თემებით მოსწავლეთა შედარებით მეტი ან ნაკლები ინტერესი ამ თემებთან სკოლაში ურთიერთობის გამოცდილებას არ უნდა დავეკავშიროთ მხოლოდ.

ზოგადად, განათლების ფსიქოლოგიაში ჩატარებული კვლევების თანახმად, მოსწავლეებში სწავლების მიმართ ინტერესის გაღვივებაზე ინდივიდუალური (შესასწავლი საკითხის მნიშვნელოვნება, მოსწავლის წინარე ცოდნა საგანში, წინასწარგანწყობა და ა.შ.) და სიტუაციური ფაქტორებია (მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული სწავლების განსხვავებული მიდგომები)⁷⁹ პასუხისმგებელი. ამ მიდგომის თანახმად, მოსწავლეების დაინტერესებისთვის საჭიროა ორივე ფაქტორის გათვალისწინება, თუმცა მხოლოდ ინტერესის გაღვივება ხშირად საკმარისი არ არის საკითხების სიღრმისეული შესწავლისა და სრულფასოვანი ცოდნის შესაძენად⁸⁰.


ისტორიაში მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენა გეოგრაფიული ტერიტორიების შესახებ კითხვებით დასრულდა.

79. ეს საკითხი დეტალურადაა განხილული შემდგომ სტატიაში: Bergin, D. A. (1999). Influences on classroom interest. *Educational psychologist*, 34(2), 87-98.

80. აღსანიშნავია, რომ ბერგინის (1999) სტატიაში აგრეთვე მოყვანილია მაგალითები, როდესაც მხოლოდ ინტერესის გაზრდა ავტომატურად არ ნიშნავს სწავლების შედეგების გაუმჯობესებას. მაგალითად, საინტერესო, მაგრამ არარელევანტური დეტალებით შეიძლება მოსწავლის ინტერესი მიიზიდოს, მაგრამ ეს არ აისახება, ზოგადად, სწავლებით დაინტერესებაზე.

გრაფიკი 6. რამდენად გაინტერესებთ ამ გეოგრაფიული ტერიტორიების ისტორია?

რამდენად გაინტერესებთ ამ გეოგრაფიული ტერიტორიების ისტორია? (%)



მოსწავლეებისთვის ყველაზე მეტად საინტერესო საქართველოს (88%), თავიანთი სოფლის ან ქალაქის (81%) და რეგიონის (81%) ისტორია აღმოჩნდა. ინტერესის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აზიისა (62%) და აზიისა და ევროპის გარეთ არსებული მსოფლიოს ისტორიამ (65%) დაიმსახურა. შესაბამისად, მოსწავლეები უფრო მეტად ადგილობრივი და რეგიონული ისტორიით ინტერესდებიან, ხოლო მსოფლიო ისტორიით დაინტერესება შედარებით ნაკლებია. ერთი მხრივ, ბუნებრივია, რომ ადამიანს, პირველ რიგში, საკუთარი ქალაქი, სოფელი და ქვეყანა აინტერესებს, და ფიზიკურად რაც უფრო დაშორებულია გარკვეულ ტერიტორიას, მით ნაკლებ აქტუალურად ეჩვენება იგი. თუმცა, საგულისხმოა, რომ ქვეყანაში, რომელიც „ხიდად“ მოიაზრება ევროპასა და აზიას შორის, ახალგაზრდებს ევროპის ისტორია უფრო აინტერესებთ, ვიდრე აზიისა. ეს, შესაძლოა, უკავშირებოდეს იმას, რომ ოფიციალური დისკურსით, ქართველი ევროპელია, ხოლო საქართველო – ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყანა. 2021 წელს ჩატარებული კვლევის „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“ თანახმად, მოსახლეობის 68% ეთანხმება დებულებას „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი“. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებაზე დათანხმების მაჩვენებელი დროთა განმავლობაში იზრდება⁸¹ – ამავე კვლევის მიხედვით, როდესაც რესპონდენტებს სთხოვეს, თავიანთი იდენტობა დაეხასიათებინათ, 26%-მა აღნიშნა, რომ თავს, ერთდროულად, საკუთარი ეთნიკური ჯგუფის წევრად (მაგალითად, ქართველად) და ევროპელად გრძნობენ.⁸²

81. Caucasus Research Resource Center, (2021) [Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia] ჩამოტვირთულია ODA-დან 2022 წლის 20 იანვარს: <https://caucasusbarometer.org/ge/eu/ge/EUROPEAN/>

82. Caucasus Research Resource Center, (2021) [Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia] ჩამოტვირთულია ODA-დან 2022 წლის 20 იანვარს: <https://caucasusbarometer.org/ge/eu2021/ge/IDENTITY/>

ადგილობრივი და რეგიონული გეოგრაფიული ტერიტორიებით დაინტერესებას, შეიძლება, ისიც აძლიერებდეს, რომ, ექსპერტების თქმით, საქართველოს ისტორია, უმეტესად, იზოლაციონისტურად ისწავლება და საქართველოს ისტორიის მსოფლიო ან, თუნდაც, რეგიონული ისტორიის კონტექსტში განხილვის სიმცირეა.⁸³ ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ამ ვითარების საფუძვლები ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიულ ტრადიციებშია, სადაც, ჩვეულებრივ, ნაკლები იყო საგარეო ურთიერთობებზე, სხვა ქვეყნებთან კავშირზე საუბარი.⁸⁴

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდისადმი, თემებისადმი და გეოგრაფიული ტერიტორიებისადმი ზოგადი ინტერესი სტუდენტებს შორის მაღალია. თუმცა, ეს ინტერესი განსხვავებულია სხვადასხვა სოციოდემოგრაფიულ ჯგუფში. მაგალითად, გოგობები უფრო მეტად არიან დაინტერესებული საქართველოს ისტორიის როგორც სხვადასხვა ეპოქით, ასევე სხვადასხვა თემით, ვიდრე ბიჭები; ასევე, მე-9 კლასელებს უფრო აინტერესებთ ისტორია, ვიდრე მათზე მაღალკლასელებს. გარდა ამისა, წიგნების რაოდენობა სახლში და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი ანალოგიურად ზრდის იმის ალბათობას, რომ მოსწავლეს ექნება ზოგადი ინტერესი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპოქის, თემისა და გეოგრაფიული ტერიტორიის მიმართ. წარმოდგენილი მიგნებები, სიღრმისეული ანალიზის მიზნით, შესაძლოა, იყოს სამომავლო კვლევის საგანი.

ისტორიის მიმართ ინტერესი ისტორიის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების სიხშირესა და მათ მიმართ ნდობასაც უკავშირდება. რეგრესიული ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა წყაროდან ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების სიხშირე და წყაროების მაღალი ნდობა ისტორიის სხვადასხვა თემებისადმი მაღალი ინტერესის არსებობის ალბათობას ზრდის. სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების სიხშირე და ნდობა, შეიძლება, ორმხრივად უკავშირდებოდეს ისტორიის მიმართ ინტერესებს – დაინტერესების მიზეზიც იყოს და შედეგიც.

4.2.3 ისტორიული პირები

გარდა ისტორიული პერიოდებისა, თემებისა და გეოგრაფიული ტერიტორიებისა, მოსწავლეები ქართველ და არაქართველ გამორჩეულ ისტორიულ (და, ზოგ შემთხვევაში, არაისტორიულ) პირებსაც აფასებდნენ. კერძოდ, ერთი მხრივ, მათ უნდა შეეფასებინათ, თუ რამდენად მიიჩნევენ სიით შეთავაზებულ პირებს ქართველი ერის საამაყო წინაპრებად, ხოლო, მეორე მხრივ, თავად უნდა დაესახელებინათ გამორჩეული ისტორიული გმირი.


ერის საამაყო წინაპრის წინასწარ შეთავაზებული სია მოიცავდა როგორც ისტორიულ პირებს, ასევე, მითოლოგურ და პრეისტორიულ პერსონაჟებს (გრაფიკი 7).

83. ისტორიის დოქტორი, პროფესორი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 14 აპრილი, 2021.

84. განათლების ექსპერტი, ისტორიის მასწავლებელი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 15 აპრილი, 2021.

გრაფიკი 7. ერის საამაყო წინაპარი

თვლით თუ არა რომ არის ქართველი ერის საამაყო წინაპარი? (ღიახ %)



ქართველი ერის საამაყო წინაპრებს შორის პირველობა თამარ მეფემ (95%) და დავით აღმაშენებელმა (95%) დაიკავეს, რომლებიც გამოკითხული მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ქართველი ერის საამაყო წინაპრები არიან. იაკობ გოგებაშვილმა (94%), ილია ჭავჭავაძემ (94%) და ვახტანგ გორგასალმა (94%) აგრეთვე მაღალი შეფასებები მიიღეს.

თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ ახალგაზრდები გმირებად აღიქვამენ საქართველოს გამაერთიანებლებს, ქვეყნის დამცველებსა და განათლების მხარდამჭერებს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მეფეებისა და საზოგადო მოღვაწეების სიის სათავეში მოხვედრა. აღსანიშნავია, რომ არაასამაყო პირების მახასიათებელი, ფოკუსგუფების მიხედვით, „საქართველოს მოღალატეობა“ იყო.

საინტერესოა, რომ საამაყო წინაპრებად მოსწავლეების მნიშვნელოვანი რაოდენობა მითიურ და პრეისტორიული პერსონაჟებსაც მიიჩნევს (ამირანი – 59%, ზებუა და მზია – 55%, კოლხი მეფე – 43%). ეს, შესაძლოა, არც იყოს გასაკვირი, რადგან ეროვნული ნარატივის შექმნისას, ისინი ნარატივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიპს – წარმომავლობის მითს უკავშირდებიან. არგონავტებისა და რჩეულობის მითი, ოქროს ხანის მითთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია ქართული იდენტობისთვის.⁸⁵

არცთუ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩევიან საიათნოვა (35%) და სერგო ფარაჯანოვი (35%). ამ შემთხვევაში, შესაძლოა, მოსწავლეებს არ ჰქონდათ მათ

85. Assmann, J. (2006). Cultural Memories and National Narratives: With Some Relation to the Case of Georgia. In Negotiating a New National Narrative in Georgia (pp. 21–23). გვ. 23.

შესახებ ინფორმაცია, რადგან გამოკითხულთა ნახევარზე მეტს ამ ორი პიროვნების შესახებ გაუჭირდა პოზიციის დაფიქსირება და პასუხად „არ ვიცი“ მონიშნა. თუმცა, შეიძლება, ამას სხვა ახსნა ჰქონდეს – ის, რომ საიათნოვა და ფარაჯანოვი საამაყო წინაპრებად არ მიიჩნიეს, რადგან, ისინი ეთნიკურად ქართველები არ არიან.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ერთმა მეოთხედმა გამორჩეულ გმირებად ლავრენტი ბერია (24%) და იოსებ სტალინი (24%) დაასახელა. ფოკუსგუფები აჩვენებს, რომ შეიძლება, ორივე მათგანის მიმართ ძალიან არაერთგვაროვანი პოზიციები იყოს. მოსწავლეები, ერთი მხრივ, ნეგატიურ ფიგურებად ახასიათებდნენ მათ, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს უსვამდნენ მათ ძლიერ პიროვნულ და ლიდერულ თვისებებს.


“ [სტალინი] საბჭოთა კავშირის მმართველი იყო მაშინ, როდესაც მის ირგვლივ საშობი გარემოცვა იყო, კამენევი, ტროცკი და სხვა ნიჭიერი პიროვნებები და მოახერხა და გალიდერდა“.

[მოსწავლე, მამრ., ქუთაისი]

შეთავზებული პირების გარდა მოსწავლეებს თავადაც უნდა დაესახელებინათ მათთვის გამორჩეული ისტორიული გმირი (გრაფიკი 8).

გრაფიკი 8. გამორჩეული ისტორიული გმირი

დაასახელეთ თქვენთვის გამორჩეული ერთი ისტორიული გმირი (ქართველი ან უცხოელი) (%)




წინასწარ შეთავზებული სიის მსგავსად, რესპონდენტების უმრავლესობამ ისტორიულ გმირებად დავით აღმაშენებელი (26%) და თამარ მეფე (16%) დაასახელა. სხვა ისტორიულმა ფიგურებმა კი უფრო ნაკლები ყურადღება დაიმსახურეს. საინტერესოა, რომ როდესაც მოსწავლეებს „საამაყო წინაპრების“ მზა სია გადაეცათ, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე იდენტურად იყო მონიშნული (ორივეს შემთხვევაში – 95%),

მაგრამ, როცა ვთხოვეთ, თავად დაესახელებინათ „გამორჩეული ისტორიული გმირი“, დავით აღმაშენებელი ბევრად უფრო ხშირად დასახელდა, ვიდრე თამარ მეფე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს კულტურაში „გმირს“ მასკულინური კონოტაცია აქვს, და, ზოგადად, „გმირის“ ხსენებისას კაცი უფრო ახსენდებათ, ვიდრე ქალი, რაზეც ცხრილში წარმოდგენილი შედეგებიც მეტყველებს.

გრაფიკი 9. გამორჩეული ისტორიული გმირი (2)

დასახელები თქვენთვის გამორჩეული ერთი ისტორიული გმირი (ქართული ან უცხოელი) (%)



მონაცემების შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესობამ დაასახელა რეალური ისტორიული ფიგურები (99%), უმეტესწილად, კაცები (81%), სეკულარული ფიგურები (97%), მეოცე საუკუნემდე მოღვაწე პირები (81%) და ქართველები (85%) (გრაფიკი 9). აღსანიშნავია, რომ ქართველი ისტორიული პირის დასახელების ალბათობა მართლმადიდებელ მოსწავლეებში უფრო მაღალია, ვიდრე არამართლმადიდებელ მოსწავლეებში. ქართველი პირის დასახელების ალბათობები აგრეთვე უფრო მაღალი იყო მცირე ზომის სკოლებში, ვიდრე დიდი ზომის სკოლებში. რაც შეეხება პერიოდიზაციას, აქ მნიშვნელოვანი ფაქტორი მხოლოდ მოსწავლის სქესი აღმოჩნდა – გოგოები უფრო მაღალი ალბათობით ასახელებდნენ შედარებით უფრო თანამედროვე, მეოცე საუკუნიდან მოყოლებულ ისტორიულ პირებს, ვიდრე ამას ბიჭები აკეთებდნენ. ეს, შესაძლოა, იმით იყოს განპირობებული, რომ ისტორიის კარგი ცოდნა საჭირო მე-20 საუკუნის გმირების დასახელებლად, რომლებიც შუა საუკუნეების გმირებთან შედარებით ნაკლებ ცნობილები არიან, ჩვენი კვლევის შედეგებმა კი აჩვენა, რომ გოგოები უკეთ სწავლობენ ისტორიას, ვიდრე ბიჭები. საინტერესოა, რომ მსგავსი სოციო-დემოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელოვნება სხვა კვლევაშიც გამოიკვეთა, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიაში გამოჩენილი გმირებისა და

უარყოფითი პირებისადმი დამოკიდებულების შესწავლა იყო.⁸⁶ გუგუშვილისა და კოლეგების (2017) მიერ ჩატარებული ამავე კვლევის თანახმად, გამოიკვეთა ისიც, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში (1900-წლიდან მოყოლებული) დადებითი ან უარყოფითი პირების დასახელებისას არც ერთ შემთხვევაში არ დასახელებულა ქალი ისტორიული პიროვნება (არც დადებით და არც უარყოფით კონტექსტში), რაც, ზოგადად, ჩვენს კვლევაში არსებულ ტენდენციასაც ეხმიანება.

ქალი ისტორიული პირები

ისტორიული პირების დასახელებისას, ქალები რესპონდენტების მხოლოდ 18%-მა დაასახელა. აღსანიშნავია, რომ გაცილებით მეტია შანსი, ქალი ისტორიული ფიგურა გოგოებმა (31%) დაასახელონ, ვიდრე ბიჭებმა (13%).

ქალი ისტორიული პირების შედარებით იშვიათად დასახელება, შესაძლოა, იმას უკავშირდებოდეს, რომ საქართველოს ისტორიის ფარგლებში, ქალ ისტორიულ პირებს ნაკლებად შეისწავლიან და ისტორიოგრაფიაში არ ფიგურირებს ბევრი ქალი ისტორიული პირის სახელი: როგორც ფოკუსჯგუფის მონაწილე ახალგაზრდები და მასწავლებლები აღნიშნავენ, ისინი „კაცების ისტორიას“ სწავლობენ; აცნობიერებენ ქალების ნაკლებად წარმოჩენის მიზეზებს და მას ქალების ისტორიულად დაქვემდებარებულ როლს მიაწერენ.

“ არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ [ქალების და მამაკაცების შესახებ] თანაბრად ისწავლება. რაც ისტორია გვაქვს და ისტორიული წყაროები, ყველაფერი ძირითადად მამაკაცზეა, მაინც. ერთი გამორჩეული ისტორიული ქალი პერსონაჟი ჩემთვის არის მარო მაყაშვილი. მარო მაყაშვილის შესახებ მაქვს ნასწავლი საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგრამ არა ისე ღრმად და გააზრებულად, როგორც მამაკაცებზე“.

[სტუდენტი, მდედრ., თბილისი]

“ მაშინ იყო ეს გენდერული შეზღუდვები, ის რომ ქალები ნაკლებად ფიგურირებდნენ, კაცს ქონდა მეტი უფლებები და ამიტომ ისტორიაში არ ინერებოდა ქალების დამსახურებები“.

[მოსწავლე, მდედრ., თბილისი]

ერთ-ერთი სტუდენტი შენიშნავს, რომ ქალი ისტორიული პირების შესახებ სასკოლო განათლების სიმწირე, შესაძლოა, იმას უკავშირდებოდეს, რომ ქალები საზოგადოებრივ ასპარეზზე საქართველოში XIX საუკუნიდან გამოდიან (მაგალითისათვის, ახსენებს ეკატერინე გაბაშვილსა და ბარბარე ჭორჭაძეს), ამ პერიოდის ისტორიის სწავლასა და სწავლებას კი სკოლაში ნაკლები დრო ეთმობა.

86. Gugushvili, A., Kabachnik, P., & Kirvalidze, A. (2017). Collective memory and reputational politics of national heroes and villains. *Nationalities Papers*, 45(3), 464-484.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოებში, კაცებთან შედარებით, ქალები ნაკლებად არიან წარმომჩენილები, არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე კი აქცენტი არ კეთდება.⁸⁷

ახალგაზრდა მასწავლებლები ამ საკითხს თავად ისტორიის მეცნიერების განვითარების ქრილში განიხილავენ. მათი თქმით, გენდერის ისტორიის კვლევა შედარებით ახალი მოვლენაა ისტორიის დარგში. საქართველოში ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევები შედარებით იშვიათია და, ძირითადად, აკადემიურ წრეებშია ჩაკეტილი. გარდა ამისა, მცდელობებს, რომ ამ ცოდნამ სკოლაში შეაღწიოს, წინ ინსტიტუციური ბარიერები ეღობება. შესაბამისად, სასკოლო ისტორიის სწავლებაზე ნაკლებად აისახება ეს ცოდნა. გარდა ამისა, ისინი ამბობენ, რომ ისტორია, ტრადიციულად, საქართველოში „ელიტების ისტორიად“ ჩამოყალიბდა. ამიტომ, საქართველოს ისტორიას, უმეტესად, ამ სოციალური კატეგორიის წარმომადგენელი ქალების შესახებ შემორჩა ცოდნა და არა, ვთქვათ, დაბალი წოდების მქონე ქალებისა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ისტორიული პირები

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამორჩეული გმირების დასახელებისას არაქართველი (მათ შორის, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი) პიროვნება მხოლოდ 15%-მა დაასახელა. ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებები ისევე, როგორც მათი მნიშვნელობის შეფასება საქართველოს ისტორიაში, შესაძლოა, იმით იყოს შეზღუდული, თუ რას სწავლობენ მოსწავლეები მათ შესახებ სკოლაში.

ფოკუსჯგუფის მონაწილეთა თქმით, საქართველოში მცხოვრები უმცირესობების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას სკოლაში იღებენ. თუმცა, როგორც შედეგებიდან ჩანს, საკითხის სიღრმისეული განხილვა არ ხდება. ერთ-ერთი მოსწავლის მიხედვით, მისი სასკოლო გაკვეთილები ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებას მხოლოდ ზედაპირულად მიმოიხილავს, რაც საკმარისი არ არის:

“ ჩემთან ძან ზედაპირულად ისწავლება, ნათქვამი კი არის, რომ ტოლერანტობით გამოირჩევა ქართველი ერი და გამოირჩეოდა მაშინაც, როცა ევროპაში ჩაგრავენენ უმცირესობებს, მაგრამ ეს ზედაპირულია და მინდა, რომ გაიშალოს ეს თემა, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს ტოლერანტობა?“

[მოსწავლე, მამრ., ქუთაისი].

აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა ხდებოდეს ადამიანის ეთნიკურობაზე ხაზგასმა. ერთი პოზიციის მიხედვით, ხაზგასმა არ უნდა ხდებოდეს, რადგან ის ხელს უშლის უმცირესობების ეროვნულ პოლიტიკურ სხეულში ინტეგრაციას.

87. ხომერიკი, ი., ჭავჭავაძე, მ., აბრამიშვილი, თ. (2012). გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას. სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIIF).

“ ჩვენ ვეუბნებით, რომ 'თქვენ დუხაბორები ხართ, სომხები ხართ' – და ესენიც იკეტებიან და არ ხდება მათი ინტეგრაცია. მე მიმაჩნია, რომ ქართველიზაცია უნდა მიმდინარეობდეს და არა ამ ეთნიკური ჯგუფების საგანგებოდ აფიშირება“.

[მასწავლებელი, მდედარ., თბილისი]

“ საქართველოში ბევრია მუსლიმი, რომელსაც ქართული სახელი და გვარი აქვს და შეიძლება, სულაც არ ვიცოდეთ მისი რელიგიური მიკუთვნებულობა. ალბათ, არც არის საჭირო, რომ ვიცოდეთ. ისინი თავისთავად ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და არაა მნიშვნელოვანი, მათ სახლში ჯვარი უკიდიათ თუ ხალიჩას შლიან და ისე ლოცულობენ“.

[სტუდენტი, მდედარ., თბილისი]

თუმცა, თავად სომხური ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები განიცდიან, რომ ეთნიკურად არაქართველი ისტორიული პირები საქართველოს ისტორიაში არ ჩანან ან მიკერძოებულად არიან წარმოჩენილნი. მათ მიაჩნიათ, რომ ეთნიკური უმცირესობების შესახებ სწავლება ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებისთვის არის მნიშვნელოვანი.

“ ჩემი ქალიშვილი ახლა თბილისში სწავლობს, მისი თანაკურსელები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან არიან. მიყვებოდა, რომ ამ ახალგაზრდებს გაუკვირდათ, ქართული რომ კარგად ვიცოდ. ისიც კი არ იცოდნენ, რომ სომხები ქრისტიანები ვართ. გაუკვირდა, არაფერი არ იცოდნენ.“

[მასწავლებელი, მდედარ., ეთნიკური უმცირესობა, სამცხე-ჯავახეთი]

სფეროს ექსპერტების თქმით, ისტორიის სწავლებისას ეთნიკური ნაციონალიზმის დისკურსი დომინირებს და, საქართველოს ისტორიის სწავლების ნაცვლად, ეთნიკური ქართველების ისტორია ისწავლება. ამასთან, სახელმძღვანელოები სათანადოდ არ ასახავს საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებას და, რიგ შემთხვევაში, ქსენოფობიურია.⁸⁸ საქართველოს მდიდარი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის ასახული და საქართველოს ისტორიის სწავლება იმ მეცნიერულად მცდარ წარმოდგენას აყალიბებს, რომ ქართული საზოგადოება მუდამ ეთნიკურად და რელიგიურად ჰომოგენური იყო. ამ საკითხზე მსჯელობისას მუდამ უნდა გავითვალისწინოთ ზოგადი კონტექსტი, რომელიც სასკოლო კურიკულუმებში საქართველოს მრავალფეროვნების ასახვაზე ახდენს გავლენას. მაგალითად, ეთნიკურად ქართული და რელიგიური სახე-ხატების დომინანტობა ეროვნულ იკონოგრა-

88. Mindiashvili, B., Gakheladze, G., & Taboridze, I. (2016). Religious and Ethnic Diversity in School Textbooks of Georgian Literature, History and Civic Education (9th– 12th Grades). Religious Education at Schools in Georgia, 123. Gigineishvili, L. (2007). Post- reform history textbooks in Georgia: Changing patterns and the issue of minorities in Georgian history. In History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian history textbooks (pp. 7–22). Cimera.

ფიაში (ოფიციალურ სიმბოლოებში, დღესასწაულებსა და ა.შ.).⁸⁹ ასეთ დროს, როდესაც სკოლის გარეთ არსებული დისკურსიც ერთგვაროვანია, გასაოცარი არ არის ის, რაც ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა. სფეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეთნო-ცენტრისტული ხედვები და სწავლება საბჭოთა ისტორიოგრაფიის გაგრძელებაა, ⁹⁰ სადაც ინტერნაციონალურობა უფრო მოჩვენებითი იყო.⁹¹ მათი აზრით, დღეისათვის სახეზეა ამის დაძლევის მცდელობა, თუმცა ეს მცდელობები, ჯერჯერობით, ზედაპირულია. მაგალითად, შეიმჩნევა სახელმძღვანელოების გაუმჯობესება და ახლა ისინი ნაკლებ დისკრიმინაციულია უმცირესობების მიმართ. თუმცა, სახელმძღვანელოებში დისკრიმინაციის არარსებობა საკმარისი არ არის, არამედ საჭიროა ეთნიკურად არადომინანტური ჯგუფების სათანადო რეპრეზენტაცია.⁹²

4.2.4 შეჯამება

ისტორიის ცოდნისა და მისი შესწავლის უნარების თვითშეფასება მოსწავლეთა შორის მაღალია. ცოდნასთან შედარებით, უფრო მაღალი შეფასება სხვადასხვა უნარებს აქვს, მაგალითად, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას, წყაროების მოძიებას და სხვადასხვა მოვლენის შედარებას. უნარების თვითშეფასება კავშირშია სხვადასხვა სოციოეკონომიკურ ცვლადთან. კერძოდ, წიგნების დიდი რაოდენობა სახლში, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი და მშობლების უმაღლესი განათლება, ისტორიის შესწავლის უნარების მაღალი თვითშეფასების ალბათობას ზრდის. თვითშეფასება აგრეთვე კორელაციაშია სკოლის ზომასთან და კლასთან, და სტანდარტულ და არასტანდარტულ სასკოლო აქტივობებში ჩართულობასთან.

რაც შეეხება ისტორიით დაინტერესებას, მოსწავლეები საქართველოს ისტორიით მაღალ დაინტერესებას ამჟღავნებენ. ისინი განსაკუთრებით დაინტერესებულები არიან ჩვ. წ. 400-1350 წლების პერიოდით და ადგილობრივი და რეგიონული ისტორიით. მათ, ასევე, აინტერესებთ თავიანთი ოჯახების ისტორია. ის მოსწავლეები, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილს გამოთქვამენ; ვისაც, სახლში ბევრი წიგნი აქვთ და ვინც, ხშირად იძიებს ისტორიის შესახებ ინფორმაციას და ენდობიან წყაროებს, მეტი ალბათობით ინტერესდებიან ისტორიით.

საამაყო წინაპრებისა და გმირების დასახელებისას მეფეები და ის საზოგადო მოღვაწეები ლიდერობენ, რომლებიც შეიძლება, ერის იდენტობის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლის მქონეებად განვიხილოთ. შესაძლოა, რომ იდენტობის საკითხთან კავშირში, მოსწავლეების აზროვნებაში ისტორიულ თვისებებს არაისტორიული პერსონებიც იძენენ. ახალგაზრდებისთვის გმირობა ქვეყნის გამთლიანებასთან, მის დაცვასა და განათლების ხელშეწყობასთან ასოცირდება. გმირებად იშვიათად სახელდებიან ქალები (თამარ მეფის გარდა) და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რაც შეიძლება, იმასთან იყოს დაკავშირებული, რომ ისტორიულ სახელმძღვანელოებში მწირია მათი რეპრეზენტაცია და სწავლება მათ შესახებ.

89. Storm, K. J. T. (2018). Unpacking the Georgian Nation: Examining the symbolic boundaries of group membership through national iconography. *Identity*, 18(3), 195-217.

90. კულტურის მკვლევარი, პროფესორი, მდედრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 13 აპრილი, 2021.

91. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 10 აპრილი, 2021.

92. განათლების ექსპერტი, ისტორიის მასწავლებელი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 15 აპრილი, 2021.


4.3. ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები

4.3.1 სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების სიხშირე

ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების სხვადასხვა შესაძლებლობა და წყარო არსებობს. წყაროები, შეიძლება, იყოს ფორმალური, მაგ.: სასკოლო, ან არაფორმალური, მაგ.: ლიტერატურული ნაწარმოებები და ფილმები. წინამდებარე თავში წარმოდგენილია, თუ, უმეტესად, რა წყაროებიდან იღებენ ახალგაზრდები ინფორმაციას საქართველოს ისტორიის შესახებ, რამდენად ენდობიან ამ წყაროებს და როგორ აფასებენ მათ.

რაოდენობრივი გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტების ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების სხვადასხვა წყარო შესთავაზეს. კვლევის მონაწილეებს კი უნდა აერჩიათ, თუ რამდენად ხშირად იღებდნენ ინფორმაციას თითოეული მათგანიდან (გრაფიკი 10).

გრაფიკი 10. რამდენად ხშირად იღებთ ინფორმაციას ისტორიის შესახებ შემდეგი წყაროებიდან?



როგორც შედეგები აჩვენებს, გამოკითხული მოსწავლეების უმეტესობისთვის (34%) ინტერნეტი (ვებგვერდები, ონლაინ ბიბლიოთეკები, ონლაინ მუზეუმები, ონლაინ ლექსიკონები, ვიკიპედია, სოციალური მედია, Youtube და ა.შ.) ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების ყოველდღიური წყაროა. მოსწავლეების დაახლოებით ნახევარი (49%) ამბობს, რომ ინტერნეტის საშუალებით კვირაში ერთხელ მაინც იღებს გარკვეულ ინფორმაციას ისტორიის შესახებ. ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირ წყაროებს შორის მეორე ადგილი სკოლის წიგნებს უკავია (მათ ყოველდღე მოსწავლეების 26% იყენებს), ხოლო მედიასაშუალებები (იგულისხმება ტელევიზია, ბეჭდური მედია და რადიო) მოსწავლეთა დაახლოებით მეოთხედმა (25%) დაასახელა ყოველდღიური ინფორმაციის წყაროდ. აღმოჩნდა, რომ გამოკითხვის დროს მითი-

თებული პოტენციური წყაროებიდან ყველაზე ნაკლები პოპულარობით მუზეუმები და ისტორიული ადგილები (2%), სასულიერო პირები (3%), წრები/კლუბები (5%) და კერძო რეპეტიტორები (7%) სარგებლობენ. კერძო რეპეტიტორების დაბალი მაჩვენებელი, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ მოსწავლეების თითქმის ნახევარს (46%) საერთოდ არ ჰყავს რეპეტიტორი არცერთ საგანში.

ზემოხსენებული პოტენციური წყაროები ფაქტორული ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.⁹³ ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის მიხედვით, გრაფიკზე მოცემული 11 წყარო სამ ფაქტორად დაჯგუფდა (ცხრილი 6). პირობითად, მათ შეგვიძლია, ვუწოდოთ „ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები“, „მეტად სტრუქტურირებული წყაროები“ და „სასკოლო წყაროები.“ „ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები“ შეგვიძლია, დავახასიათოთ როგორც წყაროები, სადაც ინფორმაციის მაძიებელს მეტი აგენტობა (Agency) და ალტერნატიული ინფორმაციის მოძიების მეტი შესაძლებლობა აქვს; ხოლო „მეტად სტრუქტურირებული წყაროები“ ის წყაროებია, სადაც ინფორმაცია განსაზღვრულია მეტად და ავტორიტეტული პირისგან/სტრუქტურისგან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ორივე – „ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები“ და „მეტად სტრუქტურირებული წყაროები“ თავის თავში არაფორმალური და ინფორმალური⁹⁴ განათლების წყაროებს აერთიანებს. რაც შეეხება „სასკოლო წყაროებს“, მასში ფორმალური განათლების წყაროები – სკოლის სახელმძღვანელოები და მასწავლებლების მონათხრობი გაერთიანდა.

ცხრილი 6. ინფორმაციის მიღების წყაროები

არაფორმალური განათლების ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები	არაფორმალური განათლების მეტად სტრუქტურირებული წყაროები	ფორმალური განათლების (სასკოლო) წყაროები
არამხატვრული წყაროები	მუზეუმები და ისტორიული ადგილები	სკოლის წიგნები
მხატვრული წყაროები	კერძო რეპეტიტორი	პედაგოგების მონათხრობი
მედია	წრები/კლუბები	
სხვა ზრდასრულები ან მეგობრები	სასულიერო პირები	
ინტერნეტი		

როგორც ამ სამი ფაქტორის ანალიზი გვაჩვენებს, ფორმალური განათლების „სასკოლო წყაროები“ ინფორმაციის მიღების ყველაზე გავრცელებული და ხშირი საშუალებაა. ოდნავ უფრო იშვიათად გვხვდება არაფორმალური განათლების „ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროების“ ფაქტორი. ამ ორ ფაქტორთან შედარებით, ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების გაცილებით იშვიათი და ნაკლებად გა-

93. ამ მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია ერთმანეთთან ძლიერ კორელირებული ცვლადების ერთად დაჯგუფება და ამის საშუალებით მათ მიღმა არსებული ლატენტური (ფარული) ცვლადების გამოყოფა. ფაქტორული ანალიზის ახსნა და მისი დანიშნულება ამ კვლევაში განხილულია ქვეთავში [მონაცემთა ანალიზი](#)

94. არაფორმალური და ინფორმალური განათლების განმარტებისთვის იხილეთ [ბმული](#).

ვრცელდებული საშუალებაა არაფორმალური განათლების „მეტად სტრუქტურირებული წყაროები“. ეს შედეგები ეხმიანება 2015 წლის MYPLACE-ის კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვით, ქართველი ახალგაზრდები საგრძნობლად ჩამორჩებიან ევროპელ ახალგაზრდებს ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღებით არაფორმალური განათლების ისეთი წყაროებიდან, როგორცაა მე-20 საუკუნის ისტორიის საფუძველზე შექმნილი კომპიუტერული თამაშები, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები და ლიტერატურა, ასევე, ოჯახის წევრებთან საუბარი, ისტორიის ვებგვერდების ნახვა და სხვა.⁹⁵

განათლების ფორმალური და არაფორმალური წყაროები დეტალურადაა მიმოხილული მომდევნო ქვეთავებში.

4.3.2 ფორმალური განათლების წყაროები

ფორმალური განათლების სასკოლო წყაროებიდან, სახელმძღვანელოები ინფორმაციის ის წყაროა, რომელსაც მოსწავლეების 26% ყოველდღიურად და 51% კვირაში რამდენჯერმე იყენებს.

სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული იმ პრობლემების გარდა, რომლებიც ლიტერატურის მიმოხილვისას გამოიყო (იხ. თავი **სახელმძღვანელოები**), ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა და სფეროს წარმომადგენელმა ექსპერტებმა სხვა სირთულეებიც დაასახელეს. მაგალითად, მასწავლებლებმა აქცენტი გააკეთეს სასკოლო სახელმძღვანელოების ინფორმაციით დატვირთულობასა და ისტორიის სწავლების საათების სიმცირეზე. ამ მიზეზების გამო, მასწავლებლებისთვის რთულია წლის განმავლობაში სახელმძღვანელოს ათვისება და მასალის სრულად დაფარვა.

სასკოლო სახელმძღვანელოები ენობრივადაც რთულია და მოსწავლეებს სპეციფიკური ტერმინოლოგიის გაგება უჭირთ: „ბევრი სიტყვა გვხვდება ტექსტებში, რომლის მნიშვნელობა არ ვიცით და ეს ხშირად მაბრკოლებს“. [მოსწავლე, მდედრ., ქუთაისი]. სფეროს ექსპერტების თქმით, სახელმძღვანელოების ავტორები, ზოგჯერ მასწავლებლები არ არიან, რაც აცდენასა და ენობრივ განსვლას იწვევს სახელმძღვანელოსა და მასწავლებელს/მოსწავლეებს შორის.⁹⁶

სფეროს ექსპერტები იმ კვლევების სიმწირეზეც საუბრობენ, რომლებსაც სახელმძღვანელო უნდა ეყრდნობოდეს.⁹⁷ მათი თქმით, საქართველოს ისტორიაში ბევრი რამ ჯერ კიდევ საკვლევი, სახელმძღვანელოების ავტორებს სათანადო დასაყრდენი არ აქვთ კვლევების სახით და, შესაბამისად, სახელმძღვანელოებიც გავრცელებულ ნარატივებს ეფუძნება.⁹⁸

არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს კომბინირებულ⁹⁹ სწავლებასა და სახე-

95. MYPLACE thematic report: History and memory. (2015)

96. ისტორიის მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 11 აპრილი, 2021.

97. ისტორიის დოქტორი, პროფესორი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 14 აპრილი, 2021.

98. ისტორიის მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ თბილისი, 11 აპრილი, 2021.

99. შენიშვნა: მე-7/მე-8 კლასების ახალ სახელმძღვანელოში გათვალისწინებული ცვლილებები საქართველოს ისტორიის ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს რეგიონული, გლობალური ისტორიის წრილში, მათ შორის – საქართველოს ისტორიის რუსეთის იმპერიისა და, ზოგადად, კოლონიალიზმის კონტექსტში).

ლმძღვანელოში წყაროების სიმრავლესთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, მასწავლებლები საუბრობენ საქართველოს ისტორიის უფრო ფართო კონტექსტში შესწავლის მნიშვნელობაზე, რადგან ასეთი მიდგომა, ისტორიის იზოლაციონისტური სწავლების ნაცვლად, მისი ფართოდ კონტექსტუალიზაციის საშუალებას იძლევა.

“ საქართველო ყოველთვის იყო და არის მსოფლიოს ნაწილი და ცალკე გამოყოფილად არ უნდა ისწავლებოდეს, ვითომ, ჩვენ სხვა პლანეტაზე ვიყავით და ცალკე ვვითარდებოდით. [საქართველოს ისტორია] უნდა ისწავლებოდეს მსოფლიო ისტორიასთან ერთად. ამას მიხვდნენ, შეცვალეს, და ახლა ერთადაა მსოფლიო და საქართველო და ეს გამონათება გვაქვს საბაზო საფეხურზე.“
[მასწავლებელი, მდედრ., თბილისი].

თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ ინფორმაციით გადატვირთულობის გამო, მოსწავლეებს მასალის დაძლევა უჭირთ. სფეროს ექსპერტები აკრიტიკებენ სახელმძღვანელოებს საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიაში არასრულყოფილი ინტეგრაციისთვის და აღნიშნავენ, რომ, როცა საქართველოს ისტორიის სიღრმისეულ სწავლებაზე მიდგება საქმე, ინტეგრაცია რთულდება.¹⁰⁰ რაც შეეხება, წყაროების სიმრავლეს, და მათ გამოყენებას ისტორიის ანალიზისთვის, რაც, ასევე, ერთგვარი სიახლეა სახელმძღვანელოებში, ზოგი მოსწავლისთვის ეს მისაღებია, თუმცა სხვები კვლავ „ფაქტების სწავლისკენ“ იხრებიან.

ექსპერტები საუბრობენ სახელმძღვანელოების ტენდერის¹⁰¹ პრინციპით შერჩევაზეც და მიიჩნევენ, რომ ეს მიდგომა სახელმძღვანელოს დაბალ ხარისხს განაპირობებს. ამის მიზეზი ტენდერისთვის გამოცხადებული მოკლე დროა, რაც სამეცნიერო შინაარსის სკოლისთვის სათანადოდ ადაპტაციისთვის საკმარისი არ არის. ამ დროს კი ავტორებს სხვა მხარეებზეც უწევთ ზრუნვა: ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზება, სტანდარტებისთვის მორგება, მასალის მოძიება და სხვ.¹⁰²

სპეციფიკური გამოწვევების წინაშე დგას რუსულენოვანი სექტორი. რუსულენოვანი სექტორის ისტორიის მასწავლებლების თქმით, სახელმძღვანელოს არჩევის შესაძლებლობა მათ შეზღუდული აქვთ, არსებული ქართულენოვანი სახელმძღვანელოები კი რუსულენოვანი მოსწავლეებისთვის რთული დასაძლევაა. ეთნიკურად სომეხი მასწავლებლების აზრით, რომლებიც რუსულენოვან სექტორში ასწავლიან, საუკეთესო გამოსავალი რუსულენოვანი სახელმძღვანელოს შედგენა ან ქართულენოვანი სახელმძღვანელოების რუსულად თარგმნა იქნებოდა.

100. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების ექსპერტი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 10 აპრილი, 2021.

101. იგულისხმება სახელმძღვანელოების გრიფირების, შესყიდვისა და დისტრიბუციის პროცესი.

102. ისტორიის მკვლევარი, მამრ., თბილისი, 11 აპრილი, 2021.

4.3.3 არაფორმალური და ინფორმალური განათლების წყაროები

როგორც ზემოთ ითქვა, სასკოლო წყაროები (სკოლის წიგნები, პედაგოგის მონათხრობი) ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირი წყაროა, ხოლო არაფორმალური განათლების წყაროებს მოსწავლეები შედარებით იშვიათად მიმართავენ. სფეროს ექსპერტები ადასტურებენ, რომ საქართველოში ახალგაზრდები არაფორმალური წყაროებით ნაკლებად ინტერესდებიან, რადგან საქართველოს ისტორიის შესახებ ასეთი მასალა ძალიან მწირია და არცთუ საინტერესოდ მომზადებული.¹⁰³

მიუხედავად ამისა, თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ არასასკოლო წყაროები ისტორიის სწავლაში საგრძნობლად ეხმარება ახალგაზრდებს. კვლევის მონაწილეთა მიხედვით, ახალგაზრდები მათთვის საინტერესო საკითხის შესახებ განვრცობილი ინფორმაციის მისაღებად ხშირად „იუთუბის“ ვიდეოლექციებს უსმენენ. როგორც ფოკუსგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, მედიით მოპოვებული მასალა ნასწავლის ვიზუალურ წარმოსახვაში ეხმარებათ. გარდა ამისა, ოჯახის წევრების მიერ მოყოლილი ამბები ემოციური დატვირთულობისა და სიახლოვის გამო, ხშირად ფორმალურ ინფორმაციაზე უკეთ ამახსოვრდებათ.

ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო მედიაა და მოსწავლეების 53% ინფორმაციას ამ წყაროდან იღებს. ექსპერტები ტრადიციულ მასმედიას მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროდ მიიჩნევენ, მაგრამ როგორც სენსაციურსა და არაზუსტს, მას სკეპტიკურად აფასებენ. ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღება ისტორიაში კვალიფიციური განათლების არმქონე ideamaker-ებისგან, რომლებიც ტრადიციულ მედიაში ჩანან, შეიძლება, ისტორიის არაზუსტ, დამახინჯებულ გაგებას იწვევდეს.¹⁰⁴

მხატვრული ლიტერატურიდან ინფორმაციას მოსწავლეების 43% იღებს. ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მხატვრული ლიტერატურის გამოყენებას სკეპტიკურად აფასებენ სფეროს ექსპერტები, რადგან უახლესი ისტორია ხშირად აქაც არაზუსტადაა ასახული, რამაც შეიძლება, დააბნიოს ახალგაზრდა მკითხველი.¹⁰⁵

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეების 39% ინფორმაციას კვირაში რამდენჯერმე მეგობრებისგან და ზრდასრულებისგან (მათ შორის ოჯახის წევრებისგან) იღებს. მაგალითად, საბჭოთა კავშირის პერიოდი და იმ პერიოდში ცხოვრების გამოცდილება ოჯახის უფროს წევრებთან – ბებიებთან და ბაბუებთან – საუბრის თემაა. ერთ-ერთი მოსწავლის თქმით, თუკი სკოლაში საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ასპექტების შესახებ სწავლობენ, მისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ასპექტების განხილვის მონმეები არაფორმალური ურთიერთობებისას უფრო ხშირად ხდებიან:

103. განათლების მკვლევარი, ისტორიის მასწავლებელი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 15 აპრილი, 2021.

104. ისტორიის მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 11 აპრილი, 2021.

105. ისტორიის პროფესორი, განათლების ექსპერტი, მდედრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 16 აპრილი, 2021.

“ ბებიაჩემს აქვს ნათქვამი, რომ ძალიან ბევრ რუსთან ცხოვრობდა და ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ბევრი რამის ყიდვა შეგეძლო ერთ მანეთად და მსგავსი ისტორიები აქვს მოყოლილი.”
[მოსწავლე, მამრ., სამეგრელო].

მოსწავლეების თქმით, ოჯახის წევრები საბჭოთა გამოცდილებას სხვადასხვა კუთხიდან განიხილავენ. ზოგი საქართველოს დაქვემდებარებულ სტატუსს, ელიტებს შორის რუსული ენის დომინანტურ სტატუსს უსვამს ხაზს:

“ ხშირად ვიღებ ინფორმაციას საბჭოთა კავშირის შესახებ ოჯახის წევრებისგან, მაგალითად, მმართველობის სისტემა, საბჭოთა კავშირში ჩვენდამი რუსეთის დამოკიდებულება, ჩვენი საგარეო პოლიტიკა, მეორე მსოფლიო ომი.»
[მოსწავლე, მამრ., კახეთი].

“ საბჭოთა კავშირის ქვეშ ვიყავით, დამოუკიდებლობა არ გავგაჩნდა, ყველაფერი, რაც იქმნებოდა და იწერებოდა, ცენზურის ქვეშ ვადიოდა. ენის გამოყენების კუთხით ვიზღუდებოდი.»
[მოსწავლე, მდედრ., სამეგრელო].

სხვები საბჭოთა კავშირზე საუბრობენ, როგორც კეთილდღეობის გამოცდილებაზე.

“ პაპაჩემს რომ ვესაუბრები, ისიც მისტირის საბჭოთა კავშირს, კერძოდ, სტალინი უყვარს ძალიან და მეუბნებოდა ხოლმე, რომ ჩვენ სოფელში რომ ვცხოვრობდითო, სტალინის სურათი გვეკიდაო და სკოლებშიც ასწავლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ბელადი იყო და დიდი პატივისცემა ქონდათ მაშინ.”
[მოსწავლე, მამრ., თბილისი]

კვლევაში მონაწილე ექსპერტების შეფასებით, ოჯახი საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ, მაგალითად, საბჭოთა წარსულის შესახებ, ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა ოჯახური ნარატივები და ოფიციალური ნარატივები ხშირად ერთმანეთს აცდენილია.¹⁰⁶ ოფიციალურ და არაოფიციალურ მოსაზრებებს შორის განსხვავების კარგი მაგალითია საბჭოთა წარსულის ერთი კონკრეტული, და ამავდროულად, მნიშვნელოვანი საკითხის, სტალინის ფაქტორისადმი დამოკიდებულება. მაშინ, როდესაც ოფიციალური დისკურსი ნეგატიურად აფასებს სტალინის როლს,¹⁰⁷ 2012 წელს CRRC-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის

106. ისტორიის დოქტორი, პროფესორი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 14 აპრილი, 2021.

107. დეტალებისათვის, იხილეთ [ბლოგი](#), რომელიც სტალინის მიმართ დამოკიდებულებების ამბივალენტობას აღწერს.

45%-ს სტალინის მიმართ პოზიტიური სენტიმენტები აქვთ (პატივისცემა, სიმპათია, აღტაცება).¹⁰⁸ პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირის გავლება საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებსა და ოჯახის გავლენაზე ისტორიული პროცესების შეფასებისას, რა თქმა უნდა, რთულია. თუმცა, ამავე თემაზე 2016 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში, რომელიც კაბაჩნიკმა და კოლეგებმა ჩაატარეს, აღნიშნულია, ზოგადად, ოჯახის ფაქტორის მნიშვნელობა ისტორიისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.¹⁰⁹ კვლევის ავტორების აზრით, ოჯახის გავლით სტალინის (და, ზოგადად, საბჭოთა წარსულის) მიმართ დადებითი დამოკიდებულებების გადაცემა უნდა დაბალანსდეს საჯარო სფეროების, მაგალითად, სკოლებისა და უნივერსიტეტების საშუალებით.¹¹⁰

მუზეუმებისა და ისტორიული ადგილების მონახულებას, მოსწავლეების 58% წელიწადში რამდენჯერმე ან უფრო იშვიათად ახერხებს. მუზეუმებისა და ისტორიული ადგილების მონახულება, როგორც წესი, სასკოლო ექსკურსიების ფარგლებში ხდება. მუზეუმებიც ცდილობენ, კავშირი დაამყარონ სკოლებთან იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მათი საქმიანობის სასკოლო ან საუნივერსიტეტო სწავლებასთან დაკავშირება.¹¹¹

სფეროს ექსპერტები კი საუბრობენ სახელმწიფო არქივებზე, რომლებიც, მათი აზრით, ისტორიის კვლევის მთავარი წყარო უნდა იყოს ისტორიით გატაცებული ახალგაზრდებისთვის. თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ მომსახურების სიძვირე, ბიუროკრატიული პროცედურების სირთულე და არქივების არახელმისაწვდომობა უქმეებზე, ზაფხულსა და საღამოს საათებში, მნიშვნელოვნად აბრკოლებს ახალგაზრდებს.¹¹²

4.3.4 საქართველოს ისტორიის წყაროების გამოყენება სოციოდემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით

რეგრესიულმა ანალიზმა¹¹³ შესაძლებლობა მოგვცა, დავკვირვებოდით, მეტი ალბათობით, რა სოციოდემოგრაფიული მახასიათებლების მექონე ადამიანები მიმართავენ მეტად სტრუქტურირებულ, ნაკლებად სტრუქტურირებულ და სასკოლო წყაროებს. შედეგებმა აჩვენა, რომ ისინი, ვინც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას აპირებენ, მეტად ავლენენ ინფორმაციის ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროებიდან მიღების ტენდენციას, ვიდრე ისინი, ვინც სწავლის გაგრძელებას არ აპირებენ.

რაც შეეხება მეტად სტრუქტურირებულ წყაროებს, მოსწავლეები, რომლებიც ამბობენ, რომ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას აპირებენ და ერთ საგანში მაინც ჰყავთ კერძო რეპეტიტორი, მეტი ალბათობით იღებენ ინფორმაციას ისტორიის შედარებით სტრუქტურირებული წყაროებიდან. ამავდროულად, ეთნიკურად არაქართველი

108. დეტალებისთვის, იხილეთ 2012 წლის კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვის მონაცემები საქართველოსთვის: <https://caucasusbarometer.org/en/cb2012ge/STLN1/>

109. Kabachnik, P., Kirvalidze, A., & Gugushvili, A. (2016). *Stalin Today: Contending with the Soviet Past in Georgia*. Tbilisi: Ilia State University Press.

110. იქვე.

111. Khoshtaria, T., Neal, M., Shubladze, R., & Vacharadze, K. (2019). Mapping Report of Cultural Heritage (Georgia). CHIEF (Cultural Heritage and Identities of Europe's Future) Grant Agreement No: 770464, 39.

112. ისტორიის დოქტორი, პროფესორი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 14 აპრილი, 2021.

113. რეგრესიული ანალიზის ახსნა და მისი დანიშნულება ამ კვლევაში განხილულია ქვეთავში [მონაცემთა ანალიზი](#)

მოსწავლეები და ისინი, ვინც თბილისს გარეთ ცხოვრობენ, უფრო მეტად იღებენ ისტორიის შესახებ ინფორმაციას აღნიშნული წყაროებიდან, ვიდრე თბილისელი ან ეთნიკურად ქართველი სტუდენტები. დამატებით, საინტერესოა, რომ ისინი, ვინც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანებად მიიჩნევენ, ისტორიის შესახებ ინფორმაციას უფრო ხშირად სტრუქტურირებული წყაროებიდან იღებენ.


ფორმალური და არაფორმალური (ამ შემთხვევაში სასკოლო და არასასკოლო) განათლების წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, ერთი მხრივ, შესაძლოა, ურთიერთშემავსებელი იყოს და შესაძლებლობა მისცეს ახალგაზრდებს, მოვლენა სხვადასხვა კუთხით განიხილონ. მეორე მხრივ, კი სხვადასხვა წყაროების ნარატივები, შესაძლოა, ურთიერთსაპირისპირო აღმოჩნდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რომელ წყაროებს ენდობიან ახალგაზრდები და რომლებს მიიჩნევენ საეჭვოდ.

4.3.5 წყაროების მიმართ ნდობა

როგორც ქვეთავში [ისტორიის ცოდნის თვითშეფასება](#) იყო აღნიშნული, მოსწავლეების 24% თვლის, რომ კარგად იცის და შეუძლია სანდო წყაროების მოძიება. კვლევის ფარგლებში, მათ შეაფასეს, თუ რამდენად ენდობოდნენ ინფორმაციის მიღების სხვადასხვა საშუალებას.

გრაფიკი 11. რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ საინფორმაციო წყაროებს?

რამდენად ენდობით ქვემოთ ჩამოთვლილ საინფორმაციო წყაროებს ისტორიის შესახებ? (%)



კვლევის შედეგების მიხედვით, მოსწავლეები გამოკითხვის სიიდან შეთავაზებული წყაროების უმრავლესობას (გრაფიკი 11) ენდობიან. აბსოლუტური უმრავლესობისთვის სანდოა ინფორმაცია მუზეუმებიდან და ისტორიული ადგილებიდან (86%), პედაგოგების მონათხრობი (82%) და სკოლის წიგნები (80%). ფოკუსგუფებში მონაწილე მოსწავლეთა თქმით, ისინი მასწავლებლის მიერ მოძიებულ მასალას ენდობიან, რადგან

მასწავლებლის გამოცდილება სარწმუნოა მათთვის. საინტერესოა, რომ სახელმძღვანელოების მიმართ ნდობა 90-იან წლებში ჩატარებული მსგავსი ევროპული გამოკითხვის ფარგლებში მიღებულ შედეგებს ეწინააღმდეგება. აღნიშნული კვლევის მიხედვით, გამოკითხული ყოფილი საბჭოთა 10 სახელმწიფოდან, 7-ის მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა ძალიან მცირე ნდობა ან უნდობლობა გამოხატა სახელმძღვანელოების მიმართ.¹¹⁴ ამავდროულად, მასწავლებლების მიმართ ნდობა იქაც ისეთივე მაღალი იყო, როგორც საქართველოს შემთხვევაში. ევროპული კვლევის ავტორები თვლიან, რომ მათ მიერ მოკვლეული სახელმძღვანელოებისა და მასწავლებლების მიმართ ნდობის განსხვავებას, შესაძლოა, ტრანზიციის პერიოდში მყოფი ქვეყნებისთვის სახელმწიფოს მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება იწვევს.¹¹⁵

გამოკითხვაში განხილული წყაროებიდან ყველაზე ნაკლები ნდობით ინტერნეტი (47%), წრეები და კლუბები (35%) და მედია (33%) სარგებლობს. ინტერნეტის განხილვისას, ფოკუსჯგუფის მონაწილე ახალგაზრდები თანხმდებიან, რომ მასზე წვდომა სანდო ინფორმაციაზე წვდომას არ ნიშნავს. მაგალითად, მათი თქმით, „ვიკიპედია“, როგორც თავისუფალი ავტორობის პრინციპზე დაფუძნებული ენციკლოპედია, არასანდო წყაროა. იმისათვის, რომ წყაროების „გაფილტვრა“ შეეძლოს, მოსწავლეებს დამატებითი ცოდნა სჭირდებათ:

“*მეორე პრობლემა ისაა, თუ რას ვიღებთ. ინტერნეტი გვაქვს, მაგრამ შეგვიძლია იქიდან ვიპოვოთ სანდო წყარო? მეორე მხრივ, წყაროების გაფილტვრაც უნდა შეეძლოს ბავშვებს. ამ მხრივ მედიანიგნიერებაა საჭირო, რათა გაარკვიონ, როგორ და რა ტიპის წყაროები იპოვონ“.*

[სტუდენტი, მდედრ., თბილისი]

თუკი ამ შედეგებს წინა ქვეთავში განხილულ მონაცემებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ მოსწავლეები ნაკლებად ენდობიან იმ წყაროებს, რომელთაგანაც ყველაზე ხშირად იღებენ ინფორმაციას ისტორიის შესახებ (მაგალითად, მედია და ინტერნეტი); ხოლო წყაროები, რომლებიც შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობს, საპირისპიროდ, იშვიათად გამოიყენება ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად (მაგალითად, მუზეუმები და ისტორიული ადგილები).

ინფორმაციის მიღების სიხშირის მსგავსად, განხილული წყაროები ფაქტორული ანალიზის საშუალებით შევისწავლეთ. ამ შემთხვევაში, გამოიყო წყაროების ორი ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. პირველ ჯგუფს, პირობითად, „**მეტად სტრუქტურირებული**“ წყაროები ეწოდა, ხოლო მეორეს – „**ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები**“ (ცხრილი 7).

114. Angvik, M., & von Borries, B. (Eds.). (1997). *Youth and history: A comparative European survey on historical consciousness and political attitudes among adolescents* (Vol. 1). Körber-Stiftung. გვ. 89.

115. იქვე.

ცხრილი 7. ინფორმაციის მიღების მეტად და ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები

მეტად სტრუქტურირებული წყაროები	ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროები
სკოლის წიგნები	არამხატვრული წყაროები
პედაგოგების მონათხრობი	მხატვრული წყაროები
სხვა ზრდასრულები ან მეგობრები	მედია
მუზეუმები და ისტორიული ადგილები	ინტერნეტი
კერძო რეპეტიტორი	წრეები/კლუბები
სასულიერო პირები	

მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ ნდობის მაჩვენებელი ორივე ტიპის წყაროების მიმართ საკმაოდ მაღალია, თუმცა მეტად სტრუქტურირებული წყაროების მიმართ ნდობა ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროების შემთხვევაში. რეგრესიული ანალიზის მიხედვით, მართლმადიდებელ რესპონდენტებსა და მათ შორის, ვინც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას აპირებს, უფრო მეტად სტრუქტურირებული წყაროების მიმართ მეტი სანდოობა ვლინდება, ხოლო ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროების მიმართ ნდობა შედარებით მაღალია დიდი მოცულობის სკოლებში.

4.3.6 შეჯამება

თუ შევაჯამებთ, გამოკითხულ მოსწავლეებში მრავალფეროვანია ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები, თუმცა მათი გამოყენების ინტენსივობა და სიხშირე ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც მოსალოდნელი იყო, სკოლასთან მჭიდროდ დაკავშირებული წყაროები, მაგალითად, სახელმძღვანელოები და მასწავლებლები, ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირი წყაროებია. ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროებიც, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეული ინტერნეტია, ხშირად გამოიყენება ინფორმაციის მისაღებად. არაფორმალური განათლების წყაროები (როგორც მეტად, ასევე, ნაკლებად სტრუქტურირებული) შედარებით ნაკლებად გამოიყენება, თუმცა, მოსწავლეების თქმით, ისინი არაფორმალური განათლების წყაროებით მიღებულ ინფორმაციას იმახსოვრებენ უკეთ.

არაფორმალური წყაროების შედარებით დაბალი გამოყენების მიზეზი, შეიძლება, მათი ნაკლებობა და მათზე წვდომის არ ქონა იყოს. სოციოდემოგრაფიული ცვლადების გავლენა ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე განსხვავებულია, თუმცა ყველაზე ძლიერი პრედიქტორები¹¹⁶ სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების განზრახვა და კერძო რეპეტიტორის ყოლაა. კერძო რეპეტიტორის ყოლის მნიშვნელობა საქართველოში ჩატარებული სხვა კვლევებითაც დასტურდება, სადაც საზოგადოების აღქმაში კერძო რეპეტიტორის ყოლა მნიშვნელოვანი ფაქტორ-

116. ამ ტერმინის გამოყენებით ჩვენ ვგულისხმობთ ამხსნელ ცვლადს. დეტალებისთვის, იხილეთ: <http://dictionary.css.ge/content/predictor>

რია განათლების მისაღებად¹¹⁷. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკები, შესაძლოა, კორუფციისა და ეთიკური ნორმების დარღვევის რისკებსაც უკავშირდებოდეს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი და ცალკე საკვლევო პრობლემაა.¹¹⁸

რაც შეეხება წყაროების მიმართ ნდობას, მოსწავლეები, უმეტესად, ენდობიან მათ. თუმცა შედარებით მაღალი ნდობით მეტად სტრუქტურირებული წყაროები სარგებლობენ. ახალგაზრდები აცნობიერებენ, ზოგადად, წყაროების სანდოობის მნიშვნელობას. უნდა აღინიშნოს, რომ წყაროებს რომლებსაც მოსწავლეები ყველაზე მეტად ენდობიან (მაგ. მუზეუმები და ისტორიული ადგილები), ყველაზე იშვიათად იყენებენ, და პირიქით, წყაროებს, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ (მაგ. ინტერნეტი და მედია), ყველაზე ნაკლებ ენდობიან. ძირითადი სოციოეკონომიკური ფაქტორებიდან მეტად სტრუქტურირებული წყაროების შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს რელიგია და ეთნიკურობა გვაძლევს, ხოლო ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროების შემთხვევაში – სკოლის ზომა.

ის, რომ განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული წარმომავლობის მოსწავლეები განსხვავებული სიხშირით ეცნობიან ისტორიას როგორც სტრუქტურირებული/ფორმალური, ისე ნაკლებად სტრუქტურირებული/არაფორმალური წყაროებიდან, და ისიც, რომ მოსწავლეების ნდობა ამ წყაროების მიმართ კავშირშია მათ წარმომავლობასთან – მნიშვნელოვანი საკითხია განათლების პოლიტიკისთვის. ეკონომიკურად შედარებით ნაკლები შესაძლებლობების მქონე სკოლების მოსწავლეებს, შესაძლოა, მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ ისტორიის შესწავლის მეტი ინტერესი გამოიმუშაონ; ხოლო, მეორე მხრივ, მათ ვისაც ასეთი მოტივაცია უკვე აქვს, ამ სკოლებში რესურსების ნაკლებობის გამო, შეიძლება, მეტი ძალისხმევა დაჭირდეთ თავიანთი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ნდობის მიმართ დამოკიდებულებები განსხვავდება ეთნო-კონფესიურ კონტექსტში. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან როგორც აქამდე ჩატარებული კვლევები სხვა კულტურულ კონტექსტში აჩვენებს, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები განსხვავებულად რეაგირებენ შიდა თემსა და სკოლაში ნასწავლ „ოფიციალურ“ ისტორიაზე.¹¹⁹

117. 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (55%) მიიჩნევდა, რომ კერძო რეპეტიტორის ყოლა აუცილებელია სკოლის საატესტატო გამოცდების ჩასაბარებლად, ხოლო თითქმის სამი მეოთხედი (73%) აღნიშნავდა, რომ კერძო მასწავლებელი (რეპეტიტორი) აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისთვის. წინა დებულებაზე დათანხმების მაჩვენებელი მაღალი იყო იმ რესპონდენტებს შორისაც, რომელთა ოჯახის სკოლის მოსწავლე წევრებიც, მათი შეფასებით, კარგად სწავლობდნენ. იხ. [ბმული](#).
118. ამ თემასთან დაკავშირებით, იხილეთ შემდეგი სტატია: Kobakhidze, M. N. (2014). Corruption risks of private tutoring: case of Georgia. *Asia Pacific Journal of Education*, 34(4), 455-475.
119. მაგალითად, იხილეთ დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებზე ოჯახსა და თემს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეთ იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ და რა რეფლექსიას აკეთებენ მოსწავლეები სკოლაში ნასწავლ „ისტორიაზე“. შიდა თემში ნასწავლი და გაგებული ისტორია, შეიძლება, უაპელაციოდ მიიღონ მაშინ, როცა სკოლაში ნასწავლი ისტორიის მიმართ, სკეპტიკური დამოკიდებულებები გაუჩნდეთ: Hawkey, K., & Prior, J. (2011). History, memory cultures and meaning in the classroom. *Journal of Curriculum Studies*, 43(2), 231-247.


4.4. ისტორიის სწავლისა და სწავლების გამოცდილება საქართველოში

4.4.1 ისტორიის სწავლა და სწავლების ძირითადი აქტივობები

კვლევის ერთ-ერთ საკვანძო ნაწილი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ ისწავლება ისტორია სკოლებში. ამისათვის გავაანალიზეთ მასწავლებლებისა და სკოლის მოსწავლეების გამოცდილებები. რაოდენობრივი მონაცემები წარმოადგენს სკოლის მოსწავლეების შეხედულებებს, ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში, მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებიც და სტუდენტებიც მოვიცავით.

ისტორიის შესწავლა, მეტწილად, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მეთოდებით მიმდინარეობს სწავლება სკოლებში. ამისათვის სკოლის მოსწავლეებს შევთავაზეთ აქტივობების სია და ვთხოვეთ, შეეფასებინათ, რამდენად ხშირად ხდება თითოეული მათგანი მათ ისტორიის გაკვეთილებზე.

გრაფიკი 12. რამდენად ხშირად ხდება ჩამოთვლილი აქტივობები თქვენს ისტორიის გაკვეთილებზე?



როგორც გრაფიკი 12 აჩვენებს, ისტორიის გაკვეთილებზე მოსწავლეები ყველაზე ხშირად მასწავლებლის მონათხრობს უსმენენ წარსულზე (ყოველთვის – 41%, ხშირად – 39%) და თითქმის ასეთივე სიხშირით იყენებენ სახელმძღვანელოებსა და სხვა დამხმარე მასალებს (ყოველთვის – 40%, ხშირად – 39%). რაც შეეხება წარსულში მომხდარი მოვლენების განხილვას, ის მოსწავლეების 33%-მა ყოველთვის, ხოლო 44%-მა – ხშირად მიმდინარე აქტივობად დაასახელა. ყველაზე ნაკლებად გავრცელებულ აქტივობებს შორის მოხვდა ისტორიული ვიდეოებისა და ფილმების ყურება (ყოველთვის – 4%, ხშირად – 20%) და ისეთი აქტივობები, როგორცაა როლური თამაშები, პროექტები, მუზეუმებსა და სხვა ქალაქებსა და სოფლებში ვიზიტები (ყოველთვის – 4%, ხშირად – 18%).

ისტორიის გაკვეთილის აქტივობების უკეთ გაანალიზებისთვის ფაქტორული ანალიზი გამოვიყენეთ. ანალიზის საფუძველზე, აქტივობები ორ ძირითად ფაქტორად დაჯგუფდა: „სტანდარტული საკლასო აქტივობები“ და „არასტანდარტული (კრეატიული, შემოქმედებითი) საკლასო აქტივობები“ (იხ. ცხრილი 8). შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ „სტანდარტული საკლასო აქტივობები“ უფრო ხშირია საჯარო სკოლებში, ვიდრე „არასტანდარტული (კრეატიული, შემოქმედებითი) საკლასო აქტივობები“.

ცხრილი 8. სტანდარტული და არასტანდარტული საკლასო აქტივობები

სტანდარტული საკლასო აქტივობები	არასტანდარტული (კრეატიული, შემოქმედებითი) საკლასო აქტივობები
ვუსმენთ მასწავლებლის მონათხრობს წარსულზე	ვუყურებთ ისტორიულ ვიდეოებსა და ფილმებს
განვიხილავთ წარსულში მომხდარ სხვადასხვა მოვლენას	ვატარებთ აქტივობებს, მაგ. როლური თამაშები, პროექტები, ვიზიტები მუზეუმებში და სხვა ქალაქებში/სოფლებში
ვეცნობით ისტორიულ წყაროებს, მაგ. დოკუმენტებს, სურათებსა და რუკებს	
ჩვენ თვითონ ვყვებით და ვხსნით ისტორიულ მოვლენებს	
ვიყენებთ სახელმძღვანელოებსა და სამუშაო რვეულებს	

როგორც ზევით ითქვა, ისტორიის სწავლება დღესდღეობით, ძირითადად, სტანდარტული ტიპის აქტივობებით მიმდინარეობს. თუმცა, თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ ისტორიის სწავლება სკოლაში გარდამავალ ფაზაშია და სწავლების ძველი, ტრადიციული მეთოდი, თანდათანობით, ახალი მოდელებით იცვლება. ეს პროცესი, სწორხაზოვანი არ არის და გაკვეთილზე ძველი და ახალი მოდელების შეჯერება (ჰიბრიდიზაცია) ხდება. მასწავლებლები, მთლიანობაში, ინტერესს გამოხატავენ სწავლების ახალი მეთოდების მიმართ, თუმცა აღნიშნავენ, რომ მათი გამოყენება „ყოველთვის არ არის შესაძლებელი“ და ყველაზე ხშირად, გაკვეთილის ჩვეულ, ნაცნობ ფორმას და მასთან დაკავშირებულ ტრადიციულ მეთოდებს – გამოკითხვასა და მინილექციას იყენებენ.

ფოკუსჯგუფების შედეგების ანალიზმა, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების წარმატებული მაგალითები გამოავლინა. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილების მსვლელობისას ისინი მიმართავენ ჯგუფური დისკუსიების, როლური თამაშების, კომპლექსური დავალებებისა და სხვა ტიპის მეთოდებს.

“ ყველაზე მეტად მიყვარს პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი, ვამბობთ, მაგალითად, კარს მოგვადგა პომპეუსი, სომხეთი დაამარცხა და რა ვენათ, მეფე ვარ და მირჩიეთ რამე. მერე ვალაგებთ, რა იცის, რა არ იცის, რუკასაც ვაჩვენებ, რვეულში არის ზოგან ეს რუკა, ან წიგნში და ვართ გარჩევაში“.

[მასწავლებელი, მდედრ., თბილისი]

თუმცა, მეორე მხრივ, ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვე მეთოდების გამოყენება კვლავაც უჭირთ მასწავლებლებს, რადგან თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული გაკვეთილის დაგეგმვა და განხორციელება მათგან დამატებით რესურსს მოითხოვს. მაგალითად, ფოკუსჯგუფების მონაწილეები გაკვეთილის ტიპურ ფორმად ე.წ. „სამფაზიან გაკვეთილს“ ასახელებენ,¹²⁰ რომელშიც ისინი გაკვეთილის ტრადიციულ მეთოდს – გამოკითხვას, ახალი საკითხის ახსნასა და შეჯამებას გულისხმობენ, როცა სწავლების პროცესის ცენტრში არა მოსწავლე, არამედ შინაარსი და მასწავლებელია. ახალ მეთოდებზე გადასვლა ზოგჯერ უჭირთ მასწავლებლებს, რადგან კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიტიკაზე დაფუძნებული მეთოდები მათთვის სიახლეა და საგანგებო მომზადებას, ზოგჯერ კი – დამატებით რესურსს მოითხოვს.

“ სხვა ტიპის აქტივობებს სპეციალურად მომზადება სჭირდება, ყველა გაკვეთილზე ვერ გამოიყენებ, მაგრამ ხანდახან კი ვცდილობ, რომ გაკვეთილი არ იყოს მოყოლაზე ორიენტირებული, იყოს საკითხის გააზრებაზე ორიენტირებული.“

[მასწავლებელი, მამრ., ქუთაისი]

ზოგადად, ისტორიის სწავლების მეთოდების კონტექსტში ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ მასწავლებლებს ხშირად „კომფორტის ზონიდან“ გამოსვლა უწევთ, როდესაც მოსწავლეზე მორგებულ გაკვეთილს გეგმავენ.¹²¹ კვლევის ფარგლებში გამოკითხული ექსპერტები ადასტურებენ, რომ, ზოგადად, მათ შორის, სკოლებშიც, საქართველოს ისტორიის კრიტიკულად შეფასება ნაკლებად ხდება.¹²² სწავლება გმირი/მტრის დიქტომიურ გაგებას ეფუძნება, რაც საკითხის კრიტიკული შეფასების, აქტორების მოტივებისა და სტრატეგიების სათანადოდ გააზრების საშუალებას არ იძლევა.¹²³

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი მეთოდები ყველა სკოლაში ერთნაირი ტემპით არ

120. სწავლების ე.წ. „სამფაზიანი მოდელი“, ფორმალურად, ახალ სასწავლო პრაქტიკას გულისხმობს. ამ მოდელის მიხედვით, გაკვეთილი სამი თანმიმდევრული ეტაპისგან შედგება: 1. მოლოდინის განსაზღვრა, 2. ცოდნის კონსტრუირება, 3. გამოთიანება. თუმცა, როგორც ითქვა, მოცემულ კვლევაში ფოკუსჯგუფების მონაწილე მასწავლებლები ამ ტერმინის მიღმა ზოგჯერ „ტრადიციულ“, საბჭოთა „გამოკითხვა-ახსნა-შეჯამების“ ფაზებზე აგებულ გაკვეთილს გულისხმობდნენ. იმის აღსანიშნად, რომ ამ ცნებას ტექსტში რესპონდენტებისეული მნიშვნელობით ვიყენებთ, აქ და შემდგომშიც ტერმინს ბრჭყალებში მოვაქცევთ.

121. Maloy, R. W., & LaRoche, I. (2010). Student-Centered Teaching Methods in the History Classroom: Ideas, Issues, and Insights for New Teachers. *Social Studies Research & Practice (Board of Trustees of the University of Alabama)*, 5(3).

122. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, მდედრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 16 აპრილი, 2021.

123. ისტორიის მკვლევარი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 11 აპრილი, 2021.

ინერგება. მაგალითად, მასწავლებელი სამცხე-ჯავახეთიდან ამბობს, რომ სიახლეები მის პრაქტიკაზე ჯერ არ ასახულა.

“**“** ტიპიური გაკვეთილი [მაქვს], ჩვეულებრივი, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული. ჩვენთან ჯერ არაა სტრუქტურული ცვლილებები შემოსული, რაც ახლა სიახლეა. რაც იყო ძველი, იმას მივყვები.“
[მასწავლებელი, მამრ., ეთნიკური უმცირესობა, სამცხე-ჯავახეთი]

როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, არასტანდარტული, მათ შორის მულტიმედიაური, საკლასო აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა უფრო მეტ დაინტერესებას და ჩართულობას ისტორიის სწავლებაში.¹²⁴ ემპირიული კვლევები იმასაც მიუთითებს, რომ ქართულ კონტექსტში ნაკლებად გავრცელებული როლური თამაშები (გრაფიკი 12) ხელს უწყობს ისტორიის წარმატებულ სწავლებას¹²⁵.

თანამედროვე, მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვას, ხშირად, დამატებითი სასწავლო რესურსები სჭირდება, რაზეც ყველა სკოლას არ მიუწვდება ხელი. მაგალითად, სკოლები აღჭურვილი არ არის კომპიუტერებითა და პროექტორებით, რაც შესაძლებელს გახდის ვიზუალური მასალის ჩვენებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით საგულისხმოა რეგიონებში:

“**“** რა თქმა უნდა, ჩემს სკოლაში არცერთი პროექტორი რამდენიმე წელია არ არის. მე თვითონ ვიყიდე პროექტორი, ასე გავხადე საინტერესო ჩემი გაკვეთილები, თორემ შეუძლებელია ეს ყველაფერი რესურსის გარეშე შექმნა.“
[მასწავლებელი, მდედრ., კახეთი]

“**“** [რეგიონებში] ჩვენ რომ ჩავდივართ დასაკვირვებლად, მაშინ ძლივს იშოვიან ხოლმე კომპიუტერს, პროექტორს, მაგრამ მე ხო დარწმუნებული ვარ, რომ მე თუ არ ჩავდივარ, გარე დაკვირვება თუ არაა, საერთოდ არ იყენებენ იმ პროექტორს, იმიტომ რომ ერთია და დირექტორს აქვს თავისთვის.»
[განათლების ექსპერტი, ისტორიის მასწავლებელი, მამრ., პირისპირი ინტერვიუ, თბილისი, 15 აპრილი, 2021]

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების თქმით, სტანდარტული „ახსნა-მოყოლის“ პრაქტიკა ნაკლებად საინტერესო და მოსაწყენია მათთვის. ისინი თვლიან, რომ

124. მაგალითად, იხილეთ ეს სტატია, სადაც აღწერილია მრავალფეროვანი და მულტიმედია წყაროების გამოყენების გავლენა სოციალური მეცნიერებების საგნების შესწავლაზე: De Sousa, L., Richter, B., & Nel, C. (2017). The effect of multimedia use on the teaching and learning of Social Sciences at tertiary level: A case study. *Yesterday and Today*, (17), 1-22.

125. Corbeil, P., & Laveault, D. (2011). Validity of a simulation game as a method for history teaching. *Simulation & Gaming*, 42(4), 462-475.

ისტორიით ბავშვების დასაინტერესებლად მნიშვნელოვანია უფრო მრავალფეროვანი და სახალისო მეთოდების გამოყენება და „ფაქტების დასწავლის“ ნაცვლად, ისტორიული მოვლენების ცოცხალი და კონტექსტზე დაფუძნებული ანალიზი.

“ რომ გითხრათ, ძალიან საინტერესოა-მეთქი, ვერ გეტყვით. ჯერ გამოკითხვა მიმდინარეობს. თუ დავალება გვაქვს დავალებას ამოწმებს, ბოლოს არის ახსნა, მეტი არაფერი არ არის. ახსნა იმდენი ხანი გრძელდება, რომ ძალიან მომაბეზრებელია და ჩაგეძინება. ჩემი აზრით, უფრო მოკლედ რომ იყოს ახსნა და თან პარალელურად უფრო მეტი რუკების გამოყენება, ჯგუფური სამუშაოები კარგი იქნებოდა“.

[მოსწავლე, მდედრ., ქუთაისი]

“ ძალიან მოსაბეზრებელია, როდესაც მასწავლებელი მხოლოდ იმას იმეორებს, რაც წიგნში უკვე წერია. შესაბამისად, ბავშვს უფრო დააინტერესებს ის ინფორმაცია, რაც წიგნში არაა მოცემული და უფრო სიღრმისეულად სწავლობს. თუნდაც დისკუსიები, თამაშები“.

[სტუდენტი, მდედრ., თბილისი]

როგორც თავში [ისტორიის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მიზნები ახალგაზრდებისთვის](#) ითქვა, მოსწავლეები ისტორიის შესწავლას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, თუმცა, ფოკუსჯგუფებიდან ჩანს, რომ ის, თუ როგორ და რა მეთოდებით ასწავლიან – არ მოსწონთ და, შესაბამისად, ისტორიის გაკვეთილებიც ნაკლებ სახალისოა მათთვის.

გარდა ამისა, კვლევამ ის სირთულებიც გამოავლინა, რომლებიც, შესაძლოა, ხელისშემშლელი იყოს მასწავლებელთა მიერ თანამედროვე და კრეატიული მეთოდების გამოყენების პროცესში:

- სახელმძღვანელოების არასათანადო ხარისხი;
- როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მოტივაციის სიმწირე სოციო-ეკონომიკური მიზეზების გამო;
- სამეცნიერო სტატიებზე მასწავლებელთა წვდომის პრობლემა, ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე;
- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ქართულენოვანი წიგნების ნაკლებობა;
- მასწავლებლებს შორის კვლევითი გამოცდილების სიმწირე;
- სასწავლო აღჭურვილობის, სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტების სიმწირე;
- მრავალრიცხოვანი კლასები (30 და მეტი მოსწავლე);
- სკოლებში არსებული ბიუროკრატიული ბარიერები;
- მშობლებთან კომუნიკაციის სირთულები – ახალი სასწავლო მეთოდებით მუშაობის პრინციპის მათთვის გაზიარების პრობლემები;
- სასწავლო პროცესში შშმ და სსმ მოსწავლეების შედეგიანად ჩართვის სირთულები.

აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, Covid 19-ის გავლენა სწავლების პროცესზე, რომელმაც სკოლებს შორის არსებული უთანასწორობა კიდევ უფრო ნათელი გახადა.

ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ ბევრ სკოლასა და მასწავლებელს გაკვეთილზე ისეთი რესურსების გამოყენების საშუალება მისცა, რომლებზეც პირისპირ სწავლები-სას ხელი არ მიუწვდებოდათ. მაგალითად, მათ ფოტოების, ვიდეომასალის ჩვენების შესაძლებლობა გაუჩნდათ Zoom-ის ან Teams-ის მეშვეობით. თუმცა, ონლაინსწავლე-ბაზე გადასვლა, ზოგ შემთხვევაში, რთული ან შეუძლებელი გამოდგა, განსაკუთრე-ბით, სოფლად მდებარე სკოლებში. ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სკოლის ისტორიის მასწავლებელი ამბობს, რომ მისი მოსწავლეები ინტერნეტის არქონის გამო არათუ დამატებით რესურსებს ვერ იყენებენ, არამედ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მთელ სასწავლო პროცესს:

“ ამ ონლაინ გაკვეთილებზე ჩემს კოლეგებს აქვთ წვდომა. ქალაქის სკოლებში პრობლემა არ არსებობს და ძალიან კარგადაც ატარებენ გაკვეთილს, მაგრამ მე, როგორც ასეთი, რთულ სიტუაციაში ვარ. მცირე კონტიგენტიანი სკოლაა, 5 ბავშვი ესწრება ან 2-3, დანარჩენებს ინტერნეტთან წვდომა არ აქვთ, ან ისეთ ადგილას ცხოვრობენ, სადაც ინტერნეტი ვერ იქნება. ბავშვი, პრაქტიკულად, გამორთულია ამ სასწავლო პროცესიდან, ვერ ერთვება“.

[მასწავლებელი, მდედრ., სამეგრელო]

4.4.2 საკლასო აქტივობებში ჩართულობა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით


სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების საფუძველზე, მოსწავლეების სასკოლო აქტივობებში ჩართულობის გამოსავლენად, რეგრესიულ ანალიზს მივმართეთ. შედე-გების მიხედვით, სქესის ნიშნით, სასკოლო აქტივობებში ჩართულობა განსხვავებუ-ლია. აღმოჩნდა, რომ ბიჭებთან შედარებით, გოგოები უფრო ხშირად არიან ჩართულნი „სტანდარტულ საკლასო აქტივობებში,“ ხოლო ბიჭები „არასტანდარტულ (კრეატიულ, შემოქმედებით) საკლასო აქტივობებს“ უფრო მეტად ასახელებენ. გარდა ამისა, მე-ცხრე კლასელები უფრო ხშირად არიან ჩართულნი „სტანდარტულ საკლასო“ აქტი-ვობებში, ვიდრე მეათე, მეთერთმეტე ან მეთორმეტე კლასელები. უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილი და სკოლის ზომა (მცირე ზომის სკოლაში სწავლა) ზრდის „სტანდარტულ საკლასო აქტივობებში“ ჩართულობის ალბათობას.

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეები უფრო ხშირად ასახელებენ „არასტანდა-რტულ (კრეატიული, შემოქმედებითი) საკლასო აქტივობებს“, ვიდრე ეთნიკურად ქა-რთველი მოსწავლეები. საინტერესოა ოჯახის შემოსავლის თვითშეფასების ფაქტო-რიც: საშუალოზე მაღალი შემოსავლის ოჯახებში უფრო მაღალია „არასტანდარტულ (კრეატიული, შემოქმედებითი) საკლასო აქტივობებში“ მონაწილეობა, ვიდრე საშუა-ლოზე დაბალი და დაახლოებით საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახების მოსწავლეთა შემთხვევაში. სახლში წიგნების რაოდენობა პოზიტიურ კორელაციაშია როგორც სტა-ნდარტულ, ისე არასტანდარტულ აქტივობებში ჩართულობასთან.

4.4.3 ისტორიის სწავლისა და სწავლების ძირითადი ფოკუსი

გარდა ისტორიის სწავლების მეთოდებისა, მნიშვნელოვანი იყოს იმის გარკვევა, თუ რა აქტივობებზე მახვილდება, უმეტესად, ყურადღება ისტორიის გაკვეთილზე. ამ შემთხვევაშიც გამოკითხვის მონაწილეებს შეთავაზებული ჩამონათვალიდან უნდა გაეკეთებინათ არჩევანი.

გრაფიკი 13. რაზე ამხვილებთ ყურადღებას ისტორიის გაკვეთილის დროს?



როგორც გრაფიკი 13 აჩვენებს, ყველაზე მეტად მოსწავლეები ყურადღებას ამხვილებენ და ეცნობიან ერისა და საზოგადოების ტრადიციებს, მახასიათებლებსა და ღირებულებებს (ძალიან – 26%, მეტად – 48%); მეორე, ყველაზე ხშირი აქტივობა ისტორიული სინთეზებისა და ისტორიული ძეგლების შენარჩუნება და დაფასებაა (ძალიან – 26%, მეტად – 43%); შედარებით ნაკლები ყურადღება ისტორიის გაკვეთილების დროს ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების ქრილში ისტორიული მოვლენების განხილვას ეთმობა (ძალიან – 16%, მეტად – 41%); ხოლო ყველაზე ნაკლებად ყურადღება ისტორიის სახალისო მხარეებზე მახვილდება (ძალიან – 15%, მეტად – 34%). ამ შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიის გაკვეთილები, ძირითადად, მიმართულია ისტორიის, როგორც იდენტობის შენარჩუნების, მნიშვნელოვანი საფუძვლის შესწავლაზე.

ის, რომ გაკვეთილებზე ყველაზე ნაკლებად ისტორიის სახალისო მხარეებზე ხდება ფოკუსირება, შესაძლოა, ისტორიის მიმართ მოსწავლეების დამოკიდებულებაში აისახოს. როგორც თავში [როგორ უსმით ახალგაზრდებს ისტორია](#) აღინიშნა, მოსწავლეებს ისტორიის სახალისო და წარმოსახვის განმავითარებელი მხარე ისტორიის მნიშვნელობის სხვა მხარეებზე ნაკლებ ღირებულად მიაჩნიათ.

საინტერესოა ისიც, რომ, ერთი მხრივ, როგორც ზემოთ აღვწერეთ, მოსწავლეების აზრით, ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე მის საფუძველზე დღე-

ვანდელიობის ახსნის შესაძლებლობაა, მეორე მხრივ, კი როგორც წინა გრაფიკში ჩანს, ამ მიმართულებით ყურადღება გაკვეთილებზე შედარებით ნაკლებად მახვილდება.

ის, თუ რაზე მახვილდება ყურადღება ისტორიის გაკვეთილზე, შესაძლოა, იმას უკავშირდებოდეს, თუ რას მიიჩნევენ მასწავლებლები ისტორიის სწავლების მიზნად. ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზმა შემდეგი ძირითადი მიზნები გამოავლინა:

- მოსწავლეებში ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბება, სამშობლოს სიყვარული;
- ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, განსაკუთრებით, გლობალიზაციის პერიოდში ერების ჰომოგენიზაციის საპირისპიროდ;
- მოსწავლეებში წარსულის კრიტიკული გააზრებისა და მისი ანმეოსა და მომავალთან დაკავშირების უნარის ჩამოყალიბება;
- მსოფლიოს კონტექსტში საქართველოს ადგილის გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- მოსწავლეებში ტოლერანტობის, სხვა კულტურების მიმართ ინტერესისა და პატივისცემის ჩამოყალიბება;
- მოსწავლის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრის ჩამოყალიბება.

რომ შევაჯამოთ, ისტორიის სწავლების მიზნები ორ ძირითად ნარატივად ერთიანდება: „პატრიოტიზმის პერფორმანსი“, რომელიც მიმართულია, ისტორია ეროვნული/პატრიოტული სენტიმენტების გასაღვივებლად გამოიყენოს და „კრიტიკული აზროვნების პრაქტიკა“, რომლისთვისაც ისტორია კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობის საშუალებაა. კვლევა აჩვენებს, რომ, მართალია, ეს ორი მნიშვნელობა ხშირად ურთიერთსაპირისპიროდაა დანახული, თუმცა, ეს მნიშვნელობები ურთიერთგამომრიცხავი არ არის და მათი ურთიერთმიმართება უფრო კომპლექსურია. მაგალითად, მასწავლებლების ნაწილი ისტორიის სწავლების მიზნად, ერთსა და იმავე დროს, „ეროვნული სულისკვეთების ამადღებასაც“ ხედავს და „კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებასაც“. რესპონდენტი მასწავლებლების ნაწილის თქმით, მათი გაკვეთილები ხშირად „სამფაზიან“ სტრუქტურას ეფუძნება (როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ ტერმინს ისინი ზოგჯერ „ტრადიციული გაკვეთილის“ მნიშვნელობით იყენებენ და არა ამ ცნების ფორმალური მნიშვნელობით). ზოგიერთი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის გაკვეთილის უფრო კრიტიკული სწავლების მეთოდებით გამდიდრებას ცდილობს:

“ სამფაზიანი გაკვეთილი მაქვს, როგორც ადრე იყო მიღებული, პირველი ფაზა-გამოკითხვის ფაზაა, შემდეგ ძირითადი ნაწილი, ბოლოს – შეჯამების ფაზა. ახლა გადავდივართ სხვა ტიპის გაკვეთილებზე. წესით გაკვეთილი ორიენტირებული ახალ მასალაზე უნდა იყოს და არა გამოკითხვაზე. გამოკითხვის ფაზაში მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებაა შესაძლებელი – მინილექცია, კითხვა-პასუხი, წყაროებზე მუშაობა – ეს მეთოდები ყველა გაკვეთილზე გამოყენებადია, სხვა ტიპის აქტივობებს სპეციალურად მომზადება სჭირდება, ყველა გაკვეთილზე ვერ გამოიყენებ, მაგრამ ხანდახან კი.”

[მასწავლებელი, მამრ., ქუთაისი].

ახალგაზრდები, ერთდროულად, საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ პატრიოტულ განცდებზეც საუბრობენ და მისი კრიტიკული გააზრების აუცილებლობაზეც. ამრიგად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სტუდენტების ფოკუსჯგუფებზე დაყრდნობით, საქართველოს ისტორიის ცოდნა და გააზრება საქართველოში ისტორიის, როგორც „პატრიოტიზმის პერფორმანსისა“ და ისტორიის, როგორც „კრიტიკული აზროვნების პრაქტიკის“ მნიშვნელობათა გადაკვეთაზე ხდება.

უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის ფაქტორულ ანალიზს¹²⁶ მივმართეთ, რომელმაც აჩვენა, რომ ისტორიის გაკვეთილზე აქტივობების ზემოთ განხილული ვარიანტები სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვადასხვა ფაქტორებად არ ჯგუფდება. ამიტომ, მონაცემების შემდგომი ანალიზისთვის, ყველა ტიპის აქტივობა ერთ ფაქტორად – ისტორიის გაკვეთილზე აქტივობების მრავალფეროვნება – გაერთიანდა. ანალიზი აჩვენებს, რომ ინდექსური ცვლადის საშუალო მაჩვენებელი 3.72-ია, რაც ზოგადი აქტივობების მრავალფეროვნების საშუალოზე მაღალ დონეზე მიუთითებს.

ისტორიის გაკვეთილზე აქტივობების მრავალფეროვნების ინდექსის მრავლობითი წრფივი რეგრესიის ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადი სოციოდემოგრაფიული ცვლადებიდან მნიშვნელოვანი უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება და მოსწავლის კლასია. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას აპირებენ, უფრო მაღალი ალბათობით აღნიშნავენ, რომ ისტორიის გაკვეთილზე ყურადღება ზემოთ განხილული სხვადასხვა ტიპის აქტივობებს ექცევა, ვიდრე ისინი, ვინც უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას არ აპირებს. რაც შეეხება სასწავლო კლასს, ისტორიის გაკვეთილზე აქტივობების მრავალფეროვნების ინდექსის მაღალი მაჩვენებლის დაფიქსირების ალბათობა მეცხრე კლასის მოსწავლეთათვის უფრო დიდია, ვიდრე სხვა უფროსკლასელებისთვის. საინტერესოა, რომ კლასების მიხედვით მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მეცხრე კლასელები, ზოგადად, უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ისტორიით და ისტორიასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საკლასო აქტივობებშიც უფრო ხშირად მონაწილეობენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის კურიკულუმის მიხედვით, მეცხრე კლასელები უფრო მეტად არიან დატვირთულნი სკოლაში ისტორიის შესწავლის საათებითა და საკლასო აქტივობებით, თუმცა ამ მიგნებების სიღრმისეული ანალიზი, შესაძლოა, სამომავლო კვლევების მეშვეობით მოხდეს.

ისტორიის აქტიური, ინტერპრეტაციული, კრიტიკული და შემოქმედებითი სწავლება, ჩვენი კვლევის სხვა მონაცემების ანალიზშიც ჩანს. მაგალითად, ის მოსწავლეები, რომლებიც მეტად ასახელებენ ისტორიის არასტანდარტულ, მრავალფეროვან საკლასო აქტივობებში მონაწილეობას, უფრო მრავალმხრივად აფასებენ ისტორიის პრობლემურ მონაკვეთებს, მაგ.: სსრკ-ს პერიოდს. კერძოდ, ისინი, უფრო მეტი ალბათობით ითვალისწინებენ სსრკ-ს ისტორიის შესახებ არა მხოლოდ უარყოფით მოვლენებს (მაგ. რეპრესიები, ადამიანის უფლებების დარღვევები), არამედ დადებით ასპექტებსაც (მაგ. სოციალური სტაბილურობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება).

126. ფაქტორული ანალიზის ახსნა და მისი დანიშნულება ამ კვლევაში განხილულია ქვეთავში [მონაცემთა ანალიზი](#). ფაქტორული ანალიზის საფუძველზე შეიქმნა ახალი ინდექსური ცვლადი, რომლის მნიშვნელობები 1-დან (ისტორიის გაკვეთილებზე მრავალფეროვანი აქტივობების ყველაზე დაბალი დონე) 5-ის ჩათვლით (ისტორიის გაკვეთილებზე მრავალფეროვანი აქტივობების ყველაზე მაღალი დონე) მერყეობს.

ისტორიის შესწავლის ანალიზისთვის თეორიას მივმართეთ. ისტორიის შემეცნების კონცეპტუალური თეორიული მოდელების რაოდენობა შედარებით მცირეა, რაც, გარკვეულწილად, ამ საკითხის სირთულესა და არაერთგვაროვნებაზე მიუთითებს¹²⁷. არსებულ მოდელთაგან გამოიყოფა მაგიონისა და კოლეგების მიერ შემუშავებულ მოდელი¹²⁸, რომლის მიხედვითაც არსებობს ისტორიის გაგების სამი განსხვავებული მიდგომა, რომლებსაც პოტენციურად მასწავლებლებიც მიმართავენ: გადამწერი, მსესხებელი და კრიტერიუმების შემუშავებელი¹²⁹. პირველი მიდგომის მიმდევრები ისტორიულ სინამდვილეს უაპელაციოდ იღებენ – ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე. მსესხებლის პარადიგმის მიმდევრები კი უფრო სუბიექტური და რელატივისტური ბუნებით გამოირჩევიან და ისტორიის შეფასების დროს ყურადღებას განსხვავებული მოსაზრებების არსებობაზე და ფაქტების ინტერპრეტაციულ ბუნებაზე ამახვილებენ; ხოლო რაც შეეხება მესამე მიდგომას, ამ შემთხვევაში საქმე უფრო დახვეწილ და კომპლექსურ მიდგომასთან გვაქვს: წარსულის აღსაქმელად ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომები უნდა გამოვიყენოთ და სადაც ეს შესაძლებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისები. ამ შემთხვევაში, ისტორია აღქმულია როგორც კონსტრუქცია, რომელიც თავისი არსით იგივე არ არის, რაც წარსული.¹³⁰ თუ ამ მიდგომით ვიხელმძღვანელებთ, ისტორიის სწავლების მიდგომები, თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, ქართულ საჯარო სკოლებში, უმეტესწილად, პირველ პარადიგმაში თავსდება.

4.4.4 შეჯამება

ისტორიის გაკვეთილებზე, ძირითადად, სტანდარტული აქტივობები გამოიყენება. თუმცა, ფებს იკიდებს თანამედროვე მეთოდები, სწავლება გარდამავალ პროცესშია და, ძირითადად, მეთოდების ჰიბრიდიზაცია – ძველი და ახალი მეთოდების შეჯერება, მათი ერთობლივი გამოყენება ხდება. ისტორიის სწავლებისას ძირითადი აქცენტი ისტორიის კონსერვაციაზე კეთდება, ხოლო, მიზნები როგორც პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას მოიცავს, ისე სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, ისტორიის ცოდნა და გააზრება საქართველოში შეგვიძლია აღვწეროთ ისტორიის, როგორც „პატრიოტიზმის პერფორმანსისა“ და ისტორიის, როგორც „კრიტიკული აზროვნების პრაქტიკის“ მნიშვნელობათა ჰიბრიდული ვერსია. ამას გარდა, ისტორიის სწავლების მიდგომები, თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, ქართულ საჯარო სკოლებში, უმეტესწილად, „გადამწერის“ პარადიგმაში თავსდება, რომელიც ისტორიის უპირობოდ, ინტერპრეტაციის გარეშე მიღებას გულისხმობს.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ მოსწავლეები წარსულის პასიური

127. Miguel-Revilla, D., Carril-Merino, T., & Sánchez-Agustí, M. (2021). An examination of epistemic beliefs about history in initial teacher training: a comparative analysis between primary and secondary education prospective teachers. *The Journal of Experimental Education*, 89(1), 54-73.

128. Maggioni, L., Alexander, P., & VanSledright, B. (2004). At a crossroads? The development of epistemological beliefs and historical thinking. *European Journal of School Psychology*, 2(1-2), 169-197.

129. ინგლისურენოვან სტატიაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: copier, borrower and criterialist (Miguel-Revilla, Carril-Merino, & Sánchez-Agustí, 2021). შემდგომში მოცემული განმარტებები აღებულია ამავე სტატიიდან.

130. Miguel-Revilla, Carril-Merino, & Sánchez-Agustí, 2021

შემმეცნებლებიდან ისტორიის აქტიურ მომხმარებლებად და მონაწილეებად გადავაცით, საჭიროა, უფრო სიღრმისეული მიდგომების გამოყენება და არამხოლოდ სტანდარტულ აქტივობებზე დაყრდნობა სწავლების პროცესში.¹³¹ სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ, ზოგადად, შესწავლის პროცესში მოსწავლეები დიდ სარგებელს თავიანთ თანატოლებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობითა და ინფორმაციის გაცვლით იღებენ.¹³²

4.5. დამოკიდებულებები სხვადასხვა მოვლენის მიმართ

4.5.1 ადამიანის ცხოვრების შემცვლელი ფაქტორები

უშუალოდ ისტორიული ფაქტების გაგებისა და ინტერპრეტაციის გარდა, საგანმანათლებლო დაწესებულებები მიზნად მოსწავლეებისთვის სხვადასხვა საკითხის შესახებ წარმოდგენების შექმნასაც ისახავენ. ამ შემთხვევაში, ცენტრალიზებული სასკოლო განათლება იარაღი ხდება ეროვნული ნორმატივებისა და წარმოდგენების ჩამოყალიბებისთვის.¹³³ შესაბამისად, ისტორიის სწავლების კონტექსტში, საინტერესოა, თუ რა მოსაზრებები უყალიბდებათ მოსწავლეებს მომიჯნავე საკითხებთან დაკავშირებით. გამოკითხვის დროს მოსწავლეებს უნდა შეეფასებინათ სხვადასხვა ისტორიული პროცესების გავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე. ფაქტორების შეფასებისას მათ უნდა დაესახელებინათ მოვლენები, რომლებმაც ადამიანების ცხოვრება შეცვალეს დღევანდელობამდე და უნდა გამოეთქვათ ვარაუდები, თუ როგორ შეიძლება, მათ კაცობრიობის ცხოვრება შეცვალონ მომდენო 50 წლის განმავლობაში (გრაფიკი 14). გამოკითხვის დროს მოსწავლეებს უნდა შეეფასებინათ სხვადასხვა ისტორიული პროცესების გავლენა ადამიანთა ცხოვრებაზე. ფაქტორების შეფასებისას მათ უნდა დაესახელებინათ მოვლენები, რომლებმაც ადამიანების ცხოვრება შეცვალეს დღევანდელობამდე და უნდა გამოეთქვათ ვარაუდები, თუ როგორ შეიძლება ამ მოვლენებმა კაცობრიობის ცხოვრება მომდენო 50 წლის განმავლობაში შეცვალონ (გრაფიკი 14).


131. Barton, K. C. (2015). There Aren't A Lot Of "For Sure" Facts: Building Communities of Historical Inquiry. In *Doing History* (pp. 21-32). Routledge.

132. Barron, B., & Darling-Hammond, L. (2008). Teaching for Meaningful Learning: A Review of Research on Inquiry-Based and Cooperative Learning. Book Excerpt. *George Lucas Educational Foundation*.

133. საინტერესოა, ამგვარი დასკვნები კეთდება საქართველოს კონტექსტთან ახლოს მყოფი ქვეყნის, საბერძნეთის, ისტორიის სწავლებასა და მის შედეგებზე მიღწილ კვლევაშიც. დეტალები, იხილეთ სტატიაში: Avdela, E. (2000). The teaching of history in Greece. *Journal of Modern Greek Studies*, 18(2), 239-253.

გრაფიკი 14. რამ/ვინ შეცვალა ადამიანების ცხოვრება?

ჩაერთვლილთაგან რამ/ვინ შეცვალა ადამიანების ცხოვრება ელემენტ / შეხველის მომდევნო 50 წლის განმავლობაში ყველაზე მეტად? (%)



ტექნოლოგიური გამოგონებები (48%), ომები და შეიარაღებული დაპირისპირებები (34%) და მეცნიერების, ხელოვნებისა და ცოდნის განვითარება (33%) ყველაზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა ადამიანის ცხოვრების დღემდე შემცვლელ გარემოებებს შორის. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური გამოგონებების მნიშვნელობა მომდევნო 50 წლის განმავლობაში, მოსწავლეთა აზრით, გაიზრდება და ნახევარზე მეტის (56%) აზრით, ეს ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კაცობრიობაზე. მომავლის შეფასებისას, რიგით მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკოლოგიური კრიზისები და ბუნებრივი კატასტროფები (34%) აღმოჩნდა: დაახლოებით 20%-ით მეტმა მოსწავლემ დაასახელა ეს გარემოება ადამიანის ცხოვრებაზე გავლენის მომხდენ ფაქტორად 50 წლის შემდეგ, წარსულ გავლენასთან შედარებით.

საინტერესოა ის, რომ ეკოლოგიურ კრიზისებთან დაკავშირებული გავლენები წარსულში მნიშვნელოვნად ჩამორჩება (14%) მომავალში მოსალოდნელ გავლენას (34%). წარსულში ადამიანთა ცხოვრებაზე შედარებით დაბალი გავლენის მატარებლად მოსწავლეებს მიგრაცია (10%) და მოსახლეობის ზრდა (9%) მიაჩნიათ. ეს პასუხები, შესაძლოა, მეტყველებდეს ისტორიის სწავლების თავისებურებაზეც, სადაც გარემო პირობების გავლენა კაცობრიობის ისტორიაში ნაკლებადაა აქცენტირებული. ეს კი, შეიძლება, უკავშირდებოდეს იმ საკითხს, რომ მეოცე საუკუნის დასავლეთ ევროპაში, ანალების სკოლის მიერ აქცენტირებული ახალი თემატიკა,¹³⁴ რომელიც, სხვა თემებთან ერთად, დემოგრაფიას, ეკონომიკასა და გარემოზე ადამიანის ზემოქმედებასაც სწავლობდა, ნაკლებად გახდა საქართველოში ისტორიის შესწავლის მნიშვნელოვანი ფოკუსი.

134. nb. Braudel, F. (1995). The Mediterranean and the Mediterranean World in the Age of Philip II: Volume I. University of California Press.


ანწყოსა და მომავალ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის აღსანიშნავია მოსახლეობის ზრდაც: დღემდე გავლენის მომხდენ ფაქტორებზე საუბრისას, იგი 9%-მა დაასახელა მაშინ, როდესაც 50 წლის შემდგომ სიტუაციაზე საუბრისას, მისი სიხშირე 21%-მდე გაიზარდა. საპირისპირო მდგომარეობა შეინიშნება ომებისა და შეიარაღებული დაპირისპირებების (34%-დან 18%-მდე ცვლილება), რელიგიის დამაარსებლებისა და რელიგიური ლიდერების (22%-დან 7%-მდე ცვლილება) და მეფეების, დედოფლებისა და გამორჩეული მმართველების (17%-დან 3%-მდე ცვლილება) ფაქტორებთან, რომელთა მნიშვნელობა, მოსწავლეების აზრით, მომავალში მნიშვნელოვნად შემცირდება.

საინტერესოა, რომ როგორც სხვადასხვა თემით დაინტერესების, ისე ამ თემის მნიშვნელობის თვალსაზრისით, ეკონომიკური პროცესებისა და ცალკეული ადამიანის ქმედებები (ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრება) ისტორიის სხვა საკითხებთან შედარებით, ნაკლებად მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის. როგორც ჩანს, მათთვის ისტორია მნიშვნელოვანი მოვლენების, განსაკუთრებული პიროვნებების აღწერა და ნაკლებად – საზოგადოებრივი ცხოვრების სტრუქტურებისა (მაგ. ეკონომიკა, ტრადიციები, სოციალური სტრუქტურები) და სოციალური პროცესების ისტორია.

4.5.2 დამოკიდებულება ერებისა და ერი-სახელმწიფოების მიმართ

ისტორიის როლისა და დანიშნულების კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხია ერებისა და ერი-სახელმწიფოების შესახებ მოსაზრებები. გამოკითხვის დროს მოსწავლეებს ამ საკითხთან დაკავშირებული ოთხი განსხვავებული დებულების შეფასება დაევალათ (გრაფიკი 15).

გრაფიკი 15. როგორია თქვენი შეხედულება ერებსა და ერი-სახელმწიფოზე?



როგორც გრაფიკი 15-დან ჩანს, მოსწავლეების ყველაზე დიდი ნაწილი (74%) ეთანხმება ან სრულად ეთანხმება მოსაზრებას, რომ ერი არის ხალხთა ბუნებრივი გაე-

რთიანება, რომლებსაც საერთო წარმოშობა, კულტურა, ენა და ისტორია აქვთ. ხოლო დათანხმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს მოსაზრებას, რომ სახელმწიფოებმა საკუთარი მართვის მნიშვნელოვანი წილი გარეგან აქტორებს უნდა გადასცენ, მას მოსწავლეების მესამედზე ოდნავ მეტი – 36% – ეთანხმება.

მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ერის კონცეფცია, როგორც კულტურის, წარმომავლობის, ისტორიისა და ენის ისტორიის პროდუქტი, უფრო ახლოს დგას იოჰან გოტფრიდ ჰერდერის კონცეფციასთან. ეს კონცეფცია საფუძველია უფრო მეტად ეთნიკური ნიშნით, ნაციონალიზმის პრიმორდიალისტური გაგების. ხოლო ერის, როგორც ადამიანების აქტიური შემოქმედების, მათი სურვილის შედეგი უფრო ახლოს დგას უფრო კონსტრუქტივისტულ, სამოქალაქო ნაციონალიზმის კონცეფციასთან, რომელიც ზოგჯერ ერნესტ რენანის სახელს უკავშირდება.¹³⁵ ერის, როგორც მუდმივი და ბუნებრივი განვითარების გაგება, როგორც ჩანს, უკავშირდება ისტორიის სწავლების შინაარსს, როგორც ოფიციალურ სახელმძღვანელოებში, ისე მასწავლებლების მიერ ე.წ. ფარული კურიკულუმის ფარგლებში.¹³⁶ ისტორიის სწავლებისას, შესაძლოა, შედარებით უფრო პოპულარულია იდეა, რომ ქართველი ერი მუდამ და თავისთავად, ობიექტურად არსებობდა, ვიდრე ის, რომ ის კონკრეტული ეპოქებისა და ადამიანების ძალისხმევითა და შეთანხმებების შედეგია.

შემდგომმა ანალიზმა¹³⁷ აჩვენა, რომ არა მართლმადიდებელი მოსწავლეები, შეიძლება, უფრო მეტი ალბათობით დაეთანხმონ დებულებას, რომ „მსგავსად სხვა ცოცხალი ორგანიზმებისა, ერები იბადებიან, ვითარდებიან და ქრებიან, როგორც ყველაფერი სხვა.“ მსგავსი შედეგებია ეთნიკური ქართველების შემთხვევაშიც.

რაც შეეხება მეორე დებულებას – „ერი არის იმ ხალხთა ბუნებრივი გაერთიანება, რომელთაც აქვთ საერთო წარმოშობა, კულტურა, ენა და ისტორია“, აღმოჩნდა, რომ მოსწავლის სახლში წიგნების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება ალბათობა იმისა, რომ მოსწავლე დაეთანხმება მას. გარდა ამისა, ისინი, ვინც რეგულარულად იღებენ ინფორმაციას ისტორიის შესახებ სასკოლო წყაროებიდან და ისინიც, ვინც რეგულარულად არიან ჩართულნი სტანდარტულ საკლასო აქტივობებში, უფრო მეტად ავლენენ ამ მოსაზრებაზე დათანხმების ტენდენციას. საინტერესოა, რომ ეს მოსაზრება გარკვეულწილად ეხმიანება ერის დახასიათების ილია ჭავჭავაძისეულ ქრესტომათიულ განსაზღვრებას,¹³⁸ რომელსაც სკოლის მოსწავლეები აქტიურად ეცნობიან და იყენებენ სასკოლო აქტივობების დროს.

დებულებას – „ერები – ეს არის შედეგი ადამიანების სურვილისა, შექმნან საერთო მომავალი, მიუხედავად მათ შორის არსებული კულტურული სხვაობისა“ – მეტი ალ-

135. მაგალითად, როგორც შეხვდა ქართველი ერის შექმნისა და ისტორიის შესწავლის შემდგომ მცდელობას, რომელიც ბევრმა ნეგატიურად შეაფასა: Suny, R. G. (1994). *The making of the Georgian nation*. Indiana University Press. ამ კითხვების ისტორიისა და ევროპული კვლევის ფარგლებში დისკუსიისთვის იხ. Angvik, M., & von Borries, B. (Eds.). (1997). *Youth and history: A comparative European survey on historical consciousness and political attitudes among adolescents*. Vol. 1. Körber-Stiftung. გვ. 137-139.

136. ფარულ კურიკულუმს უწოდებენ ხოლმე იმ დაუნერგელ ცოდნასა და ღირებულებებს, რასაც სკოლები ან ცალკეული მასწავლებლები ავრცელებენ. იხ. Giroux, H. A. (1978). *Developing educational programs: Overcoming the hidden curriculum*. *The Clearing House*, 52(4), 148-151.

137. თითოეული დებულება სიდრმისეული ანალიზისთვის მრავლობითი რიგის ლოგისტიკური რეგრესიის საშუალებით გაანალიზდა.

138. Chkhartishvili, M. 2013. "Georgian Nationalism and the Idea of Georgian Nation." *Codrul Cosminului XIX* 2: 189-206.

ბათობით ისინი ეთანხმებიან, ვისაც მეტი წიგნი აქვს ოჯახში, ვინც ისტორიის შესახებ ინფორმაციას ნაკლებად სტრუქტურირებული წყაროებიდან იღებს და სტანდარტულ სასკოლო აქტივობებში მონაწილეობს.


დასასრულს, მეოთხე დებულებას – „სახელმწიფოებმა საკუთარი თავის მართვის უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციებს/გაერთიანებებს უნდა გადასცენ“ – მეტი ალბათობით ეთანხმებიან მოსწავლეები შედარებით მაღალი სოციოეკონომიკური მდგომარეობის მქონე ოჯახებიდან; ასევე, ისინი, ვინც ხშირად არიან ჩაბმულნი არასტანდარტულ (კრეატიულ, შემოქმედებით) სასწავლო აქტივობებში.

4.5.3 დამოკიდებულება ევროპის, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მიმართ

ევროპა

ერი-სახელმწიფოს გარდა, მოსწავლეებს ვთხოვეთ, თავიანთი მოსაზრებები დაეფიქსირებინათ ევროპისა და ევროინტეგრაციის შესახებ (გრაფიკი 16).

გრაფიკი 16. რას ნიშნავს თქვენთვის ევროპა და ევროინტეგრაცია?



მოსწავლეთა უმრავლესობა (60%) თვლის, რომ ევროპა დემოკრატიის, განმანათლებლობისა და პროგრესის საშობლოა. ნახევარზე ოდნავ ნაკლები კი მიიჩნევს, რომ ევროინტეგრაცია გადაჭრის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს საქართველოსთვის (44%). რესპონდენტები მსგავს თანხმობას გამოთქვამენ დებულებაზე, რომ „ევროპა მდიდარი ქვეყნების ჯგუფია, რომელიც ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ექსპლუატაციას უწევს დანარჩენ მსოფლიოს.“ ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის შესახებ არსებული მოსაზრებების ფაქტორულმა ანალიზმა ორი ჯგუფი გამოყო. პირველ ჯგუფს, პირობითად, „ევროპისა და ევროინტეგრაციის ნეიტრალური და ნეგატიური შეფასება“ ეწოდა, ხოლო მეორეს – „ევროპისა და ევროინტეგრაციის პოზიტიური

შეფასება¹³⁹. ინდექსის მაჩვენებლების შედარება ცხადყოფს, რომ მოსწავლეები, ზოგადად, უფრო ეთანხმებიან „ევროპისა და ევროინტეგრაციის პოზიტიური შეფასება“-ს, ვიდრე „ევროპისა და ევროინტეგრაციის ნეიტრალურ და ნეგატიურ“ შეფასებებს. ამ შემთხვევაში, ყურადსაღებია ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ დისკურსში გავრცელებული ევროპოცენტრული და „ევროპაში დაბრუნების“ იდეა,¹⁴⁰ რომლის ზეგავლენა, სავარაუდოდ, ირიბად აისახა კიდევაც ევროინტეგრაციის პოზიტიური შეფასების დომინანტობაში.

როგორც მონაცემების შემდგომმა ანალიზმა აჩვენა,¹⁴¹ მეათე და მეთერთმეტე კლასელები ოდნავ უფრო ხშირად ეთანხმებიან მოსაზრებებს, რომლებიც ევროპასა და ევროინტეგრაციას ნეიტრალურ ან ნეგატიურ ქრილში ახასიათებენ. რაც შეეხება „ევროპისა და ევროინტეგრაციის პოზიტიური შეფასება“-ს, აღმოჩნდა, რომ ბიჭები უფრო მაღალი ალბათობით ეთანხმებიან დადებით მოსაზრებებს ევროპისა და ევროინტეგრაციის შესახებ, ვიდრე გოგოები. გარდა ამისა, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, სახლში წიგნების რაოდენობა, ინფორმაციის ნაკლებად სტრუქტურირებული და სასკოლო წყაროებიდან მიღება და არასტანდარტულ სასკოლო აქტივობებში ჩართულობის სიხშირე ზრდის „ევროპისა და ევროინტეგრაციის პოზიტიური შეფასება“-ზე დათანხმების ალბათობას. აღნიშნული მიგნების ასახსნელად მნიშვნელოვანი იქნება სამომავლო კვლევის ჩატარება.

ფოკუსჯგუფები აჩვენებს, რომ ევროპას მოსწავლეები „თანამედროვეობის“, „განვითარებულობის“, „თავისუფლებისა“ და „დემოკრატიის“ მნიშვნელობებს უკავშირებენ. რაოდენობრივი შედეგების მიხედვით, მოსწავლეების 83% მიიჩნევს, რომ ევროკავშირში გაერთიანება საქართველოსთვის „ევროპულ ოჯახში“ დაბრუნება იქნება.¹⁴²

“**რა თქმა უნდა, ევროპა დღეს არის მისწრაფების საგანი და ისტორიულადაც ჩვენი ადგილი. ეს არ არის ევროპეიზაცია, ეს არის რე-ევროპეიზაცია, ანუ დაბრუნება სახლში**“.

[სტუდენტი, მამრ., თბილისი]

თუმცა, მეორე მხრივ, ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვა და მისი თანმდევი მოვლენები ფოკუსჯგუფებში ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად დადებითად არ განიხილება. არსებობს მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც, ევროპისკენ სწრაფვა უკრიტიკოდ არ უნდა იქნას მიღებული და საქართველომ ევროპული ინტეგრაციის პროცესში საკუთარი კულტურული კონტექსტი უნდა გაითვალისწინოს:

139. შენიშვნა: ფაქტორების მიხედვით შესაბამისი ინდექსური ცვლადები გამოითვალა. ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (1 ქულა) შეესაბამება დებულებებზე დათანხმების ყველაზე სუსტ დონეს, ხოლო ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (5 ქულა) კი დათანხმების ყველაზე მაღალ დონეს.

140. Nodia, G. (2009). Components of the Georgian national idea: An outline. *Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region*, 1.

141. „ევროპისა და ევროინტეგრაციის ნეიტრალური და ნეგატიური შეფასების“ ინდექსი მრავლობითი წრფივი რეგრესიის მეშვეობით გაანალიზდა.

142. მოსაზრებები ქართულ კულტურაზე ვრცლად განხილულია ქვეთავში: [მოსაზრებები ქართულ კულტურაზე](#)

“ არ მომწონს, რომ ევროპას ყველაფერ პოზიტიურთან აკავშირებენ. გინდა თუ არა, ევროპაში ყველაფერი სწორია... კონტექსტი უნდა გაითვალისწინო ყოველთვის და შენს კულტურას, წესებს და ტრადიციებს მოარგო“.

[სტუდენტი, მამრ., თბილისი]

“ ბოლო დროს, ცოტა წინააღმდეგი გავხდი ჩვენს მენტალიტეტში ევროპული ღირებულებების შემოღწევის. ჩვენ იმით ვართ უნიკალურები, რომ ასეთები ვართ. უცხოური რად გვინდა. მოდი, ისეთები ვიყოთ, როგორც ვიყავით. ჰო, უნდა შევიცვალოთ, ელასტიურები უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენი არ უნდა დავკარგოთ. სხვისი ღირებულებები არ გვჭირდება“.

[მასწავლებელი, მდედრ., ეთნიკური უმცირესობა, სამცხე-ჯავახეთი]

ეს ხედვა ევროპეიზაციის დისკურსის ხშირად წინააღმდეგობრივ მხარეს ასახავს. ქართველ ახალგაზრდებში ღირებულებების „რეტრადიციონალიზაცია“ ხდება და ისინი ეძებენ გზებს, თუ როგორ დაუპირისპირონ ევროპეიზაციის თანამედროვე ტენდენციას „ეროვნული სულისკვთების“ კონცეფცია.¹⁴³ გარდა ამისა, ევროპული ინტეგრაცია, ერთი მხრივ, დაცულობის უფრო მაღალ ხარისხსა და ცხოვრების მაღალ დონესთან, მეორე მხრივ კი, იდენტობის დაკარგვის შესაძლო საფრთხესთან ასოცირდება.¹⁴⁴

მიუხედავად ზემოაღნიშნული ამბივალენტობისა, ახალგაზრდების ხედვა, ხშირად, გამოკვეთილად ევროპოცენტრული და ევოლუციონისტურია. ევროპას ისინი თანამედროვე კულტურის ცენტრად ხედავენ, რომელიც მსოფლიოს ყველა რეგიონს „იმსგავსებს“, ხოლო „ევროპის დონემდე“ მისვლა საქართველოს გაუჭირდება, რადგან მას დემოკრატიულობა და „შეგნების მაღალი დონე აკლია.“¹⁴⁵ ზოგადად, როგორც ამას სხვა კვლევებიც ცხადყოფს, საქართველოსა და საქართველოს მსგავსი ტიპის ქვეყნებში ახალგაზრდები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნულ ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ეროვნული იდენტობა და მხოლოდ შემდეგ მოდის ევროპული ან „გლობალური“ იდენტობები. თუმცა, ამავედროულად, მნიშვნელობას ანიჭებენ „ევროპელობას“ და ევროპულ ღირებულებებს, რომლებიც, ძირითადად, ასოცირდება განათლების მაღალ ხარისხთან, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და დემოკრატიასთან. სწორედ ამ „პოზიტიური“ მახასიათებლების გამო თვლიან ახალგაზრდები, რომ ისინი უნდა ესწრაფვოდნენ „ევროპელობას“, თუმცა, არა ქართული ტრადიციების „დათმობის“ ხარჯზე.¹⁴⁶

143. Tsuladze, L. (2012). How Things Are Remade Georgian: Glocalisation and the Assertion of ‘National’ among Georgian Youth. In *Identities in Transition* (pp. 93–102). Brill.

144. Tsuladze, L. (2021) “Managing Ambivalence: An Interplay between the Wanted and Unwanted Aspects of European integration in Georgia,” in *The Unwanted Europeanness? Understanding Division and Inclusion in Contemporary Europe*, ed. Branislav Radeljić. Berlin, Walter de Gruyter GmbH.

145. Khoshtaria, T., Zurabishvili, T., Romanovska, A., & Gilbreath, D. (2021). Young people in Latvia and Georgia: identity formation and the imprints of traditions and globalization. *International Journal of Adolescence and Youth*, 26(1), 541-552. შენიშვნა: „შეგნების მაღალ დონეში“ რესპონდენტები, „განსხვავებული ადამიანების“, სხვისი რელიგიური იდენტობისა და სხვისი აზრისადმი პატივისცემას გულისხმობენ.

146. იქვე.

დაბოლოს, როგორც ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზმა აჩვენა, მასწავლებლები „ევროპულობას“, როგორც სასურველი იდენტობის ცნებას, ხშირად არასასურველი „აზიის“, „აზიატობის“ ცნებების საპირისპირო მნიშვნელობად წარმოაჩენენ.

“ ვცდილობ ხოლმე, რომ დავაკავშირო და ეს გავლენები, ინტერესები და საერთო მომენტები წამოვწიო წინ და დავანახო ბავშვებს, რომ ჩვენ 'აზიატიკები' და აზიისკენ მიმართული ხალხი არ ვიყავით ადრე და არც ახლა უნდა ვიყოთ“.

[მასწავლებელი, მდედარ., თბილისი]

ისტორიის ამ მასწავლებლისთვის საქართველოს „ევროპულობის“ წარმოჩენა მისი „აზიურობის“ შესახებ წარმოდგენის გაქარწყლების ხარჯზე უნდა მოხდეს. ამ ორიენტალისტურ¹⁴⁷ ხედვაში „აზიურობა“ განზოგადებულ, ჰომოგენურ, გეოგრაფიულ და კულტურულ ცნებად, „არასასურველი ჩამორჩენილობის“ სიმბოლოდ ჩანს, მისი საპირისპირო პოლუსი – „ევროპულობა“ კი – „სასურველ განვითარებულობასთან“ იგივდება.

რუსეთი


ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის შეფასების გარდა, მოსწავლეებმა საკუთარი დამოკიდებულებები რუსეთისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებაც გამოხატეს. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ კონტექსტში, რადგან რუსეთის მიმართ დამოკიდებულებები საზოგადოებაში ხშირად დამოკიდებულია დუალისტური არჩევანის დისკურსზე, რომელიც რუსეთს დასავლეთს (და ხშირ შემთხვევაში, აშშ-ს ან ნატოს) უპირისპირებს და დამოკიდებულებებიც ამ ქვეყნის მიმართ ასეთ წრილში ყალიბდება.¹⁴⁸ მაშინ, როდესაც გამოკითხვის დროს მოსწავლეებს შეკითხვები, ზოგადად, რუსეთის შესახებ დავუსვით, მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს, ზოგადად, ქართული საზოგადოების დამოკიდებულებები რუსი ხალხისა და რუსული სახელმწიფოს მიმართ: ბოლო კვლევების თანახმად, არსებობს რუსი ხალხისადმი შედარებით პოზიტიური დამოკიდებულებები მაშინ, როდესაც რუსული სახელმწიფოს მიმართ მოსახლეობის მოსაზრებები უფრო მეტად ნეგატიურია.¹⁴⁹

147. Said, E. (1978) *Orientalism: Western concepts of the Orient*. New York: Pantheon.

148. მაგალითისთვის, როდესაც საქმე ეხება საგარეო-პოლიტიკურ არჩევანს: Siroky, D. S., Simmons, A. J., & Gvalia, G. (2017). Vodka or Bourbon? Foreign Policy Preferences Toward Russia and the United States in Georgia. *Foreign Policy Analysis*, 13(2), 500-518.

149. <https://oc-media.org/features/datablog-do-georgians-differentiate-between-the-russian-people-and-russian-state/> უფრო დეტალურად ამ საკითხის გასაცნობად, იხილეთ კვლევის ანგარიში, [ბმულზე](#).

გრაფიკი 17. რას ნიშნავს თქვენთვის რუსეთი?



ზოგადად, რუსეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებები სჭარბობს პოზიტიურს. ყველაზე მეტად გაზიარებული დებულება, რომელსაც 66% დაეთანხმა, იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს მისი მეზობელი ქვეყნებისთვის. თუმცა, ამავდროულად, მოსწავლეთა მეოთხედი (25%) ეთანხმება აზრს, რომ რუსეთი არის საქართველოს მოკავშირე მისი დომინანტური რელიგიიდან (მართლმადიდებელი ქრისტიანები) გამომდინარე.

როგორც მონაცემების ანალიზმა¹⁵⁰ აჩვენა, რუსეთის მიმართ ზოგადი დამოკიდებულებები უფრო მეტად ნეგატიურისკენ იხრება, ვიდრე პოზიტიურისკენ. რეგრესიული ანალიზის მიხედვით¹⁵¹ კი, ისინი, ვისაც რეპეტიტორი არ ჰყავთ¹⁵² და ისინი, ვინც „არასტანდარტულ სასკოლო აქტივობებში“ მონაწილეობენ, უფრო დადებითად არიან განწყობილნი რუსეთის მიმართ; ხოლო, ეთნიკურად ქართველები, ისინი, ვინც „მეტად სტრუქტურირებული წყაროებიდან“ ხშირად იღებენ ინფორმაციას და ვინც სასკოლო აქტივობებში მონაწილეობენ, რუსეთის მიმართ უფრო კრიტიკულები არიან.

150. ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ რუსეთის მიმართ დამოკიდებულებების აღმწერი დებულებები არ ჯგუფდება სტატისტიკურად მნიშვნელოვან ფაქტორებად. მონაცემების შემდგომი ანალიზისთვის, ყველა უნარი ერთ ფაქტორად – რუსეთის მიმართ ზოგადი დამოკიდებულება – გაერთიანდა. შეიქმნა ახალი ინდექსური ცვლადი, რომლის მნიშვნელობები 1-დან (რუსეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება) 5-ის ჩათვლით (რუსეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულება) მერყეობს. ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 2.67-ია.


151. მსგავსად სხვა საკითხებისა, რუსეთის მიმართ დამოკიდებულების ინდექსიც მრავლობითი წრფივი რეგრესიის გამოყენებით გაანალიზდა.

152. შენიშვნა: როგორც ზემოთაც აღინიშნა, რეპეტიტორის ყოლით არ ვხსნით შედეგებს, არამედ რეპეტიტორის ყოლა არის მოსწავლეების სიცოცხლო-ეკონომიკური მდგომარეობის ირიბი მაჩვენებელი.

საბჭოთა კავშირი

მოსწავლეთა გამოკითხვის დროს საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობისა და ისტორიის შესახებ მოსაზრებებიც იყო განხილული (გრაფიკი 18).

გრაფიკი 18. რას ნიშნავს თქვენთვის საბჭოთა კავშირი?



საბჭოთა კავშირზე შეთავაზებული შვიდი მოსაზრებიდან, მოსწავლეები, ძირითადად, საბჭოთა კავშირის ნეგატიურ შეფასებებს ეთანხმებიან. უმეტესობა ეთანხმება დებულებებს, რომ საბჭოთა კავშირი იყო „სახელმწიფო, სადაც ირღვეოდა ადამიანის უფლებები“ (68%), რომ „საბჭოთა კავშირი არადემოკრატიული სახელმწიფო იყო“ (61%) და რომ საბჭოთა კავშირი იყო „სახელმწიფო, რომელმაც გამოიწვია საქართველოს განვითარების შეფერხება“ (59%). თუმცა, 29% ეთანხმება იმ დებულებასაც, რომ საბჭოთა კავშირი იყო „სახელმწიფო, სადაც უკეთ იყო დაცული სოციალური საკითხები.“ ფაქტორული ანალიზი¹⁵³ კი ცხადყოფს, რომ მოსწავლეები, ზოგადად, უფრო ეთანხმებიან საბჭოთა კავშირის მიმართ „ნეგატიურ შეფასებებს,“ ვიდრე „პოზიტიურ შეფასებებს.“

რეგრესიული ანალიზის¹⁵⁴ მიხედვით, „საბჭოთა კავშირის მიმართ ნეგატიურ შეფასებაზე“ დათანხმების ალბათობა მეტია, როცა ოჯახში ბევრი წიგნია; ხოლო „საბჭოთა კავშირის მიმართ პოზიტიურ შეფასებას“ ეთნიკურად არაქართველები და ის მოსწავ-

153. საბჭოთა კავშირზე მოსაზრებების ფაქტორულმა ანალიზმა მოსაზრებების ორი ჯგუფი გამოყო. პირველ ჯგუფს, პირობითად, **„ნეგატიური შეფასება“** ეწოდა, ხოლო მეორეს – **„პოზიტიური შეფასება.“** ამ ფაქტორების მიხედვით გამოითვალა შესაბამისი ინდექსური ცვლადებიც. ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (1 ქულა) შეესაბამება დებულებებზე დათანხმების ყველაზე სუსტ დონეს, ხოლო ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (5 ქულა) კი – დათანხმების ყველაზე მაღალ დონეს.

154. საბჭოთა კავშირის მიმართ დადებითი და უარყოფითი დებულებების ფაქტორები მრავლობითი წრფივი რეგრესიის გამოყენებით გაანალიზდა.

ვლევები უფრო მეტად ეთანხმებიან, ვისაც რეპეტიტორები არ ჰყავთ. აღმოჩნდა ისიც, რომ რაც უფრო ხშირად იღებენ მოსწავლეები ინფორმაციას ისტორიის შესახებ „მეტად სტრუქტურირებული წყაროების“ და „სასკოლო წყაროების“ საშუალებით, მით მეტია შანსი, რომ მათ საბჭოთა კავშირის მიმართ ნეგატიური სენტიმენტები ჰქონდეთ. აღნიშნული მიგნების ასახსნელად მნიშვნელოვანი იქნება სამომავლო კვლევის ჩატარება.

დაბოლოს, როგორც სტანდარტულ, ისე არასტანდარტულ სასკოლო აქტივობებში ჩართულობის სიხშირე იმის ალბათობას ზრდის, რომ მოსწავლეს საბჭოთა კავშირის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ექნება. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაც მეტად არიან მოსწავლეები ჩართული შედარებით თანამედროვე, არასტანდარტულ სასკოლო აქტივობებში, მით მეტია ალბათობა, რომ ისინი საბჭოთა კავშირის შესახებ დადებით დებულებებსაც დაეთანხმებიან. ეს კი, შესაძლოა, ადასტურებდეს იმას, რომ არასტანდარტული სასკოლო აქტივობები დაკავშირებულია კრიტიკული და მრავალპერსპექტიული ანალიზის უნარების განვითარებასთან.

ფოკუსჯგუფების შედეგების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ მოსწავლეებსაც და სტუდენტებსაც მკვეთრად ნეგატიური განცდები აქვთ და მის გადმოსაცემად ხშირად იყენებენ ემოციურად დატვირთულ სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებს, როგორცაა: „დამახინჯებული აზროვნება“, „თავისუფალი აზრის შეზღუდვა“, „მოქალაქის პირადი თავისუფლების შეზღუდვა“, „არანორმალური რეჟიმი“, „მარნუხი“, „ბოროტების იმპერია“, „სტაგნაცია“ და სხვ.

“ ყველანაირ ცუდთან ასოცირდება საბჭოთა კავშირი. თვითონ ადამიანების ფსიქოლოგიურ წნეხთან, ეკონომიკურ გაჭირვებასთან. ყველაფერი ცუდი, რაც შეიძლება მომხდარიყო და მოხდა საქართველოს ისტორიაში, საბჭოთა კავშირს უკავშირდება.“
[სტუდენტი, მამრ., თბილისი]

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუსჯგუფების მონაწილეთა მონათხრობებში, საბჭოთა წარსული ჰომოგენურ „70 წლად“ არის წარმოსახული და სხვადასხვა პერიოდებად დიფერენციაცია არ ჩანს. როგორც აღმოჩნდა, სწავლებისას ყურადღებას სტალინურ რეპრესიებსა („დიდი ტერორი“) და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენაზე ამახვილებენ. ხოლო ამ ორ ისტორიულ წერტილს შორის მდებარე საბჭოთა ისტორიას II მსოფლიო ომის კონტექსტი „გადაფარავს.“

ფოკუსჯგუფებში კიდევ ერთი ნიშანდობლივი საერთო ტენდენცია გამოვლინდა, კერძოდ, მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც მონათხრობებში ასოციაციურად აიგივებენ რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და პოსტსაბჭოთა რუსეთის ცნებებს.

“ ჩემთვის არის რუსეთის ბატონობის ხანა საბჭოთა კავშირი, იმიტომ, რომ ამ დროს საქართველოში და სხვა ქვეყნებში ყოველთვის რუსული იმპერია ბატონობდა, ყველაფერი რუსულენოვანი იყო და ამიტომ რუსეთის ბატონობას ნიშნავს ჩემთვის საბჭოთა კავშირი.“
[მოსწავლე, მდედრ., თბილისი]

ხდება საბჭოთა კავშირის ევროკავშირთან შედარება:

“ ჩემი აზრით, საბჭოთა კავშირი რადიკალურად განსხვავდება ახლანდელი ევროკავშირისგან. არ იყო სრული თავისუფლება, თანასწორობა და აზრის გამოხატვის საშუალება და დემოკრატია.“
[მოსწავლე, მდედრ., სამეგრელო]

იმპერიული, საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა რუსეთის გაიგივება ნაკლებად გვხდება ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო გეგმებში. შესაბამისად, მოსწავლეების მიერ ამ პერიოდების აღრევა და გაიგივება, სავარაუდოდ, პედაგოგთა ფარული კურიკულუმისა და მედიით მიღებული ინფორმაციის შედეგია. ზოგადად, საბჭოთა კავშირის მიმართ მოსწავლეებს შორის არსებულ დამოკიდებულებებსა და საზოგადოებაში არსებულ ამბივალენტურ მოსაზრებებს შორის პარალელების გავლება შეიძლება.¹⁵⁵ ამ კუთხით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულ საზოგადოებაში გარკვეულწილად გავრცელებულია „ნოსტალგია“ საბჭოთა კავშირის მიმართ.¹⁵⁶ აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დასრულებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილშიც.¹⁵⁷ ხოლო თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო ოჯახი და სხვა არაფორმალური წყაროებია, ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენაც მნიშვნელოვანი ხდება ამ კონკრეტულ საკითხზე.

4.5.4 მოსაზრებები ქართულ კულტურაზე

ისტორიის ცოდნა და მის მიმართ არსებული დამოკიდებულებები, შესაძლოა, ახალგაზრდებში ქართული კულტურის შესახებ მოსაზრებების ჩამოყალიბებაზეც ახდენდეს გავლენას. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი იყო, შეგვეფასებინა, თუ როგორ ხედავენ ახალგაზრდები საკუთარი ქვეყნის კულტურას. ამისათვის მათ სხვადასხვა დებულებები შევთავაზეთ და ვთხოვეთ, შეეფასებინათ, რამდენად ეთანხმებოდნენ თითოეულ მათგანს (გრაფიკი 19).


155. Gugushvili, A., & Kabachnik, P. (2019). Stalin on their minds: A comparative analysis of public perceptions of the soviet dictator in Russia and Georgia. *International Journal of Sociology*, 49(5-6), 317-341.

156. Kovtiak, E. (2018). A Bridge to the Past: Public Memory and Nostalgia for the Communist Times in Modern Georgia. *Journal of Nationalism, Memory & Language Politics*, 12(1).

157. მაგალითად, 2019 წლის კავკასიის ბარომეტრის მიხედვით მოსახლეობის თანაბარი ნაწილები მიიჩნევდნენ რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვის კარგი (41%) მოვლენა იყო თუ ცუდი (42%). აღსანიშნავია, რომ ამ დებულების ასაკობრივ წრილს გაანალიზება ცხადყოფს, რომ ყველაზე ახალგაზრდა ნაწილშიც კი ნეგატიურად ამ მოვლენას თითქმის მეხუთედი (22%) აფასებს. იხ. [ბმული](#).

გრაფიკი 19. რამდენად ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?

ჩაქვანად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს: (%)



შედეგებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, საქართველო ყოველთვის იყო მტრების სამიზნე (82%); ათიდან შვიდი (70%) მიიჩნევს, რომ საქართველო უნდა ორიენტირდეს მომავალზე და არა წარსულზე. შეთავაზებული დებულებებიდან შედარებით ნაკლებად გაზიარებული აღმოჩნდა შემდეგი მოსაზრებები: „ისტორიულად, ქართველები არასდროს უსჯომლან თავს მეზობლებს“ (47%) და „ქართული ტრადიციები არ იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში“ (47%).

მონაცემების უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის ფაქტორულ ანალიზს მივმართეთ,¹⁵⁸ რომლის საფუძველზეც ორი ფაქტორი გამოიყო: „კონსერვატიული/წარსულზე ორიენტირებული შეხედულებები“ და „პროგრესული/მომავალზე ორიენტირებული შეხედულებები.“ შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო მეტად „კონსერვატიულ/წარსულზე ორიენტირებულ შეხედულებებს“ ეთანხმებიან. როგორც რეგრესიულმა ანალიზმა¹⁵⁹ ცხადყო, კონსერვატიულ/წარსულზე ორიენტირებულ შეხედულებებზე დათანხმების ტენდენციას უფრო მეტად ავლენენ: ეთნიკურად არაქართველები; ისინი, ვინც თბილისს გარეთ ცხოვრობენ; არიან მართლმადიდებლები; და ისინი, ვინც მცირე ზომის სკოლებში სწავლობენ. მოულოდნელი შედეგი იყო, რომ შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებში მცხოვრებნი, შეიძლება, უფრო მეტი ალბათობით დაეთანხმონ პროგრესულ/მომავალზე ორიენტირებულ შეხედულებებს.

158. ფაქტორული ანალიზის საფუძველზე „პროგრესული/მომავალზე ორიენტირებული შეხედულებების“ და „კონსერვატიული/წარსულზე ორიენტირებული შეხედულებების“ ფაქტორების მიხედვით შესაბამისი ინდექსური ცვლადები გამოითვალა. ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (1 ქულა) ფაქტორში მოცემული დებულებისადმი დათანხმების ყველაზე მცირე დონეს შეესაბამება, ხოლო ყველაზე მაღალი (3 ქულა) – დებულებებზე დათანხმების ყველაზე ძლიერ მაჩვენებელს.

159. ფაქტორული ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი თითოეული ინდექსი მრავლობითი წრფივი რეგრესიის გამოყენებით გაანალიზდა.

თვისებრივი კვლევის მიხედვით, ახალგაზრდები ქართულ კულტურას უპირატესად მიიჩნევენ, მისი სიძველის გამო. თუმცა, სხვა კრიტერიუმებით, მაგალითად, ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, საქართველო გამორჩეულად არ მიაჩნიათ.

“ ჩემი აზრით, აქვს [უპირატესობა], რადგან საქართველოს კულტურა ერთ-ერთი უძველესია.“ [მოსწავლე, მდედრ., კახეთი].

“ ამერიკას რომ შევადაროთ საქართველოს კულტურა, უპირატესია. ძველ ცივილიზაციებთან შედარებით, უპირატესობა არ გვაქვს. პოლიტიკით და ეკონომიკით ამერიკა გვჭობია, თუმცა ისტორიას რომ გადავხედოთ, კულტურა ჩვენ უფრო მეტი გვაქვს, თუნდაც დამწერლობა, მეღვინეობა.“ [მოსწავლე, მდედრ., თბილისი]


აღსანიშნავია, რომ სტუდენტები ეთნოცენტრული ხედვის ნეგატიურ მხარეებზეც მიუთითებენ და ქართულ კულტურას სხვებთან შედარებით უპირატესად არ მიიჩნევენ.

“ ეთნოცენტრული მიდგომა ძალიან საშიშია, რომელიც მერე რადიკალურ და ექსტრემისტულ მოძრაობებს და განწყობებს იწვევს. ასე ჩემი კულტურის სხვა კულტურებთან შედარებით განხილვა, ჩემი აზრით, არასწორია. რაღაც საშიში შედეგების გამომწვევი“. [სტუდენტი, მამრ., თბილისი]

სხვა ხალხების როლი ქართული კულტურის განვითარებაში

როგორც თავში [ისტორიის მოვლენების ინტერპრეტაცია ახალგაზრდების მიერ](#) აღინიშნა, საქართველოს ისტორიის სწავლება, ხშირად, იზოლაციონისტურია. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა, თუ როგორ აფასებდნენ ახალგაზრდები სხვა ხალხების როლს ქართული კულტურის განვითარებაში (გრაფიკი 20).

გრაფიკი 20. როგორ შეაფასებდით ამ ხალხების როლს ქართული კულტურის განვითარებაში?



როგორც გრაფიკი 20-დან ირკვევა, ძველი ბერძნებისა (39%) და საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების (34%) როლი ქართული კულტურის განვითარებაში ყველაზე დადებითად შეფასდა. ხოლო, მონღოლებმა (61%) სპარსელებმა (49%), თურქებმა (51%), რუსებმა (54%), არაბებმა (50%) და ირანელებმა (48%), მეტწილად, ნეგატიური შეფასებები დაიმსახურეს.

ფაქტორული ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი სამი ფაქტორის – „ევრაზიელები“, „კავკასიელები“ და „ევროპელები“, ანალიზისას¹⁶⁰, გამოჩნდა რომ მოსწავლეები მეტწილად უარყოფითად აფასებენ „ევრაზიელების“ წვლილს ქართულ კულტურაში, ხოლო „კავკასიელებისა“ და „ევროპელების“ წვლილი უფრო მეტად ნეიტრალურადაა განხილული. აღსანიშნავია, რომ ამ შედეგებსა და ქართულ საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებებთან შესაძლოა პარალელების გავლება სხვა ქვეყნების კულტურებთან მსგავსებისა და სიახლოვის საკითხებში. 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მეზობელი

* იგულისხმება საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც სიაში ცალკე მითითებული არ არიან.

160. ფაქტორული ანალიზის საფუძველზე გამოყოფილი სამი ფაქტორისათვის გამოითვალა ინდექსური ცვლადებიც. ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (1 ქულა) შეფასების ყველაზე ნეგატიურ დონეს, ხოლო ინდექსის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (5 ქულა) პოზიტიური შეფასების ყველაზე მაღალ ნიშნულს წარმოადგენს.

ქვეყნებისა და კავკასიური მოსახლეობის კულტურა და ტრადიციები ყველაზე მეტად მსგავსი და ახლოს მდგომი იყო, სხვა რეგიონებთან შედარებით.¹⁶¹

რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, რომ ის, ვისაც სახლში შედარებით ცოტა წიგნი აქვს, არის ეთნიკურად არაქართველი და აღნიშნავს, რომ რეპეტიტორი არ ჰყავს არც ერთ საგანში, შედარებით უფრო დადებითად აფასებს „ევრაზიელების“ წვლილს ქართული კულტურის განვითარებაში.

ქართული კულტურის განვითარებაში „კავკასიელებისა“ და „ევროპელების“ მიერ შეტანილ წვლილს არაქართველი მოსწავლეები და ისინი, ვის მშობლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ, მეტი აღბათობით, პოზიტიურად აფასებენ. ამასთანავე, ქართული კულტურის განვითარებაში „ევროპელების“ პოზიტიური როლის შეფასების მაჩვენებლები პოზიტიურ კორელაციაშია კლასების ცვლადთან – უფროსკლასელები უფრო დადებითად აფასებენ ამ ფაქტორს, ვიდრე უმცროსკლასელები.

როგორც ზემოთ ითქვა, ბევრი სხვადასხვა ერის გავლენას მოსწავლეები ნეგატიურად აფასებენ. აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებზე მიუთითებს ბოლოდროინდელი კვლევებიც, რომლებიც, შესაძლოა, სასკოლო სახელმძღვანელოებში რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების სტერეოტიპული გადმოცემის პრობლემას უკავშირდებოდეს.¹⁶² არაბების, მონღოლების ოსმალებისა და სპარსეთის იმპერიებთან კავშირში საქართველოს ისტორიის სწავლებისას, როგორც ჩანს, ნაკლები აქცენტი კეთდება კულტურათა შორის გაცვლაზე, ტექნოლოგიურ, სოციალურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ განვითარებაზე. უფრო მეტი ყურადღება რელიგიურ თუ პოლიტიკურ კონფლიქტებსა და რეპრესიებს ექცევა. საქართველოს კონტექსტში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ მასწავლებლები იშვიათად მიმართავენ ან ცდილობენ, პრაქტიკაში გამოიყენონ კულტურული მრავალფეროვნების შესაბამისი აქტივობები ან მასალები. როგორც ჩანს, ნაკლები აქცენტი კეთდება კულტურათა შორის გაცვლაზე, ტექნოლოგიურ, სოციალურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ განვითარებაზე და უფრო მეტი ყურადღება რელიგიურ თუ პოლიტიკურ კონფლიქტებსა და რეპრესიებს ექცევა. შესაძლოა, ამგვარი დამოკიდებულების განვითარებაზე, ისტორიის გარდა, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმიც მოქმედებდეს, რომელიც, ასევე, მნიშვნელოვან აქცენტს სწორედ რელიგიურ დაპირისპირებებზე აკეთებს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებისას.

საქართველოს როლი რეგიონში


გარდა იმისა, თუ რა როლი ითამაშეს სხვა ერებმა ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში, კვლევის ფარგლებში მოსწავლეებს ვკითხეთ, თუ რა როლი შეიძლება, ჰქონდეს საქართველოს კავკასიაში, კერძოდ, უნდა მოიპოვოს თუ არა გავლენა სხვა ქვეყნებზე.

161. აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევის თანახმად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გაუჭირდა მსგავსი კულტურისა (41%) და ტრადიციების (36%) მქონე ქვეყნებისა თუ ტერიტორიების დასახელება. ეს გარემოება ირიბად მიუთითებს ქართულ საზოგადოებაში არსებულ იზოლაციონისტური და უნიკალურობის შესახებ არსებული მოსაზრებების სიძლიერეს. დამატებით, იხილეთ [ბმული](#).

162. სართანია, ქ. (2017). *სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი*. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი.

გრაფიკი 21. ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველომ გავლენა უნდა მოიპოვოს კავკასიის სხვა ქვეყნებზე?

ჩაბუნა ეთანხმებით ან არ ეთანხმებით რომ საქართველომ გავლენა უნდა მოიპოვოს კავკასიის სხვა ქვეყნებზე? (%)



როგორც შედეგებმა აჩვენა, მოსწავლეების დიდი ნაწილი (41%) ეთანხმება ამ მოსაზრებას, 40% ნეიტრალურადაა განწყობილი, ხოლო 19% არ ეთანხმება დებულებას.

რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოჩნდა, რომ დებულებას უფრო მეტად ის მოსწავლეები ეთანხმებიან, რომლებსაც სახლში შედარებით მცირე რაოდენობის წიგნი აქვთ და აგრეთვე ისინი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. გარდა ამისა, მოსწავლეები, რომლებსაც პოლიტიკა მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, უფრო მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საქართველომ გავლენა უნდა მოიპოვოს კავკასიის სხვა ქვეყნებზე.

4.5.5 შეჯამება

რომ შევაჯამოთ, ერი-სახელმწიფოს შესახებ წინააღმდეგობრივ დებულებებს შორის შედარებით უფრო პოპულარულია ნაციონალიზმის პრიმორდიალისტური კონცეფცია, რომელიც ერის, როგორც მუდმივი და ბუნებრივი განვითარების გაგებას გულისხმობს. დათანხმების სიძლიერე ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მოსწავლეების ოჯახების კეთილდღეობის საბომ ისეთ ირიბ საბომებზე, როგორც ოჯახში წიგნების რაოდენობა ან ოჯახის სოციოეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სუბიექტური მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დებულებაზე დათანხმება ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღების განსხვავებულ წყაროებსა და საკლასო აქტივობების განსხვავებულ მიდგომებთანაც ასოცირდება.

მოსწავლეებს ევროკავშირის მიმართ უფრო მეტად დადებითი დამოკიდებულებები აქვთ რუსეთისა და საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, რომელთა მიმართაც ნეგატიური სენტიმენტები ქარბობს. ამავდროულად, წინააღმდეგობრივია ევროკავშირის ხედვა და ის ერთდროულად განხილულია როგორც შესაძლებლობა და როგორც საფრთხე.

ზოგადად, ქართველი მოსწავლეები უცხო ხალხების მიერ ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილ წვლილს კრიტიკულად აფასებენ. „ევრაზიელების“ შემთხვევაში დამოკიდებულებები ნეგატიურისკენ იხრება, ხოლო „კავკასიელებისა“ და „ევროპელების“ შემთხვევაში უფრო ნეიტრალური და პოზიტიურია, რაც შესაძლოა, ერთი მხრივ, გამოწვეული იყოს ამ კლასტერში გაერთიანებულ ერებთან არსებული კულტურულ-ტრადიციული სიახლოვის განცდით და, ზოგადად, ქართულ დისკურსში პრო-ევროპული ინტეგრაციისა და მიმართულების არსებობით.

5. რეკომენდაციები

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები კვლევაში გამოვლენილ რამდენიმე საგულისხმო პრობლემის გააზრებას უკავშირდება. სასურველია, რომ ამ რეკომენდაციების ადრესატად რამდენიმე მნიშვნელოვანი მოქმედი მხარე მივიჩნიოთ:

- სახელმწიფო: როგორც ისტორიის პოლიტიკის დამგეგმავი და განმახორციელებელი;
- უნივერსიტეტები: როგორც კვლევის, ისტორიის შინაარსის, კვლევისა და სწავლების მეთოდების განვითარების ადგილი; როგორც მასწავლებლების მომზადებისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუცია;
- სკოლები: როგორც ისტორიის სწავლებისა და, ასევე, სწავლების მეთოდებისა და რესურსების განვითარების ადგილი;
- მედია: როგორც ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და მასწავლებელთა პროფესიული ზრდის შესაძლებლობა;
- გამომცემლობები: როგორც ისტორიული შინაარსების წარმოებისა და გავრცელების მნიშვნელოვანი წყარო;
- საზოგადოებრივი გაერთიანებები (კლუბები, წრეები, კავშირები, ასოციაციები): როგორც ისტორიით დაინტერესებული ადამიანებისა და ინსტიტუტების, მასწავლებლების პროფესიული გაერთიანებების სივრცეები;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები: როგორც ცოდნის გენერატორები და საზედამხედველო ფუნქციების მატარებელი ორგანიზაციები;
- მუზეუმები და ძეგლთა დაცვის ორგანიზაციები: როგორც საისტორიო ცოდნის შემუშავების, შენარჩუნებისა და გავრცელების ადგილები.

წინამდებარე რეკომენდაციების განხორციელება, შესაძლოა, რიგ შემთხვევაში, ამ წარმოდგენილ მოქმედ მხარეებს შორის თანამშრომლობას უკავშირდებოდეს.

რეკომენდაცია 1: ისტორიის სწავლების მეთოდების დახვეწა

კვლევამ აჩვენა, რომ სკოლებში ისტორიის სწავლება, უმეტესად, ტრადიციული, შინაარსსა და მასწავლებლებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს. მეორე მხრივ, კვლევამ ისიც აჩვენა, რომ შედარებით უფრო აქტიური, მოსწავლეზე, მის უნარებზე, ცოდნასა და ღირებულებებზე ორიენტირებული სწავლება, შესაძლოა, კრიტიკული და მრავალპერსპექტიული აზროვნების განვითარებასთან იყოს კავშირში. სასურველია, რომ ისტორიის მასწავლებლებს ჰქონდეთ მეტი ცოდნა და მოტივაცია, რომ შედარებით უფრო აქტიური სწავლების მიდგომები დანერგონ.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნებოდა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ძალისხმევა და მასწავლებელთა წახალისება, პედაგოგიური სარეკომენდაციო გზამკვლეებისა და წვრთნის პროგრამების შემუშავება, ხოლო, მეორე მხრივ, მასწავლებლების წინასწარი, საუნივერსიტეტო მომზადების პროგრამების გაუმჯობესება, რამაც შესაძლოა, ვითარების სასიკეთოდ ცვლილებას შეუწყოს ხელი. მნიშვნელოვანი იქნებოდა, ასევე, მასწავლებლების პროფესიული, საგნობრივი გაერთიანებების (მაგ.: ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის) გაძლიერება, რომ მასწავლებლებს მეტი ჰორიზონტალური, კოლეგებისგან წამოსული მხარდაჭერა ჰქონდეთ.

რეკომენდაცია 2: ისტორიის სწავლების შინაარსის გაუმჯობესება

მნიშვნელოვანია, რომ ისტორიის ფარგლებში შესასწავლი თემები დაიხვეწოს. სასურველი იქნებოდა:

- მეტი აქცენტი გაკეთდეს ისტორიის ალტერნატიული ინტერპრეტაციების არსებობის მიმღებლობაზე. სასურველია, ერთი „გრანდ-ნარატივის“ კონცეფციიდან ისტორიის გააზრებაზე გადასვლა – როგორც მრავალმხრივსა და ჰარალელური ინტერპრეტაციების მქონესკენ.
- საამაყო და ტრაგიკული მოვლენების ისტორიაზე კონცენტრირების სანაცვლოდ, ისტორიის სწავლება უფრო მეტად გახდეს საზოგადოებრივი სტრუქტურებისა და სტრუქტურული ცვლილებების გააზრების საშუალება.
- მეტი აქცენტი გაკეთდეს ისეთი თემების შესწავლაზე, რაც დღეს შედარებით მარგინალიზებულია და რაც ისტორიის თანამედროვეობასთან და მომავალთან კავშირში გააზრებას შეუწყობდა ხელს: მაგ.: ეკონომიკური ისტორიის, ქალთა ისტორიის, სახელმწიფოს რაობის, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის.

ისტორიის სწავლების შინაარსის გაუმჯობესება უფრო თანამედროვე, მრავალპერსპექტიული და ისტორიის კრიტიკული ანალიზის ხელშემწყობი მასალების შემუშავებით შეიძლება. სასურველია, რომ დაიხვეწოს სახელმძღვანელოების ენა და შინაარსი და მოსწავლეების ასაკსა და ინტერესებს შეესაბამოს. ასევე, სასურველია მასწავლებლებისთვის კონკრეტული აქტივობების შემცველი, დროში განერილი რესურსების შემუშავება.

ამ თვალსაზრისით, მხოლოდ სახელმძღვანელოებზე ყურადღების გამახვილება არ იქნებოდა საკმარისი. თუმცა, უშუალოდ სახელმძღვანელოების გასაუმჯობესებლად, ასევე, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს მათი ავტორებისთვის კვლევებზე დაფუძნებული ისტორიის სწავლების მეთოდებისა და შინაარსების მიწოდების რეკომენდაციების შემუშავებაც. ამ რეკომენდაციების ნაწილი, შეიძლება, იყოს შეთავაზებები, თუ როგორ შეიძლება ისტორიის სწავლების კურიკულუმში მეტი აქცენტის დასმა ისტორიის ფარგლებში საზოგადოებრივი სტრუქტურების გააზრებაზე, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

რეკომენდაცია 3: ისტორიის წყაროების მრავალფეროვნების ზრდა

როგორც კვლევამ აჩვენა, ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მოსწავლეები ხშირად ისეთ არაფორმალურ წყაროებს ეყრდნობიან, როგორც არის ინტერნეტი, სოციალური ქსელები და ტრადიციული მედია. ადგილობრივი და უახლესი ისტორიის შესახებ ინფორმაციის მისაღებად მოსწავლეები საკუთარ ოჯახებსაც მიმართავენ. სასურველი იქნებოდა, ერთი მხრივ, მეტი აქცენტი გაკეთდეს ონლაინ რესურსებსა და მედიაში ისტორიის შესახებ მულტიმედიურად მდიდარი, მიუკერძოებელი შინაარსების გამრავლებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა, სკოლებში სასურველი იყოს ზეპირი ისტორიების შემსწავლელი პროექტების დანერგვა, სადაც მოსწავლეებს მათ შეგროვებასა და კრიტიკულ გააზრებას ასწავლიდნენ.

ორივე მიზანი მედიაწიგნიერების კომპეტენციების განვითარებას უკავშირდება. სკოლებში მედიაწიგნიერების კომპეტენციების განვითარება მეტ საშუალებას მისცემდა ახალგაზრდებს, არა მხოლოდ იმ გზავნილების კრიტიკული ანალიზი შეძლონ,

რასაც ისტორიასთან კავშირში იღებენ, არამედ თავადაც გახდნენ ისტორიასთან დაკავშირებული გზავნილების შემქმნელები.

ისტორიის წყაროების მრავალფეროვნების ზრდისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ისეთი სანდო და კომპეტენტური წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, როგორც მუზეუმებია. სასურველი იქნებოდა, რომ გაიზარდოს სკოლის მოსწავლეების კავშირი მუზეუმებთან და დაიგეგმოს მეტი ვიზიტი; ასევე, ხელი შეეწყოს მუზეუმების მიერ სკოლებისთვის როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ფორმატში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. სასურველია, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ბაზაზე მოსწავლეებისთვის შეიქმნას მონაცემთა ხელმისაწვდომი ბაზები (მაგ.: გენეალოგიური, ფოტოების კოლექციები, ადმინისტრაციული დემოგრაფიული მონაცემები, კორესპონდენციების ბაზები და ა.შ.), რომელიც ისტორიული კვლევების განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობას გაზრდის.

რეკომენდაცია 4: განათლების უთანასწორობის გათვალისწინება

კვლევამ აჩვენა, რომ სხვადასხვა სოციოეკონომიკურ ჯგუფებს, ასევე, სხვადასხვა ეთნიკური თუ კულტურული წარმომავლობის ჯგუფებს, შესაძლოა, სხვადასხვა ხარისხით მიუწვდებოდეთ ხელი ისტორიის შესასწავლად საჭირო საშუალებებზე, მათ შორის, ტექნიკურ და ინტელექტუალურ რესურსებზე. მნიშვნელოვანია, რომ მეტი აქცენტი კეთდებოდეს მცირე, სოფლის სკოლებში და ეთნიკურ უმცირესობებს შორის ისტორიის სწავლების გაძლიერებაზე; ასევე, გენდერულ განსხვავებებთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებაზე ისტორიის სწავლების გაუმჯობესებაზე ზრუნვისას, კერძოდ, კი: სახელმძღვანელოებში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი; ნაკლებობაა, ასევე, გენდერის ისტორიის კვლევებისა და ასეთი კვლევები, ძირითადად, აკადემიურ წრეშია „ჩაკეტილი“ და სხვ.

რეკომენდაცია 5: ისტორიის კვლევების ხელშეწყობა

ისტორიის გააზრების ერთ-ერთი საფუძველი ის სამეცნიერო პროდუქციაა, რაც ამ მიმართულებით იქმნება. მნიშვნელოვანია იმ კვლევების ხელშეწყობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ისეთი თემების გააზრებას, რაც დღემდე ისტორიოგრაფიისთვის ნაკლებ საყურადღებო იყო. ასეთებია: მენტალიტეტების ისტორია, სოციალური ისტორია, ნაციონალიზმის, გენდერის, საბჭოთა ისტორია და სხვა. ამ კვლევების წახალისებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდას და ისტორიის კვლევით დაინტერესებულთათვის არქივებში დაცულ მონაცემებზე წვდომის გამარტივებას.


ისტორიის კვლევების ხელშეწყობის მიზნით, სასურველია ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენციების ხელშეწყობაც. ამგვარი კონფერენციების საფუძველზე, შესაძლებელი იქნებოდა თანამედროვე სამეცნიერო კვლევის სტანდარტების გავრცელება და პოპულარიზება, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. კვლევების გაძლიერებას ხელს შეუწყობდა შესაბამისი კვლევითი სტიპენდიების არსებობაც.

გარდა ამისა, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ არაერთი საკითხი გამოავლინა, რაც სამომავლო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ისტორიის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებების კვლევები, რომლებსაც მეტად კონკრეტული ფოკუსი ექნებათ.

6. დანართები

დანართი 1: გამოკითხული მოსწავლეების სოციოდემოგრაფიული პროფილი


გრაფიკი 22. გამოკითხული მონაწილეების გადანაწილება კლასების მიხედვით



მოსწავლეების გამოკითხვა საჯარო სკოლებში 2021 წლის 29 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით გაგრძელდა. საერთო ჯამში, 118 შერჩეული სკოლიდან 4366 მოსწავლე გამოიკითხა, რომლებიც მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე ან მეთორმეტე კლასებში სწავლობდნენ (გრაფიკი 22). მოსწავლეების რაოდენობა თითქმის თანაბრად გადანაწილდა კვლევის ორ სტრატაში: გამოკითხულთა 58% თბილისის სკოლების მოსწავლეები იყვნენ, ხოლო დანარჩენი 42% საქართველოში მოქმედ სხვა საჯარო სკოლებს წარმოადგენდნენ. გამოკითხული მოსწავლეების საშუალო ასაკი 15.52 წელი იყო. გამოკითხულ მოსწავლეთა შორის გოგოები (63%) სჭარბობდნენ, ხოლო გამოკითხული ბიჭების რაოდენობა 37% გახლდათ.

გრაფიკი 23. მოსწავლეების ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა


გრაფიკი 1. მოსწავლეების ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა



მოსწავლეების უმრავლესობა ეთნიკურად ქართველი (89%) და მართლმადიდებელი ქრისტიანია (80%), რაც ასახავს კიდევაც საქართველოს ზოგად სურათს ეთნო-კონფესიურ კონტექსტში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოიკითხა არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა საკმარისი რაოდენობაც (აგრევირებულიად), რაც საშუალებას გვაძლევს, მოსწავლეების პასუხები ამ ორი ცვლადის გამოყენებითაც შევადაროთ ერთმანეთს.

გრაფიკი 24. მშობლის განათლება სტრატის, ეთნიკურობისა და რეპეტიტორის არსებობის მიხედვით

მშობლების განათლება სტრატის, ეთნიკურობისა და რეპეტიტორის არსებობის მიხედვით (%)




კითხვარის სოციოდემოგრაფიული ბლოკი მოიცავდა კითხვებს ოჯახის სოციოეკონომიკური, განათლებისა და კულტურული ფაქტორების, აგრეთვე მოსწავლეების სამომავლო გეგმების შესახებ. ამ ცვლადებს შორის ყველაზე საყურადღებო მშობლების განათლება გამოდგა, რომელიც მნიშვნელოვანი პრედიქტორია ისტორიასთან მიმართებაში მოსწავლეთა განსხვავებული მოსაზრებების, ცოდნისა თუ პრაქტიკების წინასწარმეტყველების დროს.

მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობას საშუალო სკოლის შემდგომ მიღებული რაიმე სახის განათლება (ტექნიკური ან უმაღლესი) აქვს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ სკოლის შემდგომი განათლების მიღების მაჩვენებელი დედების შემთხვევაში (71%) უფრო მაღალია, ვიდრე მამების შემთხვევაში (62%). რაც შეეხება ორივე მშობლის განათლებას ერთად, მოსწავლეთა 60%-ის შემთხვევაში, ორივე მშობელს აქვს სკოლის შემდგომი უმაღლესი განათლება (ტექნიკური განათლების ჩათვლით, გრაფიკი 24). საინტერესოა, რომ ეს მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ცვლადის მიხედვით. კერძოდ, თბილისელი მოსწავლეების 75%-ის თქმით, მათ ორივე მშობელს აქვს სკოლის შემდგომ მიღებული განათლება მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 53%-ია არათბილისელი მოსწავლეებისთვის (გრაფიკი 24). მნიშვნელოვანი განსხვავებებია ეთნიკური ნიშნითაც: არაქართველი მოსწავლეების მხოლოდ 22%-ის ორივე მშობელს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო იგივე მაჩვენებელი ქართველი

მოსწავლეების შემთხვევაში 64%-ია. მოსწავლეები, რომლებსაც ერთ რომელიმე საგანში მაინც ჰყავთ რეპეტიტორი, უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ორივე მშობელს უმაღლესი განათლება აქვს (69%), ვიდრე ისინი, ვისაც საერთოდ არ ჰყავს რეპეტიტორი (52%) (გრაფიკი 24).


გრაფიკი 25. წიგნების რაოდენობა ოჯახში სტრატის, რეპეტიტორის არსებობისა და მშობლების განათლების მიხედვით



ოჯახის განათლებისა და სოციალური კლასის კიდევ ერთი ინდიკატორია წიგნების რაოდენობა ოჯახში. ზოგადად, კითხვაზე, თუ რამდენი წიგნი აქვთ ოჯახში, ყველაზე გავრცელებული პასუხია 51-200 წიგნი (32%). წიგნების ფლობა არაერთგვაროვანია გეოგრაფიული სტრატისა და რეპეტიტორის ყოლის მიხედვით (გრაფიკი 25). განსაკუთრებით შესამჩნევია განსხვავებები მშობელთა განათლების ცვლადის მიხედვით: მაქსიმუმ 50 წიგნის ფლობას, ჯამურად, მოსწავლეების დაახლოებით 55% აფიქსირებს, რომელთა ორივე მშობელს, მაქსიმუმ, საშუალო განათლება აქვს მიღებული. ეს მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ია იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა ორივე მშობელს უმაღლესი (ან ტექნიკური) განათლება აქვს (გრაფიკი 25).


ოჯახის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გასაზომად მოსწავლეებს ვთხოვეთ, თავიანთი ოჯახის შემოსავალი საქართველოში მცხოვრები სხვა ოჯახების შემოსავლებთან შეედარებინათ. აღსანიშნავია, რომ თითქმის მეხუთედმა (20%) ამ კითხვას ან საერთოდ არ უპასუხა, ან განაცხადა, რომ არ იცოდა მასზე პასუხი. რაც შეეხება სხვა მოსწავლეებს – 9%-ის მოსაზრებით, მათი ოჯახის შემოსავალი ნაკლებია საქართველოში საშუალო ოჯახური შემოსავლის დონეზე, 56%-ის თანახმად, მათი ოჯახური შემოსავალი დაახლოებით იგივეა, რაც საშუალო მაჩვენებელი, ხოლო 15%-მა განაცხადა, რომ ის მაღალია, ვიდრე საშუალო ოჯახის შემოსავალი საქართველოში. ამ კითხვაზე მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირებულა სხვა სოციოდემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით.

გრაფიკი 26. გყავთ თუ არა რეპეტიტორი ჩამოთვლილ საგნებში?




ოჯახის სოციოეკონომიკური მდგომარეობის ირიბ ინდიკატორს წარმოადგენს კერძო რეპეტიტორის ყოლა. მოსწავლეთა 48%-მა განაცხადა, რომ მათ ერთ საგანში მაინც ჰყავთ კერძო რეპეტიტორი. უცხო ენებში მომზადება რეპეტიტორის აყვანის ყველაზე ხშირი მიზეზია (37%), მას მოსდევს ქართული ენა და ლიტერატურა (21%) და მათემატიკა (19%). რაც შეეხება ისტორიას, მოსწავლეთა მხოლოდ 11% დადის კერძო რეპეტიტორთან ამ საგანში (გრაფიკი 26).

გრაფიკი 27. გეგმები სკოლის დამთავრების შემდეგ რეპეტიტორის არსებობის, ეთნიკურობისა და მშობლების განათლების მიხედვით




მოსწავლეების სამი მეოთხედი (75%) სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში გეგმავს სწავლის გაგრძელებას (გრაფიკი 27). სწავლის გაგრძელების სურვილი განსხვავებულია სხვადასხვა მახასიათებლის მქონე მოსწავლეში. ასე, მაგალითად, ვინც რეპეტიტორთან დადის (84%), ქართველია (77%) და ორივე მშობელი უმაღლესი განათლებით ჰყავს (83%), უფრო ხშირად ასახელებს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მოტივაციას, ვიდრე სხვა გეგმებს.

გრაფიკი 28. რომელი მიმართულებით გსურთ სწავლის გაგრძელება?



უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მსურველებს შორის ყოველმა მეხუთემ (20%) არ იცის, თუ რომელი მიმართულებით სურს სწავლა. დასახელებულთაგან ყველაზე პოპულარული ჰუმანიტარული (19%), ინფორმაციისა და ტექნოლოგიების (11%) და სამედიცინო (11%) მიმართულებები აღმოჩნდა (გრაფიკი 28).

გრაფიკი 29. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ქვემოთ ჩამოთვლილი?



საქართველოს კონტექსტში, ისტორიის სწავლება ხშირად გადაჭაჭვულია პოლიტიკისა და რელიგიის საკითხებთან. ამიტომაც, ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, მოსწავლეებმა პოლიტიკისა და რელიგიის მნიშვნელობაც შეაფასეს. მოსწავლეთა სამი მეოთხედისთვის (76%) რელიგია ძალიან მნიშვნელოვანი ან მნიშვნელოვანია. მასთან შედარებით, პოლიტიკა მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეთა შედარებით მცირე ნაწილს (48%) (გრაფიკი 29).

დანართი 2. კვლევის დროს გაანალიზებული ლიტერატურა

- Ahonen, S. (2006). Report. In *Negotiating a New National Narrative in Georgia* (pp. 12–13).
- Aiken, J. H. (2006). A Georgian Narrative. In *Negotiating a New National Narrative in Georgia* (pp. 14–17).
- Angvik, M., & von Borries, B. (Eds.). (1997). *Youth and history: A comparative European survey on historical consciousness and political attitudes among adolescents*. (Vol. 1 and 2 with CD-Room). Körber-Stiftung.
- Archibald, Z. H. (Ed.). (2004). *The Black Sea, a history of interactions*. Gyldendal. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680493c98>
- Assmann, A. (2006). Checklist for a Georgian national narrative. In *Negotiating a New National Narrative in Georgia* (pp. 18–20).
- Assmann, J. (2006). Cultural Memories and National Narratives: With Some Relation to the Case of Georgia. In *Negotiating a New National Narrative in Georgia* (pp. 21–23).
- Batiashvili, N. (2017). *The bivocal nation: Memory and identity on the edge of empire*. Springer.
- Bergin, D. A. (1999). Influences on classroom interest. *Educational psychologist*, 34(2), 87-98.
- Braudel, F. (1995). *The Mediterranean and the Mediterranean World in the Age of Philip II: Volume I*. University of California Press.
- CIMERA, (2007). *History Teaching in Georgia: representation of Minorities in Georgian history textbooks*.
- Chkhartishvili, M. 2013. “Georgian Nationalism and the Idea of Georgian Nation.” *Codrul Cosminului XIX 2*: 189–206
- Evans, R. W. (1988). *Lessons from history: Teacher and student conceptions of the meaning of history*. *Theory & Research in Social Education*, 16(3), 203-225.
- Gigineishvili, L. (2006). Reflections on the Bellagio conference. In *Negotiating a New National Narrative in Georgia* (pp. 24–25).
- Gigineishvili, L. (2007). Post- reform history textbooks in Georgia: Changing patterns and the issue of minorities in Georgian history. In *History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian history textbooks* (pp. 7–22). Cimera.
- Giroux, H. A. (1978). Developing educational programs: Overcoming the hidden curriculum. *The Clearing House*, 52(4), 148-151.
- Gugushvili, A., Kabachnik, P., & Kirvalidze, A. (2017). Collective memory and reputational politics of national heroes and villains. *Nationalities Papers*, 45(3), 464-484.
- Gugushvili, A., & Kabachnik, P. (2019). Stalin on their minds: A comparative analysis of public perceptions of the soviet dictator in Russia and Georgia. *International Journal of Sociology*, 49(5-6), 317-341.
- Gundare, I. (2007). The Teaching of History in Georgia. With special focus on the Armenian and Azeri minorities and their representation in Georgian history textbooks. In *History Teaching in Georgia: Representation of Minorities in Georgian history textbooks* (pp. 23–68). Cimera.
- Hawkey, K., & Prior, J. (2011). History, memory cultures and meaning in the classroom. *Journal of Curriculum Studies*, 43(2), 231-247.
- Haydn, T., & Harris, R. (2010). *Pupil perspectives on the purposes and benefits of studying history in high school: a view from the UK*. *Journal of Curriculum Studies*, 42(2), 241-261.

- Huijgen, T., Holthuis, P., van Boxtel, C., & van de Grift, W. (2019). Promoting historical contextualisation in classrooms: an observational study. *Educational Studies*, 45(4), 456-479.
- Kabachnik, P., Kirvalidze, A., & Gugushvili, A. (2016). *Stalin Today: Contending with the Soviet Past in Georgia*. Tbilisi: Ilia State University Press
- Kakitelashvili, K. (2009). Instrumentalization of History and History Teaching in Post-Soviet Georgia. *Civilizaciuri Ziebandi CIVILIZATION RESEARCHES*, 24.
- Khoshtaria, T., Kobaladze, M., & Zurabishvili, T. (2018). History in Danger and Youth Civic Engagement: Perceptions and Practice in Telavi, Georgia. In *Understanding Youth Participation Across Europe* (pp. 293-315). Springer.
- Khoshtaria, T., Neal, M., Shubladze, R., & Vacharadze, K. (2019). Mapping Report of Cultural Heritage (Georgia). *CHIEF (Cultural Heritage and Identities of Europe's Future) Grant Agreement No: 770464*, 39.
- Kobakhidze, M. N. (2014). Corruption risks of private tutoring: case of Georgia. *Asia Pacific Journal of Education*, 34(4), 455-475.
- Kovtiak, E. (2018). A Bridge to the Past: Public Memory and Nostalgia for the Communist Times in Modern Georgia. *Journal of Nationalism, Memory & Language Politics*, 12(1).
- Maloy, R. W., & LaRoche, I. (2010). Student-Centered Teaching Methods in the History Classroom: Ideas, Issues, and Insights for New Teachers. *Social Studies Research & Practice (Board of Trustees of the University of Alabama)*, 5(3).
- Mindiashvili, B., Gakheladze, G., & Taboridze, I. (2016). Religious and Ethnic Diversity in School Textbooks of Georgian Literature, History and Civic Education (9th- 12th Grades). *Religious Education at Schools in Georgia*, 123.
- MYPLACE thematic report: Attitudes and trust*. (2015).
- MYPLACE thematic report: History and memory*. (2015).
- M., Ros, A., van Boxtel, C., & Oort, F. (2017). Primary school pupils' performances in understanding historical time. *Education 3-13*, 45(2), 227-242
- Nietzsche, F. (2016). *Vom Nutzen und Nachteil der Historie für das Leben*. BoD-Books on Demand
- Nodia, G. (2009). Components of the Georgian national idea: *An outline*. *Identity Studies in the Caucasus and the Black Sea Region*, 1.
- Said, E. (1978) *Orientalism: Western concepts of the Orient*. New York: Pantheon.
- Sichinava, D., Shubladze, R., Khoshtaria, T., & Gilbreath, D. (2020). Public Opinion In Georgia: New Caucasus Barometer Results. *Caucasus Analytical Digest (CAD)*, 116.
- Siroky, D. S., Simmons, A. J., & Gvalia, G. (2017). Vodka or Bourbon? Foreign Policy Preferences Toward Russia and the United States in Georgia. *Foreign Policy Analysis*, 13(2), 500-518.
- Sitzmann, T., Ely, K., Brown, K. G., & Bauer, K. N. (2010). Self-assessment of knowledge: A cognitive learning or affective measure?. *Academy of Management Learning & Education*, 9(2), 169-191.
- Storm, K. J. T. (2018). Unpacking the Georgian Nation: Examining the symbolic boundaries of group membership through national iconography. *Identity*, 18(3), 195-217.
- Suny, R. G. (1994). *The making of the Georgian nation*. Indiana University Press
- TDI. (2018). *გზამკვლევი სახელმძღვანელოების ავტორებისთვის. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი*.
- Tsuladze, L. (2012). How Things Are Remade Georgian: Glocalisation and the Assertion of 'National' among Georgian Youth. In *Identities in Transition* (pp. 93-102). Brill.

Tsuladze, L. (2017). On Europeanisation, national sentiments and confused identities in Georgia. *Communist and Post-Communist Studies*, 50(2), 125–133.

Tsuladze, L. (2021) “Managing Ambivalence: An Interplay between the Wanted and Unwanted Aspects of European integration in Georgia,” in *The Unwanted Europeanness? Understanding Division and Inclusion in Contemporary Europe*, ed. Branislav Radeljić. Berlin, Walter de Gruyter GmbH

UNICEF. (2014). *ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში*. გაეროს ბავშვთა ფონდი.

Wansink, B. G. J., Akkerman, S., & Wubbels, T. (2016). *The Certainty Paradox of student history teachers: Balancing between historical facts and interpretation*. *Teaching and Teacher Education*, 56, 94–105

Wertsch, J. V., & Karumidze, Z. (2006). *Negotiating a New National Narrative in Georgia*.

კოკილაშვილი ლაშა. (2020). *მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში*. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. [https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevbi/PISA2018-Georgia%20\(1\).pdf](https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevbi/PISA2018-Georgia%20(1).pdf)

სართანია, ქ. (2017). *სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი*. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი.

სარჯველაძე ნ., ჩხაიძე, მ., ხაფავა ქ., შუშანი, ნ., & ჯაფარიძე, მ. (2006). *კულტურათაშორისი მგრძობელობის კურიკულუმის სახელმძღვანელოს შედგენა*. ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2008). *მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი*.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018a). ისტორია, საბაზო საფეხური, წლიური პროგრამები. In *ეროვნული სასწავლო გეგმა*. ncp.ge. <http://ncp.ge/files/ESG/2011-2016/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96.%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20-%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018b). ისტორია—საბაზო საფეხურის სტანდარტი. In *ეროვნული სასწავლო გეგმა*. ncp.ge. <http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018). სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური ნაწილი. In *ეროვნული სასწავლო გეგმა*. ncp.ge. <http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%92%20-%202018%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%207%20%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C.pdf>

საქართველოს მთავრობა. (2004). *ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები*. საქართველოს მთავრობა.

სუმბაძე, ნ. (2012). *თაობები და ღირებულებები*. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი. https://www.osgf.ge/files/publications/Taobebi_1.pdf

ფრიდრიხ ებერტის ფონდი. (2017). *თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016—საქართველო*. ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

შოშიტაიშვილი, თ., & ჭუმბურიძევიორგი. (2020). *TIMSS 2019—მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა, პირველადი ანგარიში*. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. https://naec.ge/uploads/postData/20-21/TIMSS/TIMSS_2019_პირველადი%20ანგარიში.pdf

ხერუაშვილი, ლ., ბრეგვაძე, თ., & რატიანი, გ.. (2019). *PIRLS/ePIRLS 2016—წიგნიერება: მეოთხეკლასელთა მიღწევები და მათზე მოქმედი ფაქტორები*. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. <https://www.naec.ge/uploads/postData/KVLEVEBI/PIRLS%202016%20ეროვნული%20ანგარიში.pdf>

ხომერიკი, ი., ჭავჭავაძე, მ., აბრამიშვილი, თ. (2012). *გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას. სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი*. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIIR).

ხომტარია, თ. (2019). *ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობების ღირებულებებისგან საქართველოში* [დისერტაცია]. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დანართი 3. კითხვარი

[ახალგაზრდები და ისტორია. კითხვარი ახალგაზრდებისთვის](#)

დანართი 4. ექსპერტული ინტერვიუების გზამკვლევი

[ინტერვიუს გზამკვლევი სფეროს ექსპერტებისათვის](#)

დანართი 5. ფოკუსგუფების გზამკვლევი

გზამკვლევი მასწავლებლებისთვის

[ახალგაზრდები და საქართველოს ისტორია – ფოკუსგუფის გზამკვლევი მასწავლებლებისთვის](#)

გზამკვლევი მოსწავლეებისთვის

[ახალგაზრდები და საქართველოს ისტორია – ფოკუსგუფის გზამკვლევი მოსწავლეებისთვის](#)

გზამკვლევი სტუდენტებისათვის

[ახალგაზრდები და საქართველოს ისტორია – ფოკუსგუფის გზამკვლევი სტუდენტებისათვის](#)

